პარლამენტის ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
11 ივნისი **სამშაბათი** 2013
№135 (14 051) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყენიამ ქეცბაიას შეუტია

# იმას, რასაც ნაკრები თამაშობს, ფეხბურთი არ ჰქვია



## ქეცბაიას ნახევარ გუნდთან მოუვიდა კონფლიქტი

ნაკრები ორ თამაშზე ერთი თავდამსხმელით რომ წავა, რა უნდა ვილაპარაკო?!

2-3

## მერაბ ჟორდანიას განცხადება

# მე აუცილებლად ვიფიქრებ იმაზე, თუ რა ფორმით და პროგრამით დავბრუნდე ქართულ ფეხბურთში



2

## მერაბ ჟორდანიას განცხადება

**არნემის „ვიტესის“ პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ საქართველოს საფეხბურთო საზოგადოებას განცხადებით მიმართა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.**



მერაბ ჟორდანია

„ბატონებო!

ქართულ ფეხბურთში განვითარებულმა უკანასკნელმა მოვლენებმა და საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბების განცხადებამ გადამაწყვეტინა მომემართა თქვენთვის!

ქართული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, არ პასუხობს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ქართველი გულშემატკივრის ისტორიულ (ტრადიციულ) ამბიციას!

ამ მიზეზებს ემატება ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა - ფეხბურთის სპეციალისტების დაქსაქსულობა, რომელთაც გარკვეულწილად ძალუძთ იტვირთონ ლიდერის როლი და ქართული ფეხბურთის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანონ საკუთარი შესაძლებლობების და ძალისხმევის გაერთიანების შემთხვევაში.

საკუთარ თავთან მართალი რომ ვიყოთ, უნდა ვაღიაროთ, ქვეყანაში 2012 წლის ოქტომბრამდე არსებული რეჟიმის პირობებში წარმოუდგენელი იყო რომელიმე ორგანოს დემოკრატიული არჩევა. გამონაკლისი არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი, რომლის საქმიანობას მე და იმედია, თქვენც დადებითად აფასებთ, შექმნილი სისტემის მძევალია. ის არ არის პასუხისმგებელი უალტერნატივო არჩევნებზე.

მსჯელობა ამ თემაზე დღეს არ დამიწყია, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ჩემს ერთადერთ სატელევიზიო ინტერვიუშიც მქონდა საუბარი ამ მტკივნეულ საკითხზე.

დღეს, როდესაც ქართული საზოგადოება განთავისუფლდა შიშისგან, ძალადობისგან - პრინციპულობა და სამართლიანობა ცხოვრების წესად უნდა იქცეს თითოეული ჩვენთაგანისათვის.

ჩემი პოზიციიდან გამომდინარე, მოგმართავთ თქვენ! ერთიანი ძალისხმევით გამოვიდეთ ჩიხიდან, რომელშიც ქართული ფეხბურთი იმყოფება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მორიგი ყრილობის დღის წესრიგში აუცილებელია ნდობის საკითხის დაყენება! ამით ამჟამინდელ მენეჯმენტს ლეგიტიმაციის და ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ხელმძღვანელობის პრეტენდენტებს ამბიციის გაცხადებისა და საკუთარ პრეტენზიებზე ამომწურავი პასუხის მიღების საშუალება მიეცემათ.

ასეთი წინაპირობით ჩატარებული ყრილობის გადაწყვეტილებები უაპელაციოდ (შეუქცევადად) უნდა მიიღოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყველა სუბიექტმა!

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ფიფა/უეფა-ს რეაქცია, საკითხის აღნიშნული ფორმით გადაწყვეტის შემთხვევაში, მხოლოდ დადებითი იქნება.

ამასთან, ახალი არჩევნები, მისი ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უკანასკნელი ორი არჩევნებისგან განსხვავებით, ალტერნატიულ, კონკურენტულ გარემოსა და საფეხბურთო სამყაროსთვის აღიარებული „ფეირ პლეის“(სამართლიანი თამაში) კანონების დაცვით უნდა გაიმართოს.

ასეთი არჩევნების გარანტად, წესდების თანახმად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი და პრეზიდენტი არიან. ამგვარი არჩევნები უკანასკნელად 2002 წელს ჩატარდა.

მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში მე აუცილებლად ვიფიქრებ იმაზე, თუ რა ფორმით და პროგრამით დავბრუნდე ქართულ ფეხბურთში.

დღესდღეობით ჩემი სახელი გარკვეულწილად ორი უცხოური კლუბის წარმატებებთან არის ასოცირებული. მინდა დავარწმუნო ქვეყნის საფეხბურთო საზოგადოება, რომ დაუფიქრებლად გავცვლიდი ამ კლუბების დღევანდელ მიღწევებს ქართული ფეხბურთის სამომავლო წარმატებებში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და სხვადასხვა ქვეყნის კლუბებში მუშაობის გამოცდილება, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ახლო წარსულის, ჩემთვის ცნობილი, არარეალიზებული წინადადებები (სფფ-ს მოქმედი მენეჯმენტი აქ არაფერ შუაშია) და მისი დღევანდელი დამოკიდებულება ფეხბურთისადმი მაიმედებს, რომ ქართული საფეხბურთო საზოგადოება მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას, რომელიც მისცემს საშუალებას ქართულ ფეხბურთს, ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო საფეხბურთო ოჯახში!

პატივისცემით,
**მერაბ ჟორდანია.**
*10.06.2013.“*

ტორპედო

## ქუთაისელები ავსტრიაში მოემზადებიან

ქუთაისის „ტორპედომ“ ახალი სეზონისთვის მზადება 10 ივნისს დაიწყო. რამდენიმე დღის განმავლობაში გუნდი ქუთაისში ივარჯიშებს, 18 ივნისს კი ავსტრიაში გაემგზავრება შეკრებაზე.

„ტორპედოს“ ახალი მთავარი მწვრთნელი **ჟერარდ სარაგოსა** კი უკვე შეუდგა მოვალეობის შესრულებას. კლუბის ვებგვერდის ცნობით, ესპანელმა სპეციალისტმა გუნდის საწვრთნელი ბაზა და ქუთაისის ცენტრალური სტადიონი დაათვალიერა და ნანახით კმაყოფილი დარჩა.

„აქამდეც ნანახი მქონდა ეს სტადიონი, ოღონდ გარედან. დღეს კი შიგნითაც დავათვალიერე და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. სავარჯიშო ბაზას რაც შეეხება, ასეთი პირობები ბევრ გუნდს ესპანეთშიც არ გააჩნია, აქ სრულად არის იმის საშუალება, რომ გუნდი ბაზაზე დარჩეს და მომავალი შეხვედრებისთვის კარგად მოემზადოს. მოკლედ, მაღალ დონეზე სათამაშოდ ყველაფერი გვაქვს“, - განაცხადა სარაგოსამ.

კომენტარი გააკეთა „ტორპედოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი პაპიაშვილმაც**: „მოხარულები ვართ „ტორპედოს“ ახალ მთავარ მწვრთნელთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრით. უახლოეს გეგმებს რაც შეეხება, 10 ივნისს გუნდი ქუთაისში შეიკრიბება, 18-დან კი დაგეგმილია ავსტრიაში მოსამზადებელი ეტაპის გავლა, სადაც, რასაკვირველია, ამხანაგური თამაშებიც გვექნება. კლუბი უკვე აქტიურად ემზადება ევროპის ლიგისთვის, რათა იქ ღირსეულად წარვსდგეთ“.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ ლევან ყენიასთან

# ასე გაგრძელება აღარ შეიძლება

## მწვრთნელს ნახევარ გუნდთან მოუვიდა კონფლიქტი

ლევან ყენია შარშან მივიდა ლვოვის „კარპატიში“. უკრაინაში წასვლამდე ის თითქმის ორწელიწადნახევარი ჩამოშორებული იყო საფეხბურთო მინდორს - ტრავმიანობამ დარია ხელი.

22 წლის ყენიას ახალ გუნდში მოუწევს გადასვლა, რადგან „კარპატიმ“ ის და კიდევ ბევრი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა.

ყენია საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ყოველთვის საინტერესო ფეხბურთელად მიიჩნეოდა და ეს ბუნებრივიცაა - რომ არა მისი ნიჭიერება, ხუთი წლის წინ, თბილისის „ლოკომოტივიდან“ გელზენკირხენის „შალკეში“ ვერ მოხვდებოდა.

ყენიას გუშინ ვესაუბრეთ და მწვავე ინტერვიუც გამოვიდა. მეტწილად საქართველოს ნაკრებზე მოგვიწია ლაპარაკმა...

მაშ ასე, ყენია ლაპარაკობს საქართველოს ეროვნულ გუნდზე, მწვრთნელსა და ფეხბურთელებზე...

**- რა მოხდა „კარპატიში“? რამ გამოიწვია კლუბის ასეთი გადაწყვეტილება?**

- ფინანსური პრობლემების გამო, „კარპატიმ“ ცხრამეტი ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე. კლუბი მოთამაშეებისთვის საშუალოზე მაღალი ხელფასის გადახდას ველარ ახერხებდა და გადაწყვიტა, თავისივე აღზრდილ ახალგაზრდებზე გააკეთოს აქცენტი.

**- „კარპატიში“ ერთი სეზონი ითამაშე ხანგრძლივი უქმობის შემდეგ. საკუთარ თავს როგორ ატყობ, უკვე ხელახლა გახდი ფეხბურთელი?**

- ვფიქრობ, პირველი წრე კარგად ვითამაშე, ფორმაში შევდიოდი, მეორე წრეში კი პრობლემები მოგვეძალა, მწვრთნელი წავიდა, მერე დაბრუნდა, ფინანსური მხარე გაუარესდა... შედეგად, მთელ გუნდს ცუდად წაგვივიდა საქმე.

**- „კარპატიმ“ ტრანსფერზე რომ დაგაყენა, ის თანხაც დაასახელა, რის სანაცვლოდაც უნდა გაგიშვას სხვა გუნდში?**

- არა, ხვალ მივემგზავრები უკრაინაში და ეს საკითხი უნდა გავარკვიო, სატრანსფერო თანხა მოსალაპარაკებელი გვექნება. კლუბმა ჯერ მხოლოდ ის მითხრა, ახალი გუნდის ძებნა უნდა დაიწყოო.

**- უკვე გაქვს შემოთავაზებები?**

- ჯერ არ მინდა ამაზე საუბარი, ისე კი, არის რაღაც ვარიანტები. ყველაფერი საბოლოოდ ერთ-ორ კვირაში გაირკვევა.

**- უკრაინის ჩემპიონატმა რა შთაბეჭდილება დაგიტოვა? რამდენად რთულია იქ თამაში?**

- თუ უკრაინის ოთხ საუკეთესო გუნდს არ მივიღებთ მხედველობაში, იქაური ჩემპიონატი საშუალო დონისაა და მასზე განსაკუთრებულიაო, არ ითქმის.

**- უფრო საით მიგიწევს გული - რუსეთ-უკრაინა თუ დასავლეთ ევროპა?**

- გული ევროპისკენ მიმიწევს, იქ კი ძალიან ძნელია თამაში, დასავლეთ ევროპის საუკეთესო ლიგებში ქართველი ფეხბურთელები თითქმის აღარ დარჩნენ... ვნახოთ, დრო გვიჩვენებს ეს რამდენად გამომივა.

**- როცა „შალკედან“ წამოხვედი, ბერლინის „ჰერტაში“ შეგეძლო გადასვლა. ლევან კობიაშვილის გუნდი ხელმეორედ ხომ არ დაინტერესებულა შენით?**

- არა, „ჰერტამ“ უკვე დაიმატა სხვა ფეხბურთელები.

**- ნაკრებზე გადავერთოთ. 2 და 5 ივნისს, ჩვენს ეროვნულ გუნდს ამხანაგური მატჩები ჰქონდა ირლანდიასთან და დანიასთან. თემურ ქეცბაიამ ამ მატჩებისთვის გამოგიძახა, მაგრამ ოჯახური სიტუაციიდან გამომდინარე, ნაკრების ამ შეკრებაზე არ მიხვედი. ცხადია, ამ გადაწყვეტილებით მწვრთნელი კმაყოფილი ვერ დარჩებოდა. ირლანდიაში გამგზავრების წინ, ქეცბაიამ პრესკონფერენცია გამართა და იქ ასეთი რამ თქვა - სამშობლოსთვის ტანკს უვარდებიანო...**



თემურ ქეცბაია (მარცხნივ) და ლევან ყენია

## ფეხბურთელში ფეხბურთელი აღარ ჩანს და ნაკრებში ნაკრები

- ექვსი თვის წინ მქონდა ქორწილი დაგეგმილი და ვერ გადავდებდი. ფეხბურთს ძალიან მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ადამიანისთვის ყველაზე მთავარი ოჯახია, ამიტომაც ამ კონკრეტულ ვითარებაში ასეთი გადაწყვეტილება მივიღე და ვინც ეს ვერ გაიგო, ცივი წყალი დალიოს.

**- ფაქტია, ნაკრების მწვრთნელმა პატრიოტიზმის თემა წამოწია...**

- ყველამ კარგად იცის, რაც ხდება საქართველოს ნაკრებში და ასეთი ლაპარაკი უკვე სასაცილოც კი არის. თუ ჩემი მისამართითაა ნათქვამი ქეცბაიას სიტყვები, ასეთ შენიშვნას ნამდვილად ვერ მივიღებ. 18 წლის ვიყავი, ეროვნულ ნაკრებში რომ ვთამაშობდი, მეორე დღეს კი, თუ საჭირო იყო, 19 ან 21-წლამდელთა ნაკრებსაც ვეხმარებოდი. ერთხელ ვერ მოვახერხე ნაკრებში მისვლა და ალაპარაკდა. სიმართლე გითხრათ, ამ ადამიანის ნათქვამს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. როცა გუნდში უთანხმოებები ჩნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი ვერ ალაგებს ურთიერთობას ფეხბურთელებთან, ამ ურთიერთობის მოწესრიგების ინიციატივა, პირველ რიგში, მწვრთნელიდან უნდა მოდიოდეს.

**- როგორ ფიქრობ, ასეთი მკვეთრი განცხადებების შემდეგ ქეცბაია ისევ გამოგიძახებს ნაკრებში?**

- მე ძალიან მინდა ნაკრებში თამაში, მაგრამ თუ მწვრთნელი აღარ გამომიძახებს, ესე იგი, ასე ყოფილა საჭირო. რასაც ამ მწვრთნელის ხელში თამაშობს საქართველოს ნაკრები, მას ბევრი შემტევი ფეხბურთელი არც სჭირდება. ნაკრები ორ თამაშზე ერთი თავდამსხმელით რომ ნავა, რა უნდა ვილაპარაკო?! რასაც ჩვენი ნაკრები თამაშობს, მე ეს ფეხბურთად არ მიმაჩნია - ფეხბურთელში ფეხბურთელი აღარ ჩანს და ნაკრებში ნაკრები.

**- ნაკრებში საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებდი? საფრანგეთთან 1:3 რომ წავაგეთ, ქეცბაიამ მეორე ტაიმიდან შეგიშვა მოედანზე, თუმცა თავის გამოჩენა ვერ მოახერხე, ლევან ყენიათი ბევრი უკმაყოფილო დარჩა...**

- თავის მართლებას არ დავიწყებ, მართლა ვერ ვითამაშე კარგად, თუმცა სანამ მოედანზე შევიდოდი, უკვე თერმეტი კაცით იჯდა ჩვენი ნაკრები უკან. როცა მინდორზე გავედი, ორ წუთში უკვე 0:2-ს ვაგებდით. ისეთ რამეს ნუ მომთხოვენ, რისი გაკეთებაც მხოლოდ მსოფლიო დონის ფეხბურთელებს თუ შეუძლიათ, მარტოკა ათ კაცს ვერ მოვატყუებდი. ბურთის ასართმევად დავრბოდი თანაგუნდელებთან ერთად, მეტოქის კარიდან ოთხმოციოდე მეტრის დაშორებით ვიდექით და ამ ყველაფრის შემდეგ, ზოგი ისეთ რაღაცებს ლაპარაკობს, თითქოს პირველად უყურა ფეხბურთს.

**- ყველას უჩნდება კითხვა - საქართველოს ამ ნაკრებმა რას უნდა მიაღწიოს?**

- მწვრთნელს ნახევარ გუნდთან მოუვიდა კონფლიქტი და ამით პირველ რიგში ნაკრები ზარალდება, ფეხბურთელები ზარალდებიან და თვითონ მწვრთნელიც. გამოჩნდება, ამით რას მივაღწევთ. საქართველოს ნაკრები ასე უკნიდან არასდროს არ თამაშობდა...

**- გასაგებია, რომ გუნდში არსებულ ატმოსფეროზე, შედეგზე, პირველ რიგში, მთავარი მწვრთნელია პასუხისმგებელი, თუმცა საკუთარი წილი პასუხისმგებლობისა ფეხბურთელებსაც გაკისრიათ, მოედანზე თქვენ გადიხართ და იქ უკვე თქვენს ხელშია ყველაფერი...**

- რა თქმა უნდა, ყველას თავისი პასუხისმგებლობა აქვს, არავის არ უნდა მოედანზე წასაგებად გასვლა, მაგრამ როცა გუნდში ჯანსაღი სიტუაცია არ არის, ფეხბურთელს შედეგს ველარ მოსთხოვ. პასუხისმგებლობას არავინ არ უნდა გაურბოდეს, ყველამ საკუთარ თავში უნდა ჩაიხედოს და პრობლემა იქ მოძებნოს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ეს უკვე მეტისმეტია...

**დავით თავართქილაძე**

სავარაუდო ტრანსფერები

## გრიგალაშვილი ადასტურებს: მოლაპარაკება მიმდინარეობს

### მიქაბერიძე მეტალურგიდან დინამოში?



ელგუჯა გრიგალაშვილი



გიორგი მიქაბერიძე

გუშინ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელების ნაწილი შეიკრიბა და მათ სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაში სამედიცინო შემოწმება გაიარეს.

შემოწმებაზე სულ 13 მოთამაშე გამოცხადდა. ჯერ გუნდში ახალწვეულებზე ლაპარაკს ერიდებიან. თუმცა, დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ გუშინ, სხვებთან ერთად, ტესტირებაზე რუსთავის „მეტალურგის“ 24 წლის შემტევი ნახევარმცველი **გიორგი მიქაბერიძეც** გამოცხადდა. გიორგიმ გასულ სეზონში რუსთავულ კლუბში 24 შეხვედრა ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

გავრცელდა ხმები, რომ შესაძლოა, საქართველოს ნაკრებისა და ქუთაისის „ტორპედოს“ წევრმა **ელგუჯა გრიგალაშვილმაც** კარიერა „დინამოში“ გააგრძელოს.

ფეხბურთელმა „ლელოსთან“ არ დამალა, რომ ასეთი შესაძლებლობა არსებობს: „გამორიცხული არ არის, „დინამოში“ ვითამაშო - მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობს. მაგრამ, ჯერ კლუბები არ შეთანხმებულან და საკითხი გადაწყვეტის პროცესშია. ასე რომ, არ ვიჩქარებ და ჯერ ვერ ვიტყვი, რომ დინამოელი გავხდი“.

23 წლის გრიგალაშვილი შემტევი ნახევარმცველია, გასულ სეზონში 26 მატჩში 6 გოლი გაიტანა, პროგრესი აშკარად დაეტყო და **თემურ ქეცბაიამ** ეროვნულ ნაკრებში მიიწვია.

თბილისელებს მოედნის ცენტრში პრობლემები აქვთ და ამ პერსპექტიული მოთამაშის დამატება გუნდს მართლაც არ აწყენდა.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი



ამირან ლიბრაძე

## ამირან ლიბრაძე: ახალი პრეზიდენტი? სრულიად შესაძლებელია

**ილია კოკაიას** „ზესტაფონიდან“ წასვლაზე ბოლო დროს ბევრს საუბრობენ და მართალია, დღეს გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ასე მოხდება, მაგრამ მოვლენათა ამგვარი განვითარების ალბათობა ნამდვილად არსებობს. შეგახსენებთ, უკვე საკმაო ხანია, კლუბის მომავალი ბურუსით არის მოცული და ჯერჯერობით, გაურკვეველია, რა ვადებში მოგვარდება შექმნილი პრობლემები და რა სახით წარსდგება „ზესტაფონი“ მომავალ სეზონში გულშემატკივართა წინაშე. რაც შეეხება კოკაიას, გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, მან თავისი საფეხბურთო საქმიანობა ბათუმის „დინამოში“ გააგრძელოს.

გუშინ კი ერთი საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოვიპოვეთ - აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს იმის თაობაზე, რომ „ზესტაფონის“ პრეზიდენტის პოსტი თბილისის „დინამოს“ ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა **ამირან ლიბრაძემ** დაიკავოს.

„ლელო“ მას კომენტარისთვის დაუკავშირდა და ლიბრაძემ საქმის არსში დეტალურად გაგვარკვია. ყოველგვარი შესავლის გარეშე, პირდაპირ გაგაცნობთ მის პოზიციასა და გეგმებს.

„ვიცოდი, რომ ილია კოკაია „ზესტაფონიდან“ წასვლას აპირებდა, მაგრამ მასთან დაკავშირებასა და ინფორმაციის გადამოწმებას ვერაფრით ვახერხებ. ცნობისთვის, ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. ამ ადამიანს „ზესტაფონისა“ და ზოგადად, ქართული ფეხბურთისთვის ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული და წარმომიდგენია, რა მდგომარეობაში ჩააგდეს, ამდენი წლის ნაშრომ-ნაწვალებზე უარს რომ ამბობს. ჯერ დადასტურებით არც ის ვიცი, იგი ფეხბურთიდან საერთოდ მიდის თუ ბათუმის „დინამოში“ გააგრძელებს მუშაობას. მოკლედ, ჯერ საბოლოოდ დავაზუსტებ მის გეგმებს და შემდეგ უფრო დეტალურად შემეძლება საკუთარ გეგმებზე საუბარი. თუმცა ჩემი ჩანაფიქრი ზოგადად, ახლავე შემიძლია გაგიმხილოთ.

იმ ქვეყანას, სადაც სპორტი და კულტურა მკვდარია, მომავალი არ აქვს. ქართულ ფეხბურთში რომ უმძიმესი მდგომარეობაა, ამას ვერავინ უარყოფს და თუ ვინმეს მის სასიკეთოდ რაიმეს გაკეთება შეგვიძლია, თავი არ უნდა დავზოგოთ.

მე მაქვს საკმაო ხნის კონტაქტები ბიზნეს ჯგუფებთან, საიდანაც ერთი კომპანია ქართულია, მეორე - უცხოური. უკვე რამდენიმე თვეა, ისინი საქართველოში ინვესტიციების განხორციელებაზე ფიქრობენ და გაცნობიერებული აქვთ, რომ ფეხბურთში ფულის ჩადებით მათი პრესტიჟი ამაღლდება. აქამდე, მათ მიერ დაფინანსებულ კლუბთა სავარაუდო ჩამონათვალში „ზესტაფონი“ არ ფიგურირებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემი მშობლიური ქალაქის კლუბი ასეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მთელი ენერგიით ამ ვარიანტზე გადავერთეთ და დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩანაფიქრს წარმატებით განვახორციელებთ.

დაგიდასტურებთ იმასაც, რომ მე „ზესტაფონის“ პრეზიდენტად მოვიაზრები, თუმცა ჩემთვის თანამდებობასა და სტატუსს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, კლუბს ეშველოს და განვითარება არ შეწყვიტოს. როგორც უკვე გითხარით, ზესტაფონელი გახლავართ, ამ ქალაქის სტადიონზე ვარ გაზრდილი და კლუბის ბედზე გული ძალიან შემტკივა.

ახლა საქმე დაზუსტების სტადიაშია. უახლოეს დღეებში ილია კოკაიას საბოლოო პოზიციას შევიტყობთ და პოტენციური ინვესტორები ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს შეხვდებიან. რასაკვირველია, მყარი გარანტიების გარეშე ასეთ მასშტაბურ პროექტში ფულს არავინ ჩადებს. თუმცა ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ბოლო წლების ერთ-ერთმა საუკეთესო ქართულმა კლუბმა არსებობა ღირსეულად განაგრძოს და დაკარგული პოზიციები დაიბრუნოს.

ბოლოს იმასაც დავძენ, რომ ქართულ კლუბებში ბოლო დროს განვითარებული არასასიამოვნო მოვლენების გამო. ქართულ ფეხბურთს საერთაშორისო ორგანიზაციებში ავტორიტეტი აქვს შერყეული და მის გამოსასწორებლად ახალ ხელისუფლებასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დიდი მუშაობა მართებთ. სხვაგვარად, უცხოელი ინვესტორები ქართულ კლუბებში ფულის ჩადებით არ დაინტერესდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

## დავით სხირტლაძე სუპერლიგის გამორჩეულ ფორვარდებში

**დავით სხირტლაძე** დანიის სუპერლიგის თავდამსხმელებში გამოარჩიეს. გამოცემა „Jyllands-Posten“-მა თავდამსხმელები შემდეგი პარამეტრებით შეარჩია - ბურთის კონტროლით, გადაცემების სიზუსტითა და ბურთის დაკარგვის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით.

გასულ სეზონში, სხირტლაძემ დანიის სუპერლიგაში 20 შეხვედრა ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა. ამის მიუხედავად, გამოცემამ ის საუკეთესო ხუთეულში მოახვედრა.

დასრულებულ სეზონში „ორჰუსის“ ისლანდიელმა თავდამსხმელმა **აარონ იოჰანსენმა** 14 გოლი გაიტანა და ჰოლანდიურმა „ალკმაარმა“ ის 10 მილიონ ევროდ შეიძინა. ამ დროს, სხირტლაძე გაცილებით ნაკლებად შედეგიანი გახლდათ.

მაგრამ გარკვეულწილად, ისლანდიელი ფორვარდის შედეგიანობა სწორედ ქართველის კარგმა თამაშმა განაპირობა. მან გულშემატკივართა გულის მონადირება მოახერხა და ახლა, ქომაგები ძველი ფრაზის: „სახლში გაუშვით“ ნაცვლად, ასე სკანდირებდნენ: „მაგარია!“.

„გულშემატკივართა კრიტიკას ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან გუნდური მოთამაშე ვარ და ერთადერთი, რაზეც ვფიქრობ, „ორჰუსის“ წარმატებაა. ვინ გაიტანს და ვინ გახდება ბომბარდირი, ეს ნაკლებად მადარდებს“ – ამბობს სხირტლაძე, რომელმაც ნახევარი წლის წინ გუნდისგან ულტიმატუმი მიიღო - თუ უკეთ არ ათამაშდები, ჩვენ აღარ გამოგიყენებთო.

სხირტლაძემაც უფრო და უფრო მოუმატა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც გუნდში კიდევ ერთი ქართველი თავდამსხმელი - **მათე ვაწაძე** გამოჩნდა.

„ვიცი, რომ მეტის გატანა მომეთხოვება, სეზონში ორი გოლი კარგი მაჩვენებელი არ არის. მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ამას მომავალი სეზონში მოვახერხებ. სუფთა თავდამსხმელიც არ ვარ - უფრო ფორვარდების დახმარება მევალება, ვიდრე ბომბარდირობაზე ზრუნვა. ყოველ შეხვედრაში უნდა დავამტკიცო, რომ ძირითადში მოხვედრას ვიმსახურებ. ამიტომ, მოედანზე იმისთვის გავდივარ, უკეთ ვითამაშო და გუნდს დავეხმარო“ – ამბობს სხირტლაძე.

**მერაბ მამულაშვილი**



**დოსიე**
დავით სხირტლაძე
20 წლის
**სიმაღლე:** 187 სმ. **წონა:** 79 კგ.

**კარიერა**
„ზასკო“ (საქართველო)
„ორჰუსი“ - 38 მატჩი, 2 გოლი
*გუნდშია 2011 წლის ზაფხულიდან, კონტრაქტი აქვს 2014 წლამდე*
**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი**

U19. ელიტ რაუნდი

## დღეს ევროფინალის ბოლო მონაწილე გაირკვევა

### პლუს პორტუგალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ჰოლანდია

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ელიტ-რაუნდზე წარმატებით ითამაშა და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. ცნობილი იყო ფინალის მხოლოდ სამი მონაწილე - ჩვენ, მასპინძელი ლიტვა და თურქეთი.

**გია ცეცაძე** და მისი გუნდი მოუთმენლად ელოდა მომავალი მეტოქეების ვინაობას. ბოლო ორი დღის განმავლობაში რამდენიმე ფინალისტი კიდევ გაირკვა.

მე-3 ჯგუფის მატჩებს პორტუგალიამ უმასპინძლა. მასპინძლებთან გადამწყვეტ შეხვედრაში დანიას ორი მოთამაშე გაუძევეს: მე-6 წუთზე მეკარე, 93-ე წუთზე კი ნახევარმცველი. პორტუგალიამ ევროფინალის საგზური „სპორტინგის“ თავდამსხმელის **ბრუმას** გოლით (1:0) მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ბრუმამ 6 მატჩში 7 გოლი გაიტანა!

პირველი ჯგუფის გადამწყვეტ შეხვედრაში, ექვს-ექვსქულიანი მეტოქეების - საფრანგეთისა და მასპინძელი ავსტრიის დაპირისპირება ფრანგების გამარჯვებით (1:0) დასრულდა და ევროფინალშიც სწორედ ისინი მიემგზავრებიან.

მე-4 ჯგუფს პოლონეთმა უმასპინძლა. ფავორიტების - ესპანეთისა (6 ქულა) და ხორვატიის (4 ქულა) მატჩი 1:1 დასრულდა და სასურველ მიზანს ესპანეთმა მიაღწია.

ყველაზე ჩახლართული ვითარება მე-5 ჯგუფში იყო: ბოლო ტურამდე გერმანიას, ჰოლანდიას, მასპინძელ ნორვეგიასა და კვიპროსს 3-3 ქულა ჰქონდათ. ჰოლანდიამ 92-ე წუთზე გატანილი ბურთით გერმანიას 1:0 სძლია, ნორვეგიამ კი კვიპროსს 3:0 მოუგო. ლიტვაში „ნარინჯისფრები“ ითამაშებენ, რადგან უშუალო შეხვედრაში ნორვეგია 2:1 დაამარცხეს.

ამგვარად, ცნობილი გახდა ევროფინალის შვიდი მონაწილე: ლიტვა, თურქეთი, საქართველო, პორტუგალია, საფრანგეთი, ესპანეთი და ჰოლანდია. მერვე ფინალისტი დღეს სერბეთში გაირკვევა. ბოლო ტურამდე შანსებს მინი-ტურნირის ოთხივე მონაწილე ინარჩუნებს: შვეიცარია (4 ქულა), სერბეთი (3 ქულა), ირლანდია (2 ქულა) და სლოვაკეთი (1 ქულა).

**მერაბ მამულაშვილი**

სიტუაცია

# ნეტავ, რამდენ გუნდს მოაგროვებენ?

დღესდღეობით ქართულ საკლუბო ფეხბურთში რომ სიტუაციაა შექმნილი, მსგავსი კი არა, მიახლოებულიც არასდროს ყოფილა! შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ უმაღლესი ლიგის რვა (!) გუნდი... ჩემპიონატის მიტოვებით დაიმუქრა. ანუ, თუ ამ რვავე გუნდმა ბოიკოტი გააგრძელა და საქართველოს მთავრობასთან (კერძოდ, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან) კვლავაც „ულტიმატუმის ურთიერთობა“ არჩია, გამოდის, რომ 2013-14 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში... 4 გუნდი იასპარეზებს. რა თქმა უნდა, ამ ოთხ გუნდს სხვა ოთხიც დაემატება და ცოტა მეტიც (ანუ, ათ ან თორმეტ გუნდს როგორმე „მოძებნიან“), მაგრამ თვითონ ფაქტია ერთობ არასასიამოვნო, — მთლიანობაში, საერთოდ ქართული ფეხბურთის იმიჯს რომ ლახავს.

არადა, ადრე თუ გვიან ეს საკითხი პრობლემური რომ გახდებოდა, წესით, არავის უნდა გაჰკვირვებოდა; სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში მყოფი კლუბების „კოჰაბიტაციასაც“ ვგულისხმობთ და, საერთოდ, უმაღლესი ლიგის ყველა გუნდის თანაბარ პირობებში ყოფნას. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და, როგორც ყოველთვის, „ტრადიციული ქართული ოპტიმიზმით“ შევხვდეთ ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებას; მით უფრო, რომ საიუბილეო, XXV ჩემპიონატი გველოდება, ოღონდ, დღესდღეობით ვერავინ იტყვის, თუ რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას უმაღლეს ლიგაში. ისე, ერთი მხრივ, მთლად ცუდი ამბავი არ მოხდა: წინა კვირაში განვითარებულმა მოვლენებმა ხომ ყველას გადაავიწყა არანაკლებ აჟიტირებული პრობლემა! ჰო, იმას ვგულისხმობთ, ახალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა უნდა გაიზარდოსო, ჯერ ნელ-ნელა, მერე კი „ჩქარი ტემპით“ რომ გააჟღერეს. საბედნიეროდ, ეს მართლაც საფუძველსმოკლებული იდეა დღეს აქტუალური აღარ არის; ანდა, როგორ იქნებოდა: 12 გუნდიდან სამი-ოთხი დღესდღეობით მართლაც სერიოზულ გაურკვევლობაშია და ის „დაპირებული“ მილიონნახევარი ლარი თუ ვერ მიიღეს, გვეეჭვება, რომ უმაღლეს ლიგაში გააგრძელონ ასპარეზობა. მოდი, ამ სამიოთხი გუნდის სახელს ჯერჯერობით ნუ გავახმოვანებთ, ისე როგორც კიდევ ერთი-ორი გუნდისა, ასევე არანაკლებ ბუნდოვანი მომავალი რომ ელოდება. ჰოდა, დღესდღეობით ველარავინ „ბედავს“, უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდის გაპიარებას და, რატომღაც გვგონია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაც არ უნდა იყოს დაინტერესებული ამ მართლაც უაზრო ექსპერიმენტით. პირიქით: ჩვენი აზრით, უკვე დამდეგი სეზონიდანვე უნდა დავიწყოთ ფიქრი უმაღლეს ლიგაში გუნდების... შემცირებაზე! კი, ბატონო, 16-გუნდიანი ჩემპიონატი (ორ წრედ) მართლაც იდეალური ვარიანტია, მაგრამ, გვყავს კი ამდენი გუნდი, ინფრასტრუქტურით თუ ფინანსებით უმაღლესი ლიგის კი არა, საერთოდ, ელემენტარულ მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებს? მოკლედ, ძალიან მარტივი კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელონ ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა: ვინც წარადგენს შესაბამის ფინანსურ გარანტიებს და რომელი გუნდიც დააკმაყოფილებს ლიცენზირების მოთხოვნებს, მხოლოდ იმათ უნდა მიიღონ მონაწილეობა უმაღლეს ლიგაში. თორემ, უკვე მერამდენე წელიწადია ერთი და იგივე მეორდება: ესა თუ ის გუნდი „რიხით“ დაიწყებს სეზონს, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე რამდენიმე ცნობად სახეს დაიმატებს, ქართული სპორტული მედიაც „ამბიციურ გუნდად“ მონათლავს და მერე, ზამთრის პაუზის დადგომისას აღმოჩნდება, რომ თურმე კლუბის ბიუჯეტი ცარიელია! ანუ, მეორე ეტაპიდან აღარც ფეხბურთელები რჩებიან ამ გუნდში, აღარც მწვრთნელები და ხანდახან ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა ესა თუ ის გუნდი უმაღლესი ლიგის მატჩზე... ჭაბუკთა ლიგაში მოასპარეზე მოთამაშეებით გამოსულა. კიდევ ბევრი მსგავსი ფაქტის გახსენებაც შეიძლება, აი თუნდაც ამ ბოლო დროს ერთობ „ნოვატორული“ იდეისა: ამა თუ იმ კლუბის ხელმძღვანელები კლუბის ყველა თანამშრომელს (სამწვრთნელო შტაბს, ფეხბურთელებს, ტექნიკურ პერსონალს) სეზონის დამთავრებიდან რამდენიმე დღეში... ორთვიან უფასო შვებულებაში უშვებს! ანუ, პირველი ივნისიდან პირველ აგვისტომდე ხომ ორი თვის ვადაა და ნახეთ როგორი „მიგნებაა“: ორი თვის ბიუჯეტი იზოგება! შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ მსგავსი რამ, ალბათ, მხოლოდ საქართველოში ხდება, ისე როგორც ის ფაქტი, რომ ევროტურნირებზე მოასპარეზე ზოგიერთ ქართულ გუნდს ჯერ მზადებაც არ დაუწყია. არადა, თვეზე ნაკლები რჩება იმ დღემდე, როცა ორი ქართული კლუბი ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო მატჩებს ჩაატარებს.

...ბოლო სამი წელიწადია, ლიცენზირების პირობების დაუკმაყოფილებლობისა თუ ფინანსური გარანტიების უქონლობის გამო არც ერთი ქართული გუნდი არ მოუკვეთავთ უმაღლესი ლიგიდან. არადა, ადრე (უფრო ზუსტად, 2003 წლიდან 2009 წლამდე) რამდენიც გნებავთ, იმდენი შემთხვევა ყოფილა, როცა ესა თუ ის გუნდი უმაღლეს ლიგაში სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შეუსრულებლობის გამო არ დაუშვიათ: ქუთაისის „ტორპედო“ თუ ფოთის „კოლხეთი“, საჩხერის „ჩიხურა“ თუ თბილისის „ამერი“, ახალციხის „მესხეთი“ თუ ჭიათურის „მაღაროელი“, „ქობულეთი“ თუ „რუსთავი“...

**გია ტუხაშვილი**

### ჭაბუკთა ლიგა. ბოლო ტური

**1995/06 წლებში დაბადებულნი**

| | |
|---|---|
| მეტალურგი – ლოკომოტივი | 1:0 |
| ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| 35-ე ს.ს. – ტორპედო | 4:1 |
| ბაია – ზუგდიდი | 0:3 |
| დინამო (თბ) – მერანი | 2:0 |
| საბურთალო – სიონი | 1:1 |
| ჩიხურა – კოლხეთი (ფ) | 2:0 |
| დილა – დინამო (ბთ) | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 30 | 23 | 3 | 4 | 75-25 | 72 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 30 | 22 | 5 | 3 | 67-20 | 71 |
| 3. დილა | 29 | 21 | 4 | 4 | 57-22 | 67 |
| 4. ლოკომოტივი | 30 | 18 | 4 | 8 | 75-31 | 58 |
| 5. საბურთალო | 30 | 18 | 3 | 9 | 67-39 | 57 |
| 6. დინამო (თბ) | 30 | 16 | 3 | 11 | 73-42 | 51 |
| 7. ტორპედო | 30 | 12 | 8 | 10 | 61-46 | 44 |
| 8. ზუგდიდი | 30 | 13 | 4 | 13 | 44-59 | 43 |
| 9. ზესტაფონი | 30 | 10 | 6 | 14 | 38-46 | 36 |
| 10. სიონი | 30 | 8 | 8 | 14 | 37-43 | 32 |
| 11. დინამო (ბთ) | 29 | 8 | 7 | 14 | 26-40 | 31 |
| 12. 35-ე ს.ს. | 30 | 9 | 3 | 18 | 36-62 | 30 |
| 13. კოლხეთი | 30 | 7 | 8 | 15 | 24-59 | 29 |
| 14. ბაია | 30 | 5 | 7 | 18 | 37-79 | 22 |
| 15. ჩიხურა | 30 | 5 | 4 | 21 | 31-86 | 19 |
| 16. მერანი | 30 | 3 | 5 | 22 | 33-82 | 14 |

**1997/98 წლებში დაბადებულნი**

| | |
|---|---|
| საბურთალო – სიონი | 8:0 |
| მეტალურგი – ლოკომოტივი | 1:1 |
| დინამო (თბ) – მერანი | 7:0 |
| ბაია – ზუგდიდი | 0:3 |
| ჩიხურა – კოლხეთი (ფ) | 0:0 |
| 35-ე ს.ს. – ტორპედო | 2:0 |
| დილა – დინამო (ბთ) | 6:0 |
| ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 30 | 26 | 4 | 0 | 145-8 | 82 |
| 2. დინამო (თბ) | 30 | 25 | 3 | 2 | 120-19 | 78 |
| 3. ლოკომოტივი | 30 | 23 | 4 | 3 | 107-26 | 73 |
| 4. დილა | 30 | 18 | 3 | 9 | 47-27 | 57 |
| 5. მეტალურგი | 30 | 16 | 3 | 11 | 51-35 | 51 |
| 6. 35-ე ს.ს. | 30 | 15 | 5 | 10 | 51-23 | 50 |
| 7. ტორპედო | 30 | 15 | 4 | 11 | 58-43 | 49 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 30 | 14 | 4 | 12 | 44-39 | 46 |
| 9. ბაია | 30 | 12 | 6 | 12 | 46-48 | 42 |
| 10. ზესტაფონი | 30 | 10 | 4 | 16 | 34-69 | 34 |
| 11. კოლხეთი | 30 | 9 | 5 | 16 | 27-43 | 32 |
| 12. ზუგდიდი | 30 | 8 | 6 | 16 | 20-57 | 30 |
| 13. მერანი | 30 | 5 | 8 | 17 | 28-58 | 23 |
| 14. დინამო (ბთ) | 30 | 5 | 4 | 21 | 17-92 | 19 |
| 15. ჩიხურა | 30 | 1 | 7 | 22 | 12-96 | 10 |
| 16. სიონი | 30 | 2 | 2 | 26 | 18-142 | 8 |

XXIV ჩემპიონატის შეჯამება — ვიტ ჯორჯია



ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ) 1:1. ვეტერინარებმა დინამოსთან ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს

# უმაღლეს ლიგაში მძლავრი ფინიშის ხარჯზე

ბოლო სეზონებში "ვიტ ჯორჯია", მთელი რიგი მიზეზების გამო, მაღალი შედეგებისთვის ველარ იბრძვის და ერთი კონკრეტული მიზანი აქვს – უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ვეტერინარებს საამისოდ დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევდათ, თუმცა ჩემპიონატის პირველ ეტაპზე "ვიტ ჯორჯიამ" ქულათა საკმაო მარაგს მოუყარა თავი და ზამთრის შესვენებისთვის სახიფათო ზონას მთელი ცხრა ქულით უსწრებდა.

თუმცა დაიწყო უმაღლესი ლიგის მეორე ეტაპი და რამდენიმე ტურის შემდეგ "მცხეთა პარკის" ბინადართა შანსები უკვე სათუო გახდა. "ვიტ ჯორჯიამ" მეორე ეტაპის საწყის ოთხ მატჩში ამდენივე მარცხი იწვნია და პირველ ლიგაში გავარდნა რეალურად დაემუქრა.

კლუბის ხელმძღვანელობამ კარგად ნაცადი ცვლილება განახორციელა – მეორე ეტაპის მესამე ტურის შემდეგ გუნდი **ზურაბ ბერიძეს** ანდო, რის შემდეგაც ვიტელთა შედეგიანობა გაუმჯობესდა. გუნდმა რამდენიმე საკვანძო მატჩი მოიგო და ამის ხარჯზე უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება შეძლო. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ის სამტურიანი მონაკვეთი იყო, სადაც "ვიტ ჯორჯიამ" გამარჯვებათა სამმატჩიანი სერია შემოგვთავაზა.


ზურაბ ბერიძე

პირველ ეტაპზე ვეტერინარებმა რამდენიმე ხმაურიანი სენსაცია შემოგვთავაზეს და ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპზეც შეძლეს მნიშვნელოვანი გამარჯვებების მოპოვება, არასტაბილურობა კი გუნდის ხაზგასასმელი ნაკლოვანებაა, რაც ახალგაზრდული შემადგენლობით უნდა აიხსნას.

კლუბის კურსი კი, რა თქმა უნდა, კვლავ უცვლელია. "ვიტ ჯორჯია" კვლავ ახალგაზრდებს ეყრდნობა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ახლო წარსულისგან განსხვავებით, ბოლო წლებში კლუბს ფეხბურთელების გასხვისებიდან განსაკუთრებული შემოსავლები არ მიუღია.

ახალი სეზონის დაწყებამდე არცთუ ისე დიდი დრო დარჩა, თუმცა უმაღლესლიგელთა დიდი ნაწილის მსგავსად, ზუსტად ვერც "ვიტ ჯორჯიაზე" ვიტყვით, როგორი სახით წარსდგება კლუბი ჩვენს წინაშე მომავალ ჩემპიონატში.

გასული არასტაბილური სეზონის მიუხედავად კი აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ "ვიტ ჯორჯიამ" უმაღლეს ლიგაში დარჩენის უფლება ბრძოლით დაიმსახურა.

## საუკეთესო მატჩი

განსაკუთრებით ხმაურიანი სენსაციების ავტორი "ვიტ ჯორჯია" პირველ ეტაპზე გახდა, როცა სტუმრად შეძლო ხმაურიანი გამარჯვებების მოპოვება. ვეტერინარებმა გასვლით შეხვედრებში დაამარცხეს გორის "დილა" და "ზესტაფონი". "ვიტ ჯორჯია" რუსთავს ორჯერ ესტუმრა და ორჯერვე გამარჯვებული დარჩა, ამაზე ნაკლები მიღწევა კი არც საქართველოს ჩემპიონ თბილისის "დინამოსთან" ნათამაშები ფრეა.

## ყველაზე ცუდი მატჩი

"ვიტ ჯორჯიამ" გასვლით მატჩში იოტისოდენა წინააღმდეგობაც ვერ გაუწია თბილისის "დინამოს", ასევე უშანსოდ დამარცხდა საჩხერეში "ჩიხურასთან". იყო ასევე არაერთი მარცხი უშუალო კონკურენტებთან, სადაც ვიტელებმა უხარისხოდ ითამაშეს.

## მეკარე

ჩემპიონატის მატჩები პირველიდან ბოლო წუთამდე შეუცვლელად ჩაატარა 23 წლის **ნიკა დაუშვილმა**, რომელიც ახალი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული კიპერია და საკმაოდ კარგი შანსი აქვს, ფეხბურთი ბევრად მაღალ დონეზე ითამაშოს.

## დაცვა

"ვიტ ჯორჯიას" დაცვის ხაზში ცვლილებებს ნაკლებად ვხედავდით ხოლმე. უმეტესად, მოედანზე გადიოდნენ 25 წლის **ჯემალ გოგიაშვილი**, 23 წლის **ლაშა კასრაძე**, 25 წლის **დავით ხურცილავა**, 24 წლის **გურამ ადამაძე**, 23 წლის **გიორგი გეთიაშვილი** და 19 წლის **ოთარ ჯავაშვილი**.

## ნახევარდაცვა

"ვიტ ჯორჯიას" ნახევარდაცვის ლიდერი 23 წლის **გურამ გურეშიძეა**. მის გარდა, გუნდის სასტარტო შემადგენლობაში სისტემატურად თამაშობდნენ მისი თანატოლები, **გიორგი ვასაძე** და **გიორგი გურეშიძე**. ზამთარში "ვიტ ჯორჯიას" დაუბრუნდა ასევე 23 წლის **გიორგი ჯანელიძე**, რომელიც ახლო წარსულში გუნდის გამოკვეთილი ლიდერი იყო.

## თავდასხმა

"ვიტ ჯორჯიამ" გასულ ჩემპიონატში 25 გოლი გაიტანა, ამაზე უარესი მაჩვენებელი კი მხოლოდ ბოლოადგილოსან ფოთის "კოლხეთს" აქვს. გუნდი [illegible] თარში დატოვა **ბესიკ ჩიმაკაძემ**, რომელიც ბოლო სეზონებში ვეტერინართა წამყვანი ფორვარდი იყო. ვიტელთა წინა ხაზზე მოქმედებდნენ **ელგუჯა ლობჯანიძე** (20 წლის), **ლაშა გაბრიჭიძე** (24 წლის) და **ლევან კუხალეიშვილი** (21 წლის).

**ლევან ჯანეზაშვილი**

### ვიტ ჯორჯია ყველა მატჩი

**I ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | დილა-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| II ტური | მერანი-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| III ტური | ვიტ ჯორჯია-ჩიხურა | 0:1 |
| IV ტური | სიონი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| V ტური | ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 0:0 |
| VI ტური | დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია | 5:0 |
| VII ტური | ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 2:3 |
| VIII ტური | მეტალურგი-ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| IX ტური | ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 1:3 |
| X ტური | დინამო (ბთ)-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| XI ტური | ვიტ ჯორჯია-კოლხეთი | 2:0 |
| XII ტური | ვიტ ჯორჯია-დილა | 0:2 |
| XIII ტური | ვიტ ჯორჯია-მერანი | 0:0 |
| XIV ტური | ჩიხურა-ვიტ ჯორჯია | 4:0 |
| XV ტური | ვიტ ჯორჯია-სიონი | 0:0 |
| XVI ტური | ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| XVII ტური | ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ) | 1:1 |
| XVIII ტური | ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| XIX ტური | ვიტ ჯორჯია-მეტალურგი | 0:1 |
| XX ტური | ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| XXI ტური | ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) | 1:1 |
| XXII ტური | კოლხეთი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |

*I ეტაპი: 22 მატჩი, 5 მოგება, 7 ფრე, 10 წაგება, ბურთები: 15-29*

**II ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| XXIII ტური | ვიტ ჯორჯია-სიონი | 0:2 |
| XXIV ტური | დინამო (ბთ)-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| XXV ტური | ვიტ ჯორჯია-მეტალურგი | 2:3 |
| XXVI ტური | მერანი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| XXVII ტური | ვიტ ჯორჯია-კოლხეთი | 0:0 |
| XXVIII ტური | სიონი-ვიტ ჯორჯია | 0:3 |
| XXIX ტური | ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) | 3:2 |
| XXX ტური | მეტალურგი-ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| XXXI ტური | ვიტ ჯორჯია-მერანი | 0:0 |
| XXXII ტური | კოლხეთი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |

*II ეტაპი: 10 მატჩი, 3 მოგება, 2 ფრე, 5 წაგება, ბურთები: 10-13*

*სულ: 32 მატჩი, 8 მოგება, 9 ფრე, 15 წაგება, ბურთები: 25-42*

მწვრთნელები: მერაბ კოჭლაშვილი (I-XXV ტური); ზურაბ ბერიძე (XXVI-XXXII ტური)

მეკარე: ნიკა დაუშვილი – 32 მატჩი;

მცველები: ჯემალ გოგიაშვილი – 27 მატჩი, 1 გოლი, ლაშა კასრაძე – 27 მატჩი, დავით ხურცილავა – 25 მატჩი, ოთარ ჯავაშვილი – 23 მატჩი, 1 გოლი, გიორგი გეთიაშვილი – 23 მატჩი, გურამ ადამაძე – 20 მატჩი, 2 გოლი, რევაზ ლანიაშვილი – 9 მატჩი, გიორგი მჭედლიშვილი – 7 მატჩი, დავით უბილავა – 6 მატჩი, ბადრი ტეტუნაშვილი – 3 მატჩი, ბექა ბუაჩიძე – 1 მატჩი, გიორგი კალანდია – 1 მატჩი;

ნახევარმცველები: გურამ გურეშიძე – 31 მატჩი, 1 გოლი, გიორგი ვასაძე – 28 მატჩი, 2 გოლი, გიორგი კორიფაძე – 27 მატჩი, 1 გოლი, ირაკლი ლიბრაძე – 22 მატჩი, 2 გოლი, შოთა დავლაშელიძე – 22 მატჩი, გიგა ჯულელი – 9 მატჩი, გიორგი ჯანელიძე – 8 მატჩი, 2 გოლი, ანდრო სოფრომაძე – 5 მატჩი, ნოდარ იაშვილი – 4 მატჩი, გიორგი ბუნტური – 1 მატჩი, გიორგი გაგნიძე – 1 მატჩი;

თავდამსხმელები: ელგუჯა ლობჯანიძე – 22 მატჩი, 4 გოლი, ლაშა გაბრიჭიძე – 18 მატჩი, 2 გოლი, ბესიკ ჩიმაკაძე - 16 მატჩი, 5 გოლი, ლევან კუხალეიშვილი – 14 მატჩი, 2 გოლი, ბექა ზაქრაძე – 7 მატჩი.

## ● ამხანაგური მატჩი. ბრაზილია-საფრანგეთი

**ბრაზილია-საფრანგეთი 3:0**

**გოლები:** 1:0 ოსკარი (54), 2:0 ერნანესი (85), 3:0 ლუკას მოურა (90-პენ)

**ბრაზილია** (4-2-3-1): ჟულიო სეზარი - დანი ალვეში, ტიაგო სილვა, დავიდ ლუისი, მარსელო - პაულინიო (87. დანტე), ლუის გუსტავო (81. ერნანესი) - ჰალკი (65. ლუკას მოურა), ოსკარი (65. ფერნანდო), ნეიმარი (89. ბერნარდი) - ფრედი (71. ჟო)

**საფრანგეთი** (4-3-2-1): ლორისი - დებუში, რამი, სახო, მატიო - კაბაი (82. გომისი), გილავოგი, მატუიდი (70. გრენიე) - ვალბუენა (70. ლაკაზეტი), პაიე - ბენზემა (70. ჟირუ)

**მაყურებელი:** 51 919

# 21 წლის შემდეგ

## ბრაზილიამ საფრანგეთი გაანადგურა



შეხვედრას წერტილი ლუკას მოურამ (№7) დაუსვა

კონფედერაციის თასის წინ, უკანასკნელი ამხანაგური მატჩი გამართა ბრაზილიის ნაკრებმა და საფრანგეთი დიდი ანგარიშით დაამარცხა. „სელესაოს" „მამლებთან" 1992 წლის შემდეგ (2:0, პარიზში) არ ჰქონდა მოგებული. ამ 21 წლის განმავლობაში ფრანგებმა მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი 1998 წლის მუნდიალის ფინალში და 2006 წლის ჩემპიონატის 1/4-ფინალში დაამარცხეს. გარდა ამისა, იყო რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა. მოკლედ, ბრაზილიას ფრანგებთან 6-მატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა (2 ფრე და 4 წაგება), რომელიც პორტუ ალეგრიში, „არენა დო გრემიოზე" დასრულდა.

სტუმრებს პრობლემები პირველივე წუთზე შეექმნათ - **უგო ლორისმა** საჯარიმოში მეტოქეების მოტყუება მოისურვა, მაგრამ მხედველობის არედან **ნეიმარი** დაკარგა, ვინც „ტოტენჰემის" მეკარეს ბურთი აართვა, მაგრამ ვერც დარტყმა მოახერხა და არც პასი გაუკეთებია, არადა, მისი რამდენიმე პარტნიორი კარგ პოზიციაში იმყოფებოდა. პირველი ტაიმი შედარებით თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა და უგოლოდ დასრულდა. აი, მეორე ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა და ანგარიშიც მალე, 54-ე წუთზე გაიხსნა - **ფრედის** პასით **ოსკარმა** ისარგებლა და ნაკრებში თავისი მე-6 გოლი გაიტანა.

ფრანგები ცდილობდნენ, მაგრამ ბევრი არაფერი გამოსდიოდათ. მინიმალური ანგარიში 85-ე წუთამდე შენარჩუნდა, რის შემდეგაც ცვლილებაზე შემოსული ფეხბურთელების ჯერი დადგა. ჯერ **ერნანესმა** (85-ე წუთზე), შემდეგ კი **ლუკას მოურამ** (90-ე წუთზე, პენალტით) საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს.

„სელესაომ" შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა და კონფედერაციის თასისთვის კარგი განწყობა შეიქმნა. ფრანგებმა კი ესპანეთთან და ურუგვაისთან მინიმალური სხვაობით (0:1) წაგებული მატჩების შემდეგ, ზედიზედ მესამე მარცხი განიცადეს. ბოლო გუნდი, ვისაც **დიდიე დეშამის** სამწყსომ გოლი გაუტანა, საქართველოს ნაკრებია...

### მატჩის შემდეგ

მატჩის შემდეგ გაკეთებული კომენტარებიც ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, როგორც გუნდების თამაში:

*„ჩვენ ზრდა უნდა განვაგრძოთ. ფაქტია, რომ ყოველი შეხვედრის შემდეგ ვუმატებთ და არ უნდა გავჩერდეთ. კონფედერაციის თასი კი მოგებით უნდა დავიწყოთ,"* - განაცხადა ოსკარმა.

*„მე ჩემს შანსს ველოდი და კმაყოფილი ვარ, რომ გოლი გავიტანე. ახლა, ეს მატჩი უნდა დავივიწყოთ და მომდევნო შეხვედრებზე ვიფიქროთ,"* - ეს უკვე ერნანესის სიტყვებია.

ლუიშ ფელიპე სკოლარი: *„ეს გამარჯვება თავდაჯერებას შეგვმატებს, რაც კონფედერაციის თასისთვის აუცილებელია. ბრაზილიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს ტურნირი და განსაკუთრებით მუნდიალი მოიგოს. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები უნდა გავხდეთ".*

სულ სხვა, პესიმისტური განწყობა იყო ფრანგთა ბანაკში:

უგო ლორისი: *„გუნდს ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში ფეხბურთი აღარ უთამაშია. ასეთი წაგება ძალიან საწყენია. გაცილებით უკეთ თამაში შეგვეძლო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ".*

*„მიუხედავად იმისა, რომ ეს ამხანაგური მატჩი იყო, ასეთი წაგება ძალიან სამწუხაროა. პირველ ტაიმში მეტოქის კარისკენ რამდენჯერმე დავარტყით, მაგრამ ვერ გავიტანეთ. მეორე ნახევარში კი გუნდი უბრალოდ მოიშალა და ჩვენ არაფერი გამოგვდიოდა. 0:3 ძალიან ცუდი შედეგია და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩვენ საშინელი მატჩი ჩავატარეთ,"* - განაცხადა იმედგაცრუებულმა **ქარიმ ბენზემამ.**

ბრაზილიის ნაკრები მომდევნო შეხვედრას შაბათს, იაპონიის ნაკრების წინაალმდეგ გამართავს. ფრანგები კი 14 აგვისტოს ამხანაგურ შეხვედრაში ბელგიას შეხვდებიან, 6 სექტემბერს კი თბილისში ჩამოვლენ.

### ზიკო: ბრაზილია მუნდიალს ვერ მოიგებს

სხვათა შორის, ლამის საყოველთაო ეიფორიის პირობებში, გამოჩნდა ერთი ადამიანი, რომელსაც მიაჩნია, რომ ბრაზილიის ნაკრები საშინაო მუნდიალს ვერ მოიგებს. ეს ადამიანი ლეგენდარული **ზიკო** გახლავთ.

მსოფლიოს სამი ჩემპიონატის (1978, 1982, 1986) მონაწილე და ბრაზილიის ნაკრებში 52 გოლის გამტანი ყოფილი ფეხბურთელი „გარდიანს" ესაუბრა და შემდეგ რამ განაცხდა: *„ის ფეხბურთელები, რომლებიც ახლა ნაკრებში არიან, მსოფლიოს ჩემპიონატს ვერ მოიგებენ. მთავარი პრობლემა გახლავთ ის, რომ მუნდიალამდე სულ რაღაც ერთი წელი დარჩა და ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორია ძირითადი შემადგენლობა".*

60 წლის *„თეთრ პელეს"* მიაჩნია, რომ ბრაზილიის ნაკრებში ძალიან ბევრი ახალგაზრდაა: *„გუნდი ზედმეტად ახალგაზრდულია. ბრაზილიის ნაკრებში ახალი თაობა მოვიდა და პასუხისმგებლობა ისეთ ფეხურთელს უნდა ავკიდოთ, როგორიც მაგალითად არის ნეიმარი, ვინც მხოლოდ 21 წლის გახლავთ და მსოფლიოს ჩემპიონატზე არასდროს უთამაშია. ჩვენ გამოცდილი, ისეთი ფეხბურთელები გვჭირდება, ვისაც მუნდიალზე უთამაშიათ და ბევრი რამ აქვთ ნანახი.*

იაპონიის და ყატარის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი ასევე მიიჩნევს, **რომ მანო მენეზეში** ცუდ დროს გააგდეს. ისევ „ფლამენგოს" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს და ფეხბურთელს მოვუსმინოთ:

*„მწვრთნელი ძალიან ცუდ დროს შეიცვალა. მენეზეშის გუნდი შეთამაშებას იწყებდა, როდესაც ის გაუშვეს და ახლა, სკოლარის ყველაფრის თავიდან დაწყება უწევს"*

ზიკოს აზრით, მომავალი მუნდიალის ფავორიტი არგენტინის ნაკრებია: *„თუ ისინი მოიგებენ, იმედი მაქვს, რომ ფინალში ბრაზილიას არ დაამარცხებენ, წინაალმდეგ შემთხვევაში ზუსტად ისევე დავიტანჯებით, როგორც 1950 ნელს, „მარაკანა" კი სამუდამო დაწყევლილ სტადიონაზე გამოცხადდება".*



ზიკო

## ● ბრაზილია. სერია A. V ტური

# რონალდინიომ ყოფილი გუნდი დაამწუხრა



რონიმ „გრემიოს" ორი გოლი გაუტანა

**კრისიუმა-ფლამენგო 0:3**

**გოლები:** 0:1 ერნანი (38), 0:2 გაბრიელი (53), 0:3 გაბრიელი (79)

**გაძევება:** ფაბინიო (18. კრისიუმა)

**კრუზეირო-ინტერნასიონ. 2:2**

**გოლები:** 0:1 ოტავინიო (23), 1:1 ელბერი (38), 2:1 ევერტონ რიბეირო (63-პენ), 2:2 გაბრიელი (74)

**გაძევება:** რიკარდო გულარი (79. კრუზეირო)

**ვასკო-ბაია 1:1**

**გოლები:** 0:1 ფერნანდაო (8), 1:1 კარლოს ალბერტო (22)

**გაძევება:** დიონესი (57. ბაია)

**პონტე პრეტა-ბოტაფოგო 0:2**

**გოლები:** 0:1 ზეედორგი (32), 0:2 ანტონიო კარლოსი (36)

**ატლ. მინეირო-გრემიო 2:0**

**გოლები:** 1:0 რონალდინიო (60-პენ), 2:0 რონალდინიო (90)

**ფლუმინენსე-გოიასი 2:1**

**გოლები:** 0:1 ვიტორი (71), 1:1 რაფაელ სობისი (82), 2:1 დენილსონი (87)

**გაძევება:** რაინერი (45. ფლუმინენსე)

**ვიტორია-ატლ. პარანაენსე 3:2**

**გოლები:** 1:0 ლ. კასერესი (28), 1:1 ედერსონი (30), 2:1 ბიანკუჩი (36), 2:2 ლუის ალბერტო (80), 3:2 დ. ესკუდერო (87)

**კორიტიბა-ნაუტიკო 1:0**

გოლი: 1:0 დეივიდი (1)

**კორინთიანსი-პორტუგეზა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორიტიბა | 5 | 3 | 2 | 0 | 6-3 | 11 |
| 2. ვიტორია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 3. ბოტაფოგო | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 4. ფლუმინენსე | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| 5. კრუზეირო | 5 | 2 | 2 | 1 | 11-6 | 8 |
| 6. ბაია | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| 7. სან პაულო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-2 | 7 |
| 8. გრემიო | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 9. ვასკო და გამა | 5 | 2 | 1 | 2 | 5-8 | 7 |
| 10. კრისიუმა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-10 | 6 |
| 11. ინტერნასიონ. | 5 | 1 | 3 | 1 | 8-7 | 6 |
| 12. კორინთიანსი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| 13. ფლამენგო | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| 14. ატლ. პარან. | 5 | 1 | 2 | 2 | 11-12 | 5 |
| 15. გოიასი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-9 | 5 |
| 16. ატლ. მინეირო | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 17. ნაუტიკო | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 18. პონტე პრეტა | 5 | 1 | 0 | 4 | 5-9 | 3 |
| 19. პორტუგეზა | 4 | 0 | 3 | 1 | 3-4 | 3 |
| 20. სანტოსი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |

**ბომბარდირები:** 4 - ედერსონი (ატლეტიკო პარანაენსე), ბიანკუჩი (ვიტორია), ფერნანდაო (ბაია); 3 - დეივიდი (კორიტიბა), ვილიამი (პონტე პრეტა)

**ბრაზილიაში მეხუთე ტურის რვა და მესამე ტურიდან გადმოტანილი ერთი მატჩი გაიმართა. მიმოხილვაც სწორედ ამ შეხვედრით დავიწყოთ, რადგან ეს მატჩი ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა...**

### რონალდინიო

„ატლეტიკო მინეირომ" ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი **რონალდინიომ** შეიტანა. გაუჩომ თავისი ყოფილი, აღმზრდელი კლუბი არ დაინდო და მასთან შეხვედრაში დუბლი შეასრულა. მასპინძლებს არ ჰყავდათ **ჟო**, რომელიც **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ბრაზილიის ნაკრებში გამოიძახა. ძირითადში მისი ადგილი **ალექსანდრომ** დაიკავა და სწორედ 32 წლის ვეტერანმა მოუპოვა საკუთარ გუნდს პენალტის შესრულების უფლება - მე-60 წუთზე, „ატლეტიკოს" ფორვარდი საჯარიმოში **დიდამ** წააქცია და არბიტრმა სტუმრების კარში 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც გოლად რონალდინიომ აქცია. მასპინძლები უპირატესობას მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ და ლოგიკური ის, რომ ბოლო წუთზე „დინიომ" მეორე გოლიც გაიტანა. 2:0 და „გრემიომ" სეზონში პირველი მარცხი განიცადა, „ატლეტიკო მინეირო" კი ბოლო ადგილს მოშორდა და მე-16 პოზიციაზე დამკვიდრდა.

ალსანიშნავია, რომ პორტუ ალეგრის წარმომადგენელს „მამლების" („ატლეტიკოს" მეტსახელი) კარში გოლი უკვე 4 მატჩია არ გაუტანია და მეტოქე 5 შეხვედრაა არ დაუმარცხებია. რონალდინიომ კი ჩემპიონატში თავისი პირველი ბურთები გაიტანა.

### დეივიდი

კვლავ შეუჩერებელია რონალდინიოს ყოფილი პარტნიორი („ფლამენგოში, 2011 წელს) **დეივიდი**, რომელმაც თავისი მორიგი გოლი გაიტანა, „კორიტიბამ" კი „ნაუტიკოს" მოუგო და ლიდერობა შეინარჩუნა. 33 წლის თავდამსხმელმა თავის გამოჩენა პირველივე წუთზე შეძლო, რის შემდეგაც ამ შეხვედრაში გოლი აღარ გასულა. „კორიტიბამ" მეტოქე ზედიზედ მეხუთედ დაამარცხა, დეივიდს კი ამ გუნდში ჩატარებულ 18 შეხვედრაში უკვე 11 გოლი აქვს გატანილი.

### ბიანკუჩი

ორმატჩიანი პაუზის შემდეგ ისევ გაიტანა **ლიონელ მესის** ბიძაშვილმა და საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. „ვიტორიამ" „ატლეტიკო პარანაენსეს" უმასპინძლა და ხუთგოლიან ტრილერში ლეგიონერების გოლების წყალობით მოუგო. ანგარიში პარაგვაელმა **ლუის კასერესმა** გახსნა, ვინც „ვიტორიაში" „ოლიმპიადან" გადავიდა და ახალ გუნდში პირველი გოლი გაიტანა, საგოლე გადაცემა კი მას **ბიანკუჩიმ** გაუკეთა. ამის შემდეგ, ჩემპიონატში თავისი მეოთხე ბურთი გაიტანა **ედერსონმა** და წონასწორობა აღადგინა. ედერსონს არ ჩამორჩა ბიანკუჩი და მანაც თავისი მეოთხე გოლი შეაგდო. მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე, სტუმრებმა ანგარიში კიდევ ერთხელ გაათანაბრეს, თუმცა 87-ე წუთზე, „ვიტორიას" მეორე არგენტინელმა ლეგიონერმა **დამიან ესკუდერომ** იაქტიურა და ქალაქ სალვადორის გუნდს მესამე გამარჯვება მოუტანა. ყველასთვის მოულოდნელად, ლიგის დებიუტანტი სატურნირო ცხრილში მეორე ადგილს იკავებს.

### ზეედორჟი

რონალდინიოს და დეივიდს არ ჩამორჩა კიდევ ერთი ვეტერანი და გოლის გატანა მანაც მოახერხა. „პონტე პრეტასთან" შეხვედრაში **კლარენს ზეედორფმა** ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა, რასაც 4 წუთში **ანტონიო კარლოსის** გოლი მოჰყვა. „ბოტაფოგომ" ასევე 10 ქულა მოაგროვა და წინა ტურში „ბაიასთან" განცდილი მარცხის შემდეგ, რეაბილიტაცია მოახდინა.

მეოთხე ადგილზეა ჩემპიონი „ფლუმინენსე", რომელსაც ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ამ ყველაფერს ობიექტური მიზეზი აქვს - „გოიასთან" გამართული მატჩის 45-ე წუთზე მასპინძლებს **რაინერი** გაუძევეს, მეორე ტაიმში კი დაწინაურება ლიგის დებიუტანტმა შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ აგებდა და მინდორზე კაცნაკლული იყო, „ფლუმ" უპირატესობა მოიპოვა და შეხვედრის შემოტრიალება შეძლო. მატჩის გმირად 17 წლის **დენილსონი** უნდა შევრაცხოთ - თინეიჯერმა ნახევარმცველმა „ფლუმინენსე" რიგებში და საერთოდ „დიდების ფეხბურთში" პირველი მატჩი ჩაატარა და გამარჯვების მომტანი გოლიც გაიტანა. ეს ყველაფერი 87-ე წუთზე მოხდა, 5 წუთით ადრე კი ანგარიში გამოცდილმა **რაფაელ სობისმა** გაათანაბრა.

### ფლამენგოს პირველი გამარჯვება

„ატლეტიკო მინეიროს" მსგავსად, სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა „ფლამენგომ". ბრაზილიის ყველაზე პოპულარული კლუბის მეტოქე დებიუტანტი „კრისიუმა" იყო, რომელსაც შეხვედრის მე-18 წუთზე **ფაბინიო** გაუძევეს. აქედან მოყოლებული, უპირატესობა მთლიანად სტუმართა მხარეს გადავიდა და „ფლამ" დიდი ანგარიშით იმარჯვა. ერთი ბურთი **ერნანმა** გაიტანა, ხოლო „ბაიადან" გადასულმა **გაბრიელმა** დუბლი შეასრულა.

თავად „ბაია", მიუხედავად კაცნაკლულობისა, „ვასკო და გამასთან" არ დამარცხდა და ცხრილის ზედა ნაწილში დარჩა.

„ბრაზილეირაოს" უახლოესი მატჩები 13 ივნისს გაიმართება, რის შემდეგაც ჩემპიონატი 7 ივლისამდე დაგვემშვიდობება, რადგან 15 ივნისს ბრაზილიაში კონფედერაციის თასი იწყება და სერია A-სთვის არავის ეცლება.

13 ივნისს კი მე-5 და მე-3 ტურის გამოტოვებული მატჩები გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან: „სანტოსი"-„ატლეტიკო მინეირო", „პორტუგეზა"-„ფლუმინენსე", „გრემიო"-„სან პაულო".

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი



ააშენებს თუ არა ჩელსი ახალ სტადიონს, ეს უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული

# ლილი ბრიჯი, ახალი იმედი

ორიოდე დღის წინ გამოცემა „დეილი მეილმა" „ჩელსის" უძველესი ოცნების ასრულებაზე შემოგვთავაზა მასალა. მოგეხსენებათ, **რომან აბრამოვიჩს** შვილობილი კლუბისთვის სუპერთანამედროვე სტადიონის აშენება ჰქონდა განზრახული, მაგრამ ლონდონის ცენტრში საკმარისი ფართის მიწის ნაკვეთი არა და არ გამოჩნდა. და აი, „ჩელსის" ამის შანსი, შესაძლოა, კიდევ ერთხელ მიეცეს, როცა ლონდონის სატრანსპორტო კომპანიის კუთვნილი 17 აკრის (69 ათასი კვ/მ) ფართი, სახელად „ლილი ბრიჯი", გასაყიდად გამოვა. თუმცა საუკეთესო შემთხვევაში ეს 2014 წლის გაზაფხულზე თუ მოხდება. ამჟამად მასზე რკინიგზის ხაზებით დაქსელილი სატრანსპორტო დეპოა მოწყობილი.

ლონდონის ცენტრში დიდი ხანია, რაიონ ერლ კორტის რეკონსტრუქციას აპირებენ. გენერალურ გეგმაში სამუშაოები სულ 77 აკრზეა დაგეგმილი, საიდანაც 17-ზე სწორედ „ლილი ბრიჯია" გადაჭიმული. სამუშაოების მწარმოებელი კომპანია მას ღია ვაჭრობის წესით უპირებს გაყიდვას. „ჩელსის" გარდა მიწის შეძენით დაინტერესებულია ასევე ძალიან ძლიერი კონსალტინგური კომპანია „კეპკო". ასე რომ, ჟურნალისტები მსოფლიოს მასშტაბით ცნობილ ფირმასა და რუს ოლიგარქს შორის სააუქციონო ომს ელიან. დაიწყო თუ არა რომელიმე დაინტერესებულმა მხარემ კონსულტაციები ლონდონის სატრანსპორტო კომპანიასთან, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

მიწის ნაკვეთის სასტარტო ღირებულება 200 მილიონ ფუნტს აღწევს, თუმცა მესაკუთრე არც იმას გამორიცხავს, რომ ის ხანგრძლივი საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, ე.წ ლიზინგით გასხვისდეს. „ლილი ბრიჯისთვის" ბრძოლის მოგების შემთხვევაში „ჩელსი" შეძლებს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „არსენალს" საშინაო შეხვედრებზე დასწრებაში სათანადო კონკურენცია გაუწიოს, რაც, ცხადია, მის შემოსავლებზეც სათანადოდ აისახება. აღსანიშნავია, რომ „ემირეიტსიც" ზუსტად 17 აკრზეა განლაგებული და ის 60 ათას მაყურებელს იტევს, მაშინ, როცა „სტემფორდ ბრიჯზე" მხოლოდ 41 837 ადამიანს შეუძლია ფეხბურთზე დასწრება. ძველი სტადიონის სრულფასოვანი რეკონსტრუქცია „ჩელსის" 600 მილიონ ფუნტამდე უჯდება, რის გამოც რომან არკადიჩს ახალი არენის აშენება ურჩევნია.

აუქციონში ჩართვამდე „ჩელსის" მთავარი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი: რაიონის თვითმმართველობის ორგანოსგან მან სტადიონის აშენების უფლება უნდა მიიღოს. წინასწარი ინფორმაციით კი, იქ მსგავსი იდეის ხმამაღლებული წინააღმდეგნი არიან. რომან აბრამოვიჩს საქმეზე ლონდონის მოქმედი მერის ზეგავლენის იმედი აქვს.

არსენალი

# საინტერესო წინადადება გერმანიიდან


ნიკლას ბენდტნერს იმედი აქვს, რომ უახლოეს ხანებში არსენალს სამუდამოდ დააღწევს თავს

ივნისის ბოლოს „არსენალს" მხოლოდ ორ ფეხბურთელთან, ფრანგ **სებასტიან სკილაჩისთან** (32 წლის, მცველი) და რუს **ანდრეი არშავინთან** (32, ნახევარმცველი) უმთავრდება კონტრაქტი. კლუბი მათ დატოვებას რომ არ მოინდომებდა, წინდაწინ იოლი გამოსაცნობი იყო, რადგან გუნდისთვის არც ერთსა და არც მეორეს აწ დასრულებულ სეზონში სარგებელი არ მოუტანია. ამას გარდა ლაპარაკია, რომ „ემირეიტსს" დატოვებენ: მეკარე **ლუკაშ ფაბიანსკი** (28, კონტრაქტი 2014-მდე), მცველი **ბაკარი სანია** (30, 2014-მდე), ნახევარმცველი **ემანუელ ფრიმპონგი** (21, 2014), თავდამსხმელები **ნიკლას ბენდტნერი** (25, 2014-მდე), **ჟერვინიო** (26, 2015-მდე) და **მარუან შამახი** (29, 2014-მდე). თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მოთამაშეებიდან სანიას, ჟერვინიოსა და ფაბიანსკის გარდა **არსენ ვენგერს** ვერავინ ვერაფერში დაეხმარება.

დანიელმა ბენდტნერმა, ვინც კიდევ ერთი ულიმღამო სეზონი გაატარა, ამჯერად „იუვენტუსში" იჯარით, განაცხადა, რომ მას ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი იწვევს და თუკი რაიმე განსაკუთრებული არ მოხდება, აქცენტს სწორედ მის შეთავაზებაზე გააკეთებს. „არსენალი" უკვე ხუთ კლუბს შეუთანხმდა ტრანსფერზე. გადაწყვეტილება ახლა უკვე ჩემი მისაღებია. ამისთვის დრო ნამდვილად მაქვს. გეტყვით, რომ ძლიერი კლუბები მიწვევენ. რამდენიმე მათგანის მთავარ მწვრთნელს უკვე ველაპარაკე კიდეც. გაინტერესებთ, არიან თუ არა მათ შორის „აინტრახტი" ან „მიონხენგლადბახი"? შეკითხვაზე არ გიპასუხებთ, მაგრამ გეტყვით, რომ გერმანიიდან საინტერესო წინადადება ნამდვილად მაქვს. ამ ქვეყანაში ფეხბურთი ძალიან მომძლავრდა და ამის ნათელი მაგალითი „ბაიერნი" და „დორტმუნდი" არიან," – განაცხადა ფეხბურთელმა.

გამოცემა „ნაზერნ ეხოს" ცნობით კი, „ნიუკასლმა" „არსენალს" 8,5 მილიონი ფუნტი შესთავაზა ჟერვინიოს სანაცვლოდ. ივუარელი გარემარბით დაინტერესებულია მარსელის „ოლიმპიკიც". „მეთოფეთა" რიგებში აფრიკელმა ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. 2012/13 წლის სეზონში მან პრემიერლიგაში 18 შეხვედრა ჩაატარა და აქედან 9-ჯერ შეცვლაზე შევიდა.

ამბები

## შკრტელი 14 მილიონად



მარტინ შკრტელი

„სპორტ მედიასეტის" ინფორმაციით, „ნაპოლის" „ლივერპულიდან" 28 წლის ცენტრალური მცველის **მარტინ შკრტელის** შეძენა სურს და მზადაა, ფეხბურთელში 11 მილიონი ევრო გადაიხადოს. პრობლემაც სწორედ ეს არის, რადგან მერსისაიდელები სლოვაკს 14-ად აფასებენ. კლუბები უახლოეს ხანებში კიდევ ერთხელ მიუსხდებიან მოლაპარაკებათა მაგიდას, რათა როგორმე გამოინახოს კომპრომისი. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის იანვარში „ენფილდზე" ფეხბურთელი „ნაპოლის" ამჟამინდელმა დამრიგებელმა **რაფა ბენიტესმა** მიიყვანა. ამის შემდეგ ისინი 1,5 წლის განმავლობაში მუშაობდნენ გვერდიგვერდ და ერთმანეთთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ.

## უარი გალათასარაის

სპორტული ვებგვერდების ცნობით, მოლაპარაკებები „გალათასარაისა" და „მანჩესტერ იუნაიტედს" შორის 26 წლის პორტუგალიელი ნახევარმცველის **ლუიშ ნანის** ტრანსფერზე დასრულებულია. მიზეზი მხარეთა პოზიციებს შორის სერიოზული სხვაობა აღმოჩნდა. სტამბოლელები მოთამაშეში, ვისაც კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ უმთავრდება, 7 მილიონ ევროს იხდიდნენ, „ეშმაკებმა" კი ის 10 მილიონად შეაფასეს. კომპრომისზე წასვლა კი ორივემ იუკადრისა. *„ნანის შესახებ მოლაპარაკებებს აღარ ვაწარმოებთ. რაც შეგვეძლო მაქსიმალურ თანხას ვთავაზობდით, რაზეც უარი მივიღეთ,"* - მოკლედ მოუჭრა თურქულ Milliyet-ს „გალას" პრეზიდენტმა **უნალ აისალმა**.

## გვიდეტი სანდერლენდში



ჯონ გვიდეტი

„სანდერლენდმა" „მანჩესტერ სიტისთან" 21 წლის შვედი ცენტრალური თავდამსხმელის **ჯონ გვიდეტის** ერთწლიან იჯარაზე მიაღწია შეთანხმებას. „სანდერლენდ ეხომ" „შავი კატების" ინტერესის შესახებ პირველად 9 ივნისს დაწერა. როგორც ჩანს, მხარეებმა საერთო ენა იოლად გამონახეს. იმის გათვალისწინებით, რომ **პაოლო დიკანიოს** მომდევნო სეზონის სტარტზე გარკვეული პერიოდი ტრავმირებული **სტივენ ფლეტჩერი** არ ეყოლება, იტალიელი სპეციალისტის გადაწყვეტილება იოლი ასახსნელია. მას ხომ თავდასხმაში ტრავმებისკენ მიდრეკილი კიდევ ერთი ფეხბურთელი **კონორ უიკჰემი** ჰყავს.

დიკანიო „ინტერის" ცენტრალური ნახევარმცველის **ჟოელ ობის** გადაბირებასაც აპირებს. ნიგერიელმა მთელი წელიწადი „ნერაძურის" სათადარიგოთა სკამზე გაატარა. 22 წლის ფეხბურთელს მილანელებთან კონტრაქტი 2017 წლამდე აკავშირებს. ის 6 მილიონ ევროდ არის შეფასებული. „სანდერლენდმა" მისი ყიდვა 2013 წლის იანვარშიც სცადა, მაგრამ მაშინ **ანდრეა სტრამაჩონისგან** უარი მიიღო.

## იუნაიტედი-უიგანი 11 აგვისტოს


დევიდ მოიესი

ინგლისში 2013/14 წლების საფეხბურთო სეზონს, ტრადიციულად სუპერთასის მატჩი გახსნის. საფეხბურთო ასოციაციამ გუშინ მისი ჩატარების თარიღი დაადგინა. ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი" და თასის გამარჯვებული „უიგანი" ერთმანეთს 11 აგვისტოს „უემბლიზე" შეხვდებიან. „კომუნითი შილდის" შეხვედრა სწორედ ლეგენდარულ სტადიონზე იმართება ხოლმე. ლონდონის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გამო შარშან გამონაკლისი დაუშვეს და ის სანდერლენდში გაიმართა, სადაც „მანჩესტერ სიტიმ" „ჩელსი" დაამარცხა. სუპერთასზე შედგება „ეშმაკების" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **დევიდ მოიესის** დებიუტიც. ახალი თავკაცი ეყოლებათ „ათლეტებსაც", თუმცა ვინ, ჯერჯერობით ამას ვერ გეტყვით. „უიგანის" პრეზიდენტ **დეივ უილანს** „ევერტონში" წასული **რობერტო მარტინესის** შემცვლელი ჯერ არ მოუძებნია. შეხვედრას 90-ათასიან „უემბლიზე" „იუნაიტედის" 35 და „უიგანის" მხოლოდ 15 ათასი გულშემატკივარი დაესწრება. 40 ათასი კი ბილეთი თავისუფალ გაყიდვაში იქნება.

## კოლოჩინის ოცნებას ახდენა არ უწერია


ფაბრისიო კოლოჩინი

„ნიუკასლის" 31 წლის არგენტინელი კაპიტანი **ფაბრისიო კოლოჩინი** სამშობლოში სათამაშოდ დაბრუნებას ჯერ კიდევ იანვარში გეგმავდა, მაგრამ **ალან პარდიუმ** მაშინ მას ტრანსფერზე კატეგორიული უარი უთხრა. „კაჭკაჭებს" სერიოზული სატურნირო პრობლემები აწუხებდათ. ვეტერანს იმედი ჰქონდა, რომ ამ ზაფხულზე მაინც მოახერხებდა „სან ლორენსოში" გადასვლას, მაგრამ ამჯერად კიდევ უფრო მტკივნეული დარტყმა მიიღო. კონტრაქტზე უარი ახლა უკვე მისმა აღმზრდელმა კლუბმა თქვა. მიზეზი საკომპენსაციო თანხის (8 მილიონი ევრო) გარდა ფეხბურთელის ხელფასიც გახდა. „ბიზნესმენებს, რომლებიც იანვარში მზად იყვნენ, ფაბრისიოს ტრანსფერი დაეფინანსებინათ, ურჩევნიათ ახალგაზრდა მოთამაშეების გადაბირებაში დაგვეხმარონ. ეს ასეც მოხდება. მოლაპარაკებები აღარ გაიმართება. არგენტინაში ახლა „ბოკასა" და „რივერსაც" კი უმძიმესი ფინანსური პრობლემები აქვთ," – განაცხადა „სან ლორენსოს" წარმომადგენელმა.

გვერდი მოამზადა **ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის ნაკრები



მარიო ბალოტელი რიო დე ჟანეიროს აეროპორტში

# სკუადრა აძურა ბრაზილიაშია

## ჯერ ჰაიტი, შემდეგ კონფედერაციათა თასი...

იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა ჩეხეთში სასურველ ფრეს მიაღწია და უკვე ბრაზილიაშია, სადაც კონფედერაციათა თასზე მიიღებს მონაწილეობას. „სკუადრა აძურა“ დღეს ამხანაგურ მატჩს გამართავს ჰაიტის გუნდთან და მოახლოებული ბატალიების წინ, გენერალურ რეპეტიციას გაივლის. ჰაიტისთან მატჩი უცებ დაიგეგმა - როგორც ჩანს, აპენინელებს ამ ნაკრების ესპანელებთან გარჯა მოეწონათ და სპარინგი შესთავაზეს... შეგახსენებთ, რომ ჰაიტიმ მინიმალური ანგარიშით წააგო „ფურია როხასთან“ (2:1) და ბოლო წუთებზე პატარა შტურმიც კი მოუწყო მრისხანე მეტოქეს. ან ჰაიტია იმაზე ძლიერი, ვიდრე წარმოგვედგინა, ან ესპანელები მიუდგნენ პაექრობას მეტისმეტად არასერიოზულად. მოკლედ, დღეს საინტერესო მატჩია, მაგრამ იქამდე ჩეხებთან შეხვედრა გავიხსენოთ და ჩეზარე პრანდელის მოვუსმინოთ:

### ჩეხეთთან თამაში

ივნისის დასაწყისში ყოველთვის გვიჭირს და ასე იყო გასულ სეზონშიც. გახსოვთ ალბათ, რუსეთთან ამხანაგურ შეხვედრაში 0:3 წავაგეთ, შემდეგ კი მოვუმატეთ და ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავედით. ჩეხებთან თამაშმა სწორედ რუსეთთან ჯახი გამახსენა, მაგრამ საბედნიეროდ, ქულა ავიღეთ. ეს დიდწილად ჯანლუიჯი ბუფონის დამსახურებაა, რომელიც ბრწყინვალედ გაისარჯა.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ გაცილებით მაღალ ტემპში თამაშია საჭირო, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. ბრაზილიაში ადრე ჩამოვედით, რაც ადაპტაციაში დაგვეხმარება და იმედია, კონფედერაციათა თასზე შესაძლებლობებს სრულად წარმოვაჩენთ.

### ბალოტელის გაძევება

მარიო ბალოტელის გაძევებამ ჩეხებს სერიოზული უპირატესობა მისცა, მაგრამ ამით ვერ ისარგებლეს. მარიოს მთელი თამაშის განმავლობაში ურტყამდნენ ფეხებში და ბოლოს, მაინც წამოაგეს პროვოკაციაზე. მას იცნობენ როგორც ფეთქებად ადამიანს და ამით სარგებლობენ. ბალოტელიმ უნდა ისწავლოს ემოციების კონტროლი, რომ ასეთი პროვოკაციების მსხვერპლი არ გახდეს. თუ სიმშვიდით უპასუხებს მეტოქეთა უხეშობას და მათ მხოლოდ გოლებით დასჯის, დროთა განმავლობაში მისი მისამართით აგრესია შეწყდება. ჩვენ გვერდში ვუდგავართ მას და პრობლემებსაც ერთად დავძლევთ.

### დე როსიმ რომა უნდა დატოვოს...

ჩეხებთან დე როსიმ მართლაც ვერ გაიბრწყინა და იმაშიც გეთანხმებით, რომ ბოლო პერიოდში მას უჭირს შესაძლებლობათა გამოვლენა. გამოსავალი? - შესაძლოა გაგიკვირდეთ, მაგრამ ჩემი აზრით, გამოსავალი დე როსის სხვა გუნდში გადაბარგებაშია. როგორც ვიცი, მისით „ჩელსი“ იჩენს ინტერესს და ეს არცთუ ურიგო ვარიანტია.

დანიელე ნამდვილი რომაელია და კარგად მესმის, რომ „ჯალოროსის“ დატოვება გაუჭირდება, მაგრამ პრაგმატულად თუ მივუდგებით საკითხს, სწორედ ასე იქნებოდა უკეთესი. „რომაში“ თითქოს გაიყინა და შესაძლებლობებს ველარ ავლენს - აშკარად ახალი გამოწვევა სჭირდება. პირადად მე, დე როსის სხვა გუნდში გადასვლას ვურჩევდი.

### კონფედერაციათა თასზე...

ქებათა ქება ეკუთვნით ფეხბურთელებს, რომ მომქანცველი სეზონის შემდეგ, ყოველგვარი წუწუნის გარეშე ეროვნულ ნაკრებში საასპარეზოდ ემზადებიან. თითოეულის თვალებში ცეცხლი ანთია და ეს ძალიან მსიამოვნებს. მოკლე დროში, უძლიერეს გუნდებთან მოგვიწევს ჭიდილი და ეს განსაკუთრებულ მოტივაციას გვძენს. ამ ტურნირზე ასპარეზობა გამოცდილების მიღების შესანიშნავი საშუალებაა, რადგან დიდი ალბათობით, მომდევნო ზაფხულსაც აქ მოგვიწევს ჩამოსვლა.

ვის ვისურვებდი ფინალში მეტოქედ? - ესპანეთის ნაკრებს, რადგან ამ გუნდთან ანგარიშები გვაქვს გასასწორებელი. დღემდე ვფიქრობ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალის მოგება შეგვეძლო და უბრალოდ, არ წაგვივიდა თამაში. თუ პირენეელებს გადავუარეთ, ევროფორუმზე დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესანიშნავი შანსი გვექნება.

### ჯერ ჰაიტი...

იტალიელებმა ჰაიტისთან ამხანაგური მატჩი დანიშნეს, რომელსაც სავარაუდოდ **ჩეზარე პრანდელი** ორი ტაქტიკური მონახაზის გამოსაცდელად გამოიყენებს. 4-3-3 თუ 4-3-1-2? - მწვრთნელი კვლავაც ასეთი დილემის წინაშეა და საინტერესოა, ამჯერად როგორ არჩევანს გააკეთებს. ჩეხეთთან ორი ფორვარდით შეუტია, მაგრამ ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა. იტალიამ შეტევაში ვერაფერი შექმნა და შესვენებაზე პრანდელი იძულებული გახდა, **სტეფან ელ შაარავი სებასტიან ჯოვინკოთი** შეეცვალა.

საერთოდ, იტალიელ ჟურნალისტებს ეჭვი აქვთ, რომ ბრაზილიაში მხოლოდ ოთხი თავდამსხმელით წასვლა შეცდომა იყო... ამ ოთხიდან ერთი ექსცენტრული **მარიო ბალოტელია**, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია გუნდის დალალატება; მეორე არცთუ კარგ ფორმაში მყოფი სტეფან ელ შაარავი; მესამე ბოლო ხანს ჩრდილში მყოფი სებასტიან ჯოვინკო და მეოთხე, თითქმის ვეტერანი **ალბერტო ჯილარდინო**. მოკლედ, აპენინელ ჟურნალისტებს ეჭვი აქვთ, რომ პრანდელის შეტევაში პრობლემები შეექმნება. მწვრთნელმა ამ თემაზეც გააკეთა კომენტარი და ბოლოს ისევ მას გადავცეთ სიტყვა:

*„შეტევაში დიდი არჩევანი მაქვს, მაგრამ კონკრეტულად ამ მომენტისთვის, თავდამსხმელთა უმეტესობა ცუდ ფორმაში იყო. ამიტომ, შევარჩიე ისინი, ვისიც მეიმედება. მართალია, განაცხადში ოთხი ნომინალური ფორვარდია, მაგრამ 4-3-3 სქემის შემთხვევაში, გარემარბად თამაში არაერთ ნახევარმცველს შეუძლია - თუნდაც ალესიო ჩერჩის, ალესანდრო დიამანტის და ანტონიო კანდრევას. მოკლედ, ამ თემაზე არ ვნერვიულობ და მოახლოებულ შეხვედრებს იმედით ველოდები“.*

**ლაშა ნიკლაური**

ინტერი

# კატანიელები ინტერის სამიზნეში

## გუარინს წასვლა არ სურს

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ინტერის“ მესვეურები „კატანიადან“ ორი არგენტინელი ფეხბურთელის გადაბირებას ლამობენ და ამ მიმართულებით, მოლაპარაკება აქტიურ ფაზაშია შესული. ლაპარაკია ორ შემტევზე: 28 წლის **პაბლო ბარიენტოსსა** და 25 წლის **ალეჰანდრო გომესზე**. პირველი უფრო შემტევი ნახევარმცველია, გასულ სეზონში 31 შეხვედრა ჩაატარა, 5 გოლი შეაგდო და ამდენივე საგოლე გადაცემა მიითვალა აქტივში. რაც შეეხება გომესს, ცენტრფორვარდია, 36 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, 8 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასი გააკეთა.

„ინტერის“ მესვეურებმა დაადასტურეს, რომ არგენტინელთა გადაბირება სურთ, მაგრამ იქვე დასძინეს, რომ სიცილიელები ძალიან დიდ თანხას ითხოვენ. მართალია, მილანელებმა კატანიელთა მოთხოვნილი თანხა არ დააკონკრეტეს, მაგრამ ჟურნალისტთა მტკიცებით, „ინტერის“ მესვეურებს 22 მილიონი ევრო ეძვირათ. მილანელები თანხის 15 მილიონამდე ჩამოწევას ითხოვენ და საბოლოო სიტყვა უკვე კუნძულელებზეა. წესით, ამ საკითხს უახლოეს დღეებში უნდა მოეფინოს ნათელი.

ამასობაში, ჟურნალისტებთან გასაუბრება **ფრედი გუარინმა** გადაწყვიტა და განაცხადა, რომ მისი სურვილი კარიერის „ინტერში“ გაგრძელებაა: *„ბოლო დღეებში, აქტიურად ვრცელდება ცნობები ჩემი სხვა გუნდში შესაძლო გადასვლის თაობაზე. ცოტა მიკვირს კიდეც, რადგან პირადად მე არავინ დამკავშირებია. როგორც არ უნდა იყოს, „ინტერიდან“ აბარგების სურვილი არ მაქვს. მილანურ გრანდში საკუთარი შესაძლებლობები არ ამომიწურავს“.*

**ლაშა ნიკლაური**




პაბლო ბარიენტოსი და ალეჰანდრო გომესი

მილანი

# ელ შაარავი არ იყიდება

## ტევესი გალიანის სამიზნეში

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ „მანჩესტერ სიტის“ მესვეურებმა **სტეფან ელ შაარავის** გადასაბირებლად „მილანს“ სარფიანი შეთვაზებით მიმართეს. „პატარა ფარაონის“ გარშემო დიდი აჟიოტაჟი ატყდა და „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი, **ადრიანო გალიანი** იძულებული გახდა განმარტება გაეკეთებინა:

*„ელ შაარავი არ იყიდება და აქ წერტილი უნდა დავსვათ. არ ვიცი, ვინ რა წინადადებას ამზადებს, მაგრამ ჩვენ მის განხილვას არ ვაპირებთ. პირიქით, ჩვენი მიზანი გუნდის გაძლიერებაა და რამდენიმე მიმართულებით ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. კარლოს ტევესი? - დიახ, მე მისი თამაში ძალიან მომწონს და უკვე დიდი ხანია მინდა „მილანში“ ვიხილო. მისი ხელფასი არ გვაშინებს და თუ ინგლისელები მოლაპარაკებაზე წამოვლენ, ტრანსფერის გასაჩარხად ყველაფერს გავაკეთებთ. მოკლედ, ელ შაარავი რჩება, ტევესი კი სამიზნეშია“.*

**ლაშა ნიკლაური**




სტეფან ელ შაარავი

სავარაუდო ტრანსფერი

# აბიდალი მონპელიესაც სურს

„ფრანს ფუტბოლის“ ცნობით, **ერიკ აბიდალის** შეძენას საფრანგეთის 2012 წლის ჩემპიონი აპირებს. „მონპელიედან“ წასვლას **ანრი ბედიმო** აპირებს, რომლის შეცვლაც კლუბის ხელმძღვანელებს სწორედ 33 წლის ფეხბურთელით სურთ. „ბარსელონადან“ წასვლის შემდეგ, საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მცველით არაერთი ფრანგული კლუბი დაინტერესდა, ასე რომ, გუნდის ახალ მწვრთნელ **ჟან ფერნანდესს** საკმაოდ სერიოზული კონკურენციის დაძლევა მოუწევს.

აბიდალი შეძენით ასევე დაინტერესებულნი არიან: „ლიონი“, „მონაკო“, „პარი სენ ჟერმენი“ და „ნიცა“. ამ გადმოსახედიდან, ფავორიტებად „მონაკო“ და პსჟ უნდა მივიჩნიოთ. მცირე შანსი არც „ლიონს“ აქვს, სადაც აბიდალს სამი სეზონი აქვს გატარებული, „მონპელიე“ კი ამ ხუთეულის აშკარა აუტსაიდერია, რადგან იგივე „ნიცასგან“ განსხვავებით, გუნდი მომდევნო სეზონში ევროთასებზე არ ითამაშებს.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდი

# შეფის სიტყვა კანონია: ლევანდოვსკი რჩება!

## პოლონელი გოლეადორი ბაიერნში წელს არ გაუშვეს, მომავალ წლამდე კი შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს



რობერტ ლევანდოვსკი მომდევნო სეზონშიც დორტმუნდში ითამაშებს

მორჩა, სპეკულაციებს ბოლო მოეღო! დორტმუნდის „ბორუსიამ" **რობერტ ლევანდოვსკი** მიუნხენის „ბაიერნში" არ გაუშვა, რაც იმას ნიშნავს, რომ 24 წლის პოლონელი გოლეადორი დორტმუნდში რჩება და მომავალ სეზონსაც იურგენ კლოპის გუნდში გაატარებს. მას „ბორუსიასთან" კონტრაქტი სწორედ 2014 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული და ფაქტია, რომ ამ გადაწყვეტილებით დორტმუნდელები რისკზე წავიდნენ (გაისად ლევანდოვსკი შეიძლება უფასოდ დაკარგონ), მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ამ ერთ წელიწადში ბევრი რამ შეიცვალოს.

რამდენიმე დღის წინათ რობერტმა ღიად თქვა, იმედია, კლუბის ხელმძღვანელები ჩემს სურვილს გაგებით მოეკიდებიან და გამიშვებენ იმ გუნდში, სადაც თამაში ძალიან მინდაო, მაგრამ „ბორუსიას" ხელმძღვანელებმა პრინციპული გადაწყვეტილება მიიღეს და ლევანდოვსკის „ბაიერნში" გადასვლის უფლება არ მისცეს.

„ის, რომ რობერტმა თავისი სურვილი ღიად დააფიქსირა, სავსებით ლეგიტიმურია, მაგრამ ასევე ლეგიტიმურია ჩვენი პოზიციაც, რომლის მიხედვითაც რობერტმა „ბორუსიასთან" გაფორმებული კონტრაქტი ბოლომდე უნდა შეასრულოს," - განაცხადა „დორტმუნდის" გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ**, რითაც პოლონელი თავდამსხმელის გარშემო ატეხილ ამბებს საბოლოო წერტილი დაუსვა.

სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** განმარტავს: „ფეხბურთელს და მის მრჩეველს ვაცნობეთ, რომ ლევანდოვსკის „ბაიერნში" ტრანსფერს არ დავთანხმებოდით."

ეს ყველაფერი ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ „დორტმუნდი" უარს ამბობს 25-დან 30 მილიონ ევროზეც. ფაქტია, რომ თუ სასწაული არ მოხდა და რობერტმა ახალი კონტრაქტი არ გააფორმა (რაც ნაკლებად სავარაუდოა), დორტმუნდელები მას გაისად უფასოდ დაკარგავენ. პრინციპული უარი დიდი ფულის ნაცვლად - ეს დორტმუნდელთა მხრიდან საკმაოდ სარისკო და ამავდროულად დასაფასებელი გადაწყვეტილებაა.

დიდი შანსია, რომ ამის გამო ლევანდოვსკიმ „ბორუსიაში" ისეთი მონდომებით აღარ ითამაშოს, რაც ნამდვილად არ იქნება გასაკვირი, მაგრამ ვატცკე დარწმუნებულია, რომ ასე არ მოხდება. „მესმის, რომ რობერტი იმედგაცრუებულია, რაც, შესაძლოა, მის თამაშზეც აისახოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდება და ლევანდოვსკი მომავალ სეზონსაც მაღალ დონეზე ჩაატარებს. მე ისეთ რობერტს ვიცნობ, რომელიც ამ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდება," - დასძენს ვატცკე.

### პიშჩეკის ტრავმა უფრო სერიოზულია

აქვე გეტყვით, რომ დიდი შანსია, **ლუკაშ პიშჩეკს** იძულებითი პაუზა გაუგრძელდეს. ლევანდოვსკის თანამემამულე მარჯვენა მცველმა ოპერაცია ახლახან გაიკეთა და მას 5-თვიან პაუზას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ „დორტმუნდის" ექიმებმა დამატებითი პრობლემები აღმოუჩინეს და აცხადებენ, რომ პიშჩეკმა ფეხბურთის თამაში, შესაძლოა, 7-8 თვის შემდეგღა განაახლოს.

არადა, ლუკაში „ბორუსიაში" ფაქტობრივად შეუცვლელი ფიგურაა. გასულ სეზონში მან 52-დან 46 ოფიციალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ მასზე დიდხანს მოედანზე მხოლოდ მეკარე **რომან ვაიდენფელერი** და ლევანდოვსკი იყვნენ.

ბაიერნი

# გომესს იუვეც გამოუჩნდა

## ბადშტუბერს ჟერემი მატიო შეცვლის?

მიუხედავად იმისა, რომ **რობერტ ლევანდოვსკი** ამ ზაფხულს „ბაიერნში" არ გადავა („დორტმუნდის" ბოსები პოლონელს რეკორდმაისტერში არ უშვებენ), ჩვენს გერმანელ კოლეგებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მიუნხენური გრანდი **მარიო გომესს** მაინც გაასხვისებს. ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ 27 წლის გომესი მაინც იტალიაში აღმოჩნდება, თუმცა მისი ხელში ჩაგდების ფავორიტი „ნაპოლი" აღარ არის. „კიკერის" ინფორმაციით, გომესისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში ახლა „იუვენტუსიც" ჩაება...

აქამდე გომესით სერიოზულად „ნაპოლი" და „ფიორენტინა" იყვნენ დაინტერესებულები, ახლა კი მარიოს გადაბირებისთვის „იუვეც" იბრძვის, ფეხბურთელის მრჩეველი **ული ფებერი** კი ამბობს, სავარაუდოდ, უახლოეს 8-10 დღეში გვეცოდინება, სად გააგრძელებს გომესი (კონტრაქტი „ბაიერნთან" 2016 წლამდე) კარიერასო. ფებერი „იუვენტუსის" დაინტერესებასაც ადასტურებს და ამბობს, რომ ტურინული გრანდი მარიოსთვისაც საკმაოდ კარგი ვარიანტია. „იუვეს" გასულ სეზონში სწორედ კარგი ცენტრფორვარდი აკლდა და მარტო **ფერნანდო ლორენტეს** ტრანსფერით არ კმაყოფილდება. გომესს კი „ბაიერნში" ჩატარებულ 174 მატჩში 113 ბურთი აქვს გატანილი, რაც მის შესაძლებლობებზე ნათლად მეტყველებს.

გერმანიის ნაკრებში მის ანგარიშზე 58 მატჩი და 25 გოლია. გომესი „ბაიერნში" 2009 წელს „შტუტგარტიდან" გადაბარგდა და მაშინ ბავარიელებმა მის სანაცვლოდ სარეკორდო თანხა, 35 მილიონი ევრო გადაიხადეს. ახლა კი ფაქტია, რომ „ბაიერნი" მას გაცილებით იაფადაც დათმობს. გუშინ „ბილდი" წერდა, რაკი მიუნხენური გრანდი ლევანდოვსკის ველარ ყიდულობს, შესაძლოა, გომესი დაიტოვოსო, მაგრამ „ბაიერნის" სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** „კიკერს" უთხრა, რომ მარიოს მდგომარეობა არც **ხოსეპ გვარდიოლას** მისვლის შემდეგ შეიცვლება და რომ მიუნხენელები ლევანდოვსკისა და გომესის საკითხებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილავენ. უფრო გასაგებ ენაზე - ზამერმა დაადასტურა, რომ ლევანდოვსკის ტრანსფერის ჩაშლა ავტომატურად გომესის შენარჩუნებას არ ნიშნავს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, გვარდიოლა **მარიო მანჯუკიჩთან** ერთად **კლაუდიო პისაროსაც** იტოვებს და ცენტრფორვარდის პოზიციაზე „დორტმუნდიდან" ნაყიდ **მარიო გიოტცესაც** მოიაზრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პეპს გომესი არ სჭირდება.

### პეპის პირველი სურვილი მატიოა?

„ბაიერნის" ხელმძღვანელების მთავარი საფიქრალი კადრების კუთხით ახლა დაცვის გაძლიერებაზე ზრუნვაა. ეს მას მერე გახდა აქტუალური საკითხი, რაც გაირკვა, რომ **ჰოლგერ ბადშტუბერი** „ბაიერნს" კიდევ დიდხანს ვერ დაეხმარება. „კიკერის" ცნობით, ერთ-ერთი კანდიდატი „ვალენსიას" უკანახაზელი **ჟერემი მატიოა**. 29 წლის მარცხენა მცველს დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში და „ვალენსიასთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, რაც გერმანელებს ესპანელებთან მოლაპარაკებებს გაუადვილებს.



მარიო გომესი შესაძლოა „იუვენტუსში" ამოჩნდეს

ბუნდესლიგა



ბუნდესლიგის ფეხბურთელებმა სეზონის საუკეთესო მწვრთნელად ფრაიბურგის თავკაცი კრისტიან შტრაიხი დაასახელეს...



...ფრანკ რიბერი კი - საუკეთესო ფეხბურთელად

# კიკერის სეზონის ლაურეატები

## საუკეთესო მწვრთნელი შტრაიხია, ფეხბურთელი - რიბერი

ავტორიტეტულმა გერმანულმა სპორტულმა გამოცემამ, „კიკერმა" ტრადიციული, სეზონის შემდგომი გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. ბუნდესლიგის ფეხბურთელებს შორის ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გერმანული სეზონის საუკეთესო მწვრთნელი არა **იუპ ჰაინკესი**, რომელმაც „ბაიერნს" ამ სეზონში ჰეთთრიკი შეასრულებინა, არამედ „ფრაიბურგის" თავკაცი **კრისტიან შტრაიხი** გახდა. 47 წლის შტრაიხმა, რომლის გუნდმა მართლაც სენსაციურად იასპარეზა და ბოლო ტურამდე ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოდა, ხმების 48.7 პროცენტი მიიღო. 68 წლის ჰაინკესი მეორე ადგილზე გავიდა - მას ხმების 23.7 პროცენტი ერგო, მესამე ადგილი კი ფრანკფურტის „აინტრახტის" 52 წლის დამრიგებელმა **არმინ ფეემ** დაიკავა (16.1%).

მწვრთნელებს შორის სეზონის მთავარ იმედგაცრუებად ბუნდესლიგის ფეხბურთელებმა „ვოლფსბურგიდან" გათავისუფლებული **ფელიქს მაგათი** დაასახელეს (31.8%), რომელსაც **თომას შააფი** (23.3%) და **მარკუს ბაბელი** (14.3%) მოსდევენ.

საუკეთესო ფეხბურთელის სტატუსი, როგორც მოსალოდნელი იყო, **ფრანკ რიბერიმ** დაიმსახურა - „ბაიერნის" 30 წლის ფრანგმა დრიბლიორმა ხმების 29.3 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზე დორტმუნდელი **რობერტ ლევანდოვსკი** გავიდა (17.3 პროცენტი), ხოლო მესამეზე **ბასტიან შვაინშტაიგერი** (12.4%). აღსანიშნავია, რომ დორტმუნდელი **მარკო როისი**, რომელიც პირველი წრის შემდეგ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით მეორე ადგილზეა, საბოლოოდ მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა.

მეკარეებში პირველობა არავის დაუთმო „ბაიერნის" გოლკიპერმა **მანუელ ნოიერმა** (23.2%), მეორეზე „დორტმუნდის" მეკარე **რომან ვაიდენფელერია** (20.6%), მესამეზე კი - „ჰამბურგის" მეკარე **რენე ადლერი** (19.7%). ბუნდესლიგის ფეხბურთელებმა საუკეთესო მსაჯად **კნუტ კირხერი** დაასახელეს (მეორე ადგილი: **ფლორიან მაიერი**, მესამე - **ფელიქს ბრიხი**). გამოკითხვაში მონაწილეობა სულ ბუნდესლიგის 228 ფეხბურთელმა მიიღო.

ამბები



ერენ დერდიოკი

### დერდიოკი უკრაინაში მიდის?

**ერენ დერდიოკს** უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ იმედებს ვერ ამართლებს. შვეიცარიელი თავდამსხმელი უკვე 24 წლისაა და დიდი შანსია, რომ „ჰოფენჰაიმიდან" უკრაინაში წავიდეს... „ჰოფემ" შარშან მის სანაცვლოდ 5 მილიონი ევრო გადაიხადა, მაგრამ ერენმა გასულ სეზონში ოდენ ერთი გოლის გატანა შეძლო და რა გასაკვირია, რომ ის „ჰოფეს" თავკაც **მარკუს გისდოლის** გეგმებში არ ჯდება. „ბილდის" ინფორმაციით, ხარკოვის დერდიოკით ხარკოვის „მეტალისტი" დაინტერესდა და მზადაა, „ჰოფენჰაიმს" 4 მილიონი ევრო გადაუხადოს.

### ალდერვეირელდი ლევერკუზენში?

**დანიელ კარვახალი** (რეალში), **დანიელ შვააბი** (შტუტგარტში) და **მანუელ ფრიდრიხი** (მიზანი უცნობია) წავიდნენ, **სოკრატის პაპასტატოპულოსმა** კი „დორტმუნდში" გადასვლა ამჯობინა - ლოგიკურია, რომ „ლევერკუზენი" დაცვის ხაზის გაძლიერებაზე ზრუნავს. „კიკერის" ცნობით, „ბაიერში" გადასვლის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი 24 წლის ბელგიელი **ტობი ალდერვეირელდია**, რომელიც „აიაქსში" თამაშობს და რომელსაც როგორც დაცვის მარჯვენა ფლანგზე, ისე ცენტრში თამაშიც შეუძლია. ალდერვეირელდს ამსტერდამელებთან კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლევერკუზენელებს მისი ტრანსფერი ძვირად არ დაუჯდებათ.

### მოურინიომ დრაქსლერი მოითხოვა

**მარიო გიოტცეს** შემდეგ ყველაზე ნიჭიერი გერმანელი ფეხბურთელი „შალკეს" ნახევარმცველი **იულიან დრაქსლერია**, რომელმაც ერთი თვის წინ გელზენკირხენულ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა და ამით „შალკეს" ფანები გააბედნიერა, მაგრამ გუშინ ისეთი ცნობები გავრცელდა, რომ შესაძლოა, დრაქსლერმა „შალკე" მაინც დატოვოს. „კიკერის" ინფორმაციით, 19 წლის ტექნიკური ნახევარმცველი **ჟოზე მოურინიომ** მოისურვა. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ დრაქსლერის კონტრაქტში სატრანსფერო თანხად 45 მილიონი ევროა მითითებული და თუ რომელიმე გუნდი ამდენს გადაიხდის, დრაქსლერს მაშინვე შეეძლება წასვლა. „ჩელსის" ფული არ უჭირს...



იულიან დრაქსლერი

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგა. ნომინანტები

# მარკას რჩეულები: კურტუადან მესიმდე

## სეზონის აღმოჩენები და იმედგაცრუებებიც

გაზეთმა „მარკამ" 150 ათასი მკითხველი გამოკითხა სეზონის სიმბოლური ნაკრების გამოსავლენად. მკითხველებს არჩევანის გაკეთება თითოეული პოზიციის მიხედვით უწევდათ. ასე მოხვდა ლა ლიგის 2012/13 წლების სიმბოლურ ნაკრებში „ბარსელონას" 4, „რეალის" 3, „ატლეტიკოს" და „რეალ სოსიედადის" 2-2 წარმომადგენელი.


„მარკას" მკითხველთა დრიმ თიმის საოცნებო შეტევის ხაზი

### სუპერშემტევი ტრიო

საუკეთესო გოლკიპერის ნომინაციაზე უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა მადრიდის „ატლეტიკოს" ბელგიელმა მეკარე **ტიბო კურტუამ**. ახალგაზრდა გოლკიპერმა ხმების 70% მიიღო, რაც სულაც არ არის გასაკვირი, მან ხომ 36 თამაშში მხოლოდ 28 ბურთი გაუშვა და „მარკას" ზამორას ტროფეის მფლობელიც გახდა. სხვათა შორის, ახლახან ბელგიელმა განაცხადა, რომ ლონდონის „ჩელსიში" არც გაისად დაბრუნდება და ისევ „როხიბლანკოს" ღირსებას დაიცავს. კურტუა „ატლეტიკოში" იჯარითაა, ისე კი **რომან აბრამოვიჩის** „ჩელსის" კუთვნილებაა.

მარჯვენა მცველის პოზიციაზე იმარჯვა „რეალ სოსიედადის" **კარლოს მარტინესმა**. ბასკმა გაუსწრო **დანი ალვეშს** (ბარსელონა) და **ანტონიო რუკავინას** (ვალიადოლიდი).

მარცხენა მცველებში მკითხველებმა „ბარსელონას" **ჟორდი ალბა** გამოარჩიეს. ესპანეთის ნაკრებში დამკვიდრებულმა ახალგაზრდა მცველმა აჯობა ბრაზილიელ **ფილიპე ლუიშს** (ატლეტიკო) და ფრანგ **ჟერემი მატიოს** (ვალენსია).

ცენტრალურ მცველებში ესპანურმა წყვილმა იმარჯვა: **სერხიო რამოსმა** „რეალიდან" და **ინიგო მარტინესმა** „რეალ სოსიედადიდან". მათ აჯობეს **ჟერარდ პიკეს** (ბარსელონა), **მირანდას** (ატლეტიკო), **ექტორ მორენოს** (ესპანიოლი) და **ფედე ფერნანდესს** (ხეტაფე).

ნახევარდაცვის სამეულში ყველაზე მეტი ხმით **სერხიო ბუსკეტსი** მოხვდა. მის გარდა სიმბოლურში აირჩიეს **ანდრეს ინიესტა** (ორივე „ბარსელონა") და **მესუთ იოზილი** (რეალი).

შეტევაში კი ყველაფერი ლოგიკურადაა - სიმბოლურში მოხვდა ლა ლიგის პირველი სამი ბომბარდირი: **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **კრიშტიანო რონალდო** (რეალი) და **რადამელ ფალკაო** (ატლეტიკო). ამ სამეულმა ჯამში ლა ლიგაში 108 გოლი გაიტანა!

ლა ლიგის საუკეთესო მწვრთნელად „მარკას" მკითხველებმა **დიეგო სიმეონე** დაასახელეს. „ატლეტიკოს" არგენტინელმა მწვრთნელმა სულ ცოტათი გაასწრო „რეალ სოსიედადის" ფრანგ თავკაც **ფილიპ მონტანიეს**.

საბოლოოდ, სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება: *კურტუა - კ. მარტინესი, ს. რამოსი, ი. მარტინესი, ალბა - იოზილი, ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, ფალკაო, რონალდო.*

### ისკო აღმოჩენა, მუნიაინი იმედგაცრუება

„მარკამ" მკითხველებს სეზონის 11 აღმოჩენის და 11 იმედგაცრუების დასახელებაც შესთავაზა პოზიციების მიხედვით.

სეზონის აღმოჩენათა ნაკრები ასეთია: **ადრიანი** (ბეტისი) - ანტონიო რუკავინა (ვალიადოლიდი), **ხორდი ამატი** (რაიო ვალეკანო), **რაფაელ ვარანი** (რეალი), **ანტუნეში** (მალაგა) - **პატრიკ ებერტი** (ვალიადოლიდი), **ასიერ ილიარამენდი** (რეალ სოსიედადი), **ისკო** (მალაგა) - **კარლოს ველა** (რეალ სოსიედადი), **იმანოლ აგირეჩე** (რეალ სოსიედადი), **დიეგო კოშტა** (ატლეტიკო). მწვრთნელი: **პაკო ხემესი** (რაიო ვალეკანო). როგორც ხედავთ, აქ უმეტესობა სან სებასტიანური კლუბიდანაა, გუნდში სამი ასეთი ფეხბურთელია.

სეზონის იმედგაცრუებათა ნაკრები ასეთია: **გორკა ირაისოსი** (ბილბაო) - **მიკაელ ესიენი** (რეალი), **ალბერტო ბოტია** (სევილია), **ოგუჩი ონიევუ** (მალაგა), **ევალდო** (დეპორტივო) - **იკერ მუნიაინი** (ბილბაო), **ალექს სონგი** (ბარსელონა), **კაკა** (რეალი) - **ადრიან ლოპესი** (ატლეტიკო), **ბაბა დიავარა** (სევილია), **ალექსის სანჩესი** (ბარსელონა).

როგორც ხედავთ, ბოლო ტურებში გამოცოცხლების მიუხედავად, „ანტინაკრებში" ალექსის სანჩესი მოხვდა. ამ გუნდში „რეალიდან" და „ბარსადან" 2-2 ფეხბურთელია.

ამხანაგური მატჩი

# ლეგენდები ბერნაბეუზე


ზინედინ ზიდანი ბურთით, უკან ფერნანდო რედონდო, ფაბრიციო რავანელი, პაულუ სოუზა და პიერლუიჯი კოლინა

მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე ამხანაგური მატჩი გაიმართა „რეალისა" და ტურინის „იუვენტუსის" ლეგენდებს შორის.

მასპინძელთა შემადგენლობაში ითამაშეს **რობერტო კარლოსმა, ფერნანდო იერომ, ივან ელგერამ, ფერნანდო რედონდომ, ლუიშ ფიგუმ, ფერნანდო მორიენტესმა, ბოდო ილგნერმა, კრისტიან კარამბემ** და სხვებმა.

„იუვეს" რიგებში ვიხილეთ **ჩირო ფერარა, მორენო ტორიჩელი, პაულო მონტერო, ედგარ დავიდსი, ჰასან სალიჰამიჯიჩი, პაველ ნედვედი, ფაბრიციო რავანელი, ანჯელო პერუცი** და სხვები.

აღსანიშნავია, რომ **ზინედინ ზიდანმა** და **ფაბიო კანავარომ** ჯერ ერთი გუნდის შემადგენლობაში ითამაშეს, მერე მეორის.

მატჩი „რეალმა" 2:1 მოიგო. ანგარიში მე-6 წუთზე ლუიშ ფიგუმ გახსნა, მეორე ტაიმში პაულო მონტერომ გაათანაბრა, თუმცა გამარჯვების გოლი **ივან პერესმა** 72-ე წუთზე გაიტანა იტალიელთა კარში.

ამბები

### ჰიდინკი პსჟ-ში?

ფრანგული და ესპანური მედიის აზრით, **კარლო ანჩელოტის** მადრიდის „რეალში" გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია. ამიტომ „პარი სენ-ჟერმენი" იტალიელი სპეციალისტის შემცვლელს ეძებს. ესპანური პრესა ასეთად ჰოლანდიელ **გუუს ჰიდინკს** მიიჩნევს. პსჟ-ს პრეზიდენტმა **ნასერ ალ-ხელაიფიმ** უკვე დაიწყო მოლაპარაკება მასთან. თავად ჰიდინკმა თავის მომავალზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჟურნალისტებს არ გასცა.

### რონის არდადეგები

პორტუგალიისა და რუსეთის ნაკრებების მატჩის შემდეგ **კრიშტიანო რონალდოსთვის** არდადეგები დაიწყო და მადრიდის „რეალის" 28 წლის ვარსკვლავიც დასასვენებლად წავიდა. ახლახან მან „ტვიტერზე" გამოაქვეყნა ფოტოები, თუ როგორ ისვენებს მეგობრებთან ერთად

*„მდინარეზე, მეგობრებთან ერთად, ვერთობით და ვსადილობთ"*, - დაასათაურა მან ეს ფოტოები.

### სან მამესის ნგრევა დაიწყო

ბილბაოს ასწლოვან სტადიონს, „სან მამესს", რომელსაც ესპანეთში საფეხბურთო კათედრალს უწოდებენ, ამწე მიადგა და სტადიონის დანგრევა დაიწყო. უკვე მორღვეულია სტადიონის ფასადი. ხოლო ფანებს უფლება მიეცათ სამახსოვროდ ნატეხები სახლში წაიღონ. სტადიონის დანგრევის პროცესი აგვისტოს ბოლომდე გასტანს.

„ბილბაო" კი „სან მამეს ბარიაზე" (ახალი „სან მამესი" ბასკურად) ითამაშებს, რომელიც 53 ათას მაყურებელს დაიტევს.

ახალი სტადიონი ძველის გვერდით მდებარეობს, როგორც კი ტრიბუნების სამი მეოთხედი გაიმართება, „ბილბაო" მეტოქეებს იქ მიიღებს, ეს კი 2013 წლის სექტემბრიდან მოხდება. მანამდე ბასკური კლუბი მეტოქეებს სან სებასტიანში „ანოეტაზე" უმასპინძლებს, სტადიონზე, რომელიც „რეალ სოსიედადის" კუთვნილებაა.

### მოუს პასუხი ინიესტას

ინგლისში **ჟოზე მოურინიომ** პირველი პრესკონფერენცია მოაწყო ლონდონის „ჩელსის" თავკაცის რანგში.

მრავალ საკითხთან ერთად პორტუგალიელმა **ანდრეს ინიესტას** გამონათქვამზეც გასცა პასუხი. „ბარსელონას" ნახევარმცველმა განაცხადა, რომ „რეალში" მოღვაწეობით ჟოზე მოურინიომ ესპანურ ფეხბურთს უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე სარგებელი.



ჟოზე პრესკონფერენციაზე

*„დიახ, თუ ესპანური ფეხბურთის ზიანი: „ბარსელონას" ჰეგემონიის შესუსტება, მე ეს ნამდვილად ჩავიდინე"*, - განაცხადა მოურინიომ.

50 წლის პორტუგალიელმა განაცხადა, რომ ხელშეკრულების ბოლომდე, ანუ 4 სეზონი აპირებს ლონდონურ კლუბში დარჩენას.

### პორტუს პაულუ ფონსეკა გაწვრთნის

პორტუგალიის ჩემპიონ „პორტუს" ახალი მწვრთნელი ჰყავს - **პაულუ ფონსეკა**.

ფონსეკა „ფასუშ დე ფერეირას" ყოფილი მწვრთნელია, მან პორტუგალიურ გრანდთან 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 40 წლის მწვრთნელს „ფერეირასთან" ხელშეკრულება ჰქონდა, ამიტომაც „პორტუმ" ის 1 მილიონ ევროდ გამოისყიდა.

ფონსეკამ პოსტზე **ვიტორ პერეირა** შეცვალა, რომელიც ახლახან საუდის არაბეთის „ალ აჰლის" ჩაუდგა სათავეში.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**





ძიუდო. ნაკრები

# სეულიდან მინსკში



საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები ამ დილით მინსკში გაფრინდა, სადაც 20 ივნისამდე დაჰყოფს და მონაწილეობას მიიღებს ევროპული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ საწვრთნელ კემპში. ჩვენი ნაკრები ორიოდე დღის წინათ დაბრუნდა სეულიდან, სადაც ასევე ერთობლივი შეკრება გაიარა მასპინძლებთან. არსებითად, შინაარსობრივად მინსკშიც იგივე ღონისძიებაა, მაგრამ განსხვავება დაფინანსებასა და სტატუსშია - კორეული ეტაპი თუ საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ მოაწყო, ახლანდელს ევროპული ფედერაცია აფინანსებს და იქ წამყვანი გუნდების უმეტესობა იქნება.

ჩვენი ნაკრების თავკაცმა **ირაკლი უზნაძემ** მინსკშიც ის ფალავნები წაიყვანა, რომლებიც კორეაში ჰყავდა, მანამ კი მასტერსზე იჭიდავეს, ოღონდ მათ ამჟამად 3 ძიუდოისტიც დაუმატა. ამდენად, ბელარუსში ევროპის ჩემპიონი **ამირან პაპინაშვილი** (60), ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი, შალვა ქარდავა** (ორივე - 66), ევროპის ვერცხლის მედალოსანი **ნუგზარ ტატალაშვილი** და ბრინჯაოს პრიზიორი **ზებედა რეხვიაშვილი** (73), ევროპის ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** და მესამე პრიზიორი **ლევან ნიკლაური** (81), ევროპის ჩემპიონი **ვალერი ლიპარტელიანი, ზვიად გოგოჭური** (90), კონტინენტის ორგზის ვიცე-ჩემპიონი **ლომერ ყორყოლიანი, ნოდარ მეტრეველი** (100) და ევროპის ვერცხლის მედალოსანი **ადამ ოქრუაშვილი** (+100) ივარჯიშებენ. ამათგან მეტრეველი ბოლო წლებში ძირითადად მძიმე წონაში გამოდიოდა, თუმცა მწვრთნელები 100-ში უპირებენ დაყენებას, წონის დაკლებას თუ მოახერხებს.

უზნაძის თქმით, ნელ-ნელა გვარდება შავდათუაშვილის პრობლემა. მოგეხსენებათ, ის ევროპის პირველობის წინ კვლავ შეაწუხა საზარდულმა და კონტინენტის პირველობაზეც ნატკენი ფეხით იჭიდავა. ამის მიუხედავად, მაინც დამაჯერებლად გაიმარჯვა, თუმცა, ცხადია, გარისკვა არ ღირდა და მანაც გარკვეული პერიოდი დაისვენა. სწორედ ამ მიზნით გამოტოვა მასტერსის ტურნირი. როგორც მწვრთნელმა გვითხრა, მისი პრობლემა იმ დონეზე კი მოგვარდა, რომ უკვე სრულად ვარჯიშობს.

ჩვენები მინსკიდან 20 ივნისს დაბრუნდებიან, 25-ში კი ბაკურიანში წავლენ, სადაც 7 ივლისამდე საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებას გაივლიან. ამით გუნდი აგვისტო-სექტემბრის გასაყარზე რიო დე ჟანეიროში გასამართავი მსოფლიოს პირველობისთვის მზადების გადამწყვეტ ეტაპს დაიწყებს, ამ ციკლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი კი 20-21 ივლისს მოსკოვში გასამართი „დიდი მუზარადი" იქნება.

**ირაკლი თავაძე**

მძლეოსნობა



ზურაბ გოგოჭური

# საევროპეო - ეროვნულის რჩეულნი

## საქართველოს ჩემპიონატმა საევროპო გუნდი დააკომპლექტა

წლეულს 22-23 ივნისს სლოვენიაში მძლეოსანთა გუნდური ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. შეჯიბრებაზე საქართველოს 25-კაციანი ნაკრები გაემგზავრება, რომელიც, უმთავრესად, გასულ უქმეებზე „დინამო-არენაზე" გამართული საქართველოს ღია ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით დაკომპლექტდება. ტურნირზე კი მრავლად იყვნენ როგორც გამოცდილი, ისე ახალგაზრდა ათლეტები. 9-კაციანი დელეგაცია სომხეთიდანაც გვეწვია. განსაკუთრებით სიმაღლეზე მხტომელმა **ზურაბ გოგოჭურმა** იყოჩაღა - 224 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო; **სალომე რიგიშვილის** ნატყორცნმა ბადრომ 55,60 მეტრი იფრინა; **მაიკო გოგოლაძე** სიგრძეზე 6,09 მეტრზე გადახტა, ხოლო ამავე სახეობაში **გიორგი გურეშიძემ** 7,43 მეტრით ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე **ბოლესლავ სხირტლაძეს** აჯობა.

საგულისხმოა ისიც, რომ „დინამო-არენაზე" თავი გამოიჩინეს 16 წლის ვანელმა **მარი ძაგნიძემ** (სიგრძეზე ხტომა) და ქუთაისელმა **გოგა მაღლაკელიძემ** (სამხტომი), რომლებმაც 1996-1997 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა მსოფლიოს პირველობის სალიცენზიო ნორმატივები შეასრულეს და 10-14 ივლისს დონეცკში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

- ჰოლანდიურ უტრეხტში 14-19 ივლისს 1997-1998 წლებში დაბადებულთა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება, - გვითხრა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ვასილ ბერიშვილმა**. - ტიტების ქვეყანაში, ალბათ, რვაკაციანი გუნდით გავემგზავრებით. იმ სპორტსმენებს წავიყვანთ, რომლებსაც მეტოქეებისთვის კონკურენციის გაწევა შეეძლებათ საპრიზო ადგილების დასაკავებლად. უკვე გადაწყვეტილია, რომ უტრეხტში მოსინჯავენ ძალებს მარი ძაგნიძე, გოგა მაღლაკელიძე, გიორგი მუჯირიძე (ბირთვი), თემურ აბულაშვილი (ბადრო) და მარი მარტინენკო (400 მეტრზე რბენა). დანარჩენი სამი სპორტსმენის ვინაობა მომავალ შაბათ-კვირას „დინამო-არენაზე" ახალგაზრდების საქართველოს პირველობაზე გაირკვევა. უროს ტყორცნაში სამი თანაბარი ძალის მძლეოსანი გვყავს - გიორგი ონიანი, თემურ ხაბელაშვილი და გურამ სამხარაძე. მათ შორის უძლიერესი გაემგზავრება ჰოლანდიაში. მსგავსი მდგომარეობაა ბადროსმტყორცნელ გოგონებშიც: ოღონდ აქ ორი კონკურენტია - ნათელა უშიკიშვილი და ნანი პაკელიანი, რომლებიც საქართველოს ღია ჩემპიონატზე შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ. 100 მეტრზე რბენაში ალექსანდრა მშვიდობაძე გვყავს მხედველობაში. ვნახოთ, რა შედეგს გვიჩვენებს მომავალ უქმეებზე...

ასპარეზობის ტექნიკურ შედეგებს ლელოს ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# საპრიზოს მიღმა

ბულგარულ ალბენაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში 30 ქვეყნის 163 წარმომადგენლი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ქართველებიც ჩაებნენ, მაგრამ საბოლოოდ კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ. ჩვენებურთა ბოლო ტურის პარტიები ასე დამთავრდა: რომან სკომოროხინი (რუსეთი)-**ზურაბ ჯავახაძე** 0:1, **დავით ზარქუა**-ალექსეი გორბატოვი (რუსეთი) 0.5:0.5, ვალერი ლილოვი (ბულგარეთი)-**თამაზ მგელაძე** 0:1, **ივერი ჭიღლაძე**-ვიქტორ გუემპელი (რუსეთი) 1:0. მგელაძემ, ჯავახაძემ და ჭიღლაძემ 6-6 ქულა მოაგროვეს, ხოლო ზარქუამ 5,5 ქულას მოუყარა თავი. 8 ქულით პირველ ადგილზე ტიგრან პეტროსიანი (სომხეთი) გავიდა. 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილები ემილიან პარლიგრასმა (რუმინეთი) და ჰრანტ მელქუმიანმა (სომხეთი) გაიყვეს. ქალებში პირველი იყო ინდონეზიელი ირინე სუდანკარი (5.5). მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა 5 ქულითა და მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა, რისთვისაც რეიტინგში 25 პუნქტი დაკარგა. ქართველმა ფიდეს ოსტატმა მგელაძემ კი მონაგარი 33 პუნქტით გაიმდიდრა.

**ვაჟა დანელია**

# პირველიდან - მეთორმეტეზე

ლას ვეგასში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობდა. უკვე გაუწყეთ, რომ ოთხი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად **თამაზ გელაშვილი** მეწინავეობდა. სამწუხაროდ, ასპარეზობის ბოლო ორ ტურში (შეჯიბრება ექვსრაუნდიანი იყო) ჩვენებური უესლი სოუსა (კანადა) და იან ელვესტთან (აშშ) დამარცხდა და საბოლოოდ მე-12 ადგილზე გავიდა. **გიორგი მარგველაშვილმა** მხოლოდ 3,5 ქულას მოუყარა თავი. ტურნირზე 5-5 ქულა 6-მა მოჭადრაკემ მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით პირველი ადგილი უესლი სოუმ დაიკავა.

**ვაჟა დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა. მეტოქე

# მახოვი - ერთწლიან შვებულებაში

ირკვევა, რომ თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს პირველობას გამოტოვებს რუსთა მძიმეწონოსანი „ვარსკვლავი", ჩვენი პლანეტის სამგზის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **ბილიალ მახოვი**, ვისაც ლონდონის ოლიმპიადაზე **დავით მოძმანაშვილმა** მოუგო ნახევარფინალში. დაღესტანში მოვარჯიშე ყაბარდოელი ამ დღეებში მახაჩყალაში ადგილობრივ ნაკრებს ესტუმრა შეკრებაზე და იქაურ მედიასაც მაშინ გაესაუბრა. „ექიმებმა მხარის მყესების გაწყვეტა დამიდგინეს - ტრავმა თებერვალში მსოფლიოს თასისთვის მზადებისას მივიღე. მოჭიდავისთვის ეს ძალზე არასასიამოვნო პრობლემაა. მაგალითად, მსგავსი ტრავმის გამო მახაჩ მურთაზალიევი იძულებული გახდა, ჭიდაობისთვის თავი დაენებებინა. ის მიზიარებდა თავის დიდ გამოცდილებას და მირჩევდა, არ გამეჭიანურებინა მკურნალობა. ტრავმის გამწვავებას მეც მირჩევნია, ერთი წელიწადი დავკარგო, ვიდრე - მთელი კარიერა, ამიტომ წავედი მიუნხენში, სადაც გავიკეთე ოპერაცია. სამკურნალო თანხა დაღესტანის ნაკრების მხარდაჭერის ფონდმა გადამიხადა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი სავიდ მურთაზალიევს და ომარ მურთუზალიევს. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ექიმები კარგ პროგნოზს მაძლევენ, ამასთან მაფრთხილებენ, რომ ქირურგიულ ჩარევას მხოლოდ 30%-ით შეუძლია საქმის გამოსწორება, დანარჩენი 70% კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარიმართება სარეაბილიტაციო პროცესი. ორი თვე თაბაშირით დავდიოდი, ახლა კი მოვიხსენი და ფიზიოთერაპევტის მეთვალყურეობით პირველი სარეაბილიტაციო კურსიც გავიარე, რომლის დროსაც ხელის ფუნქციის აღდგენაზე ვმუშაობდით. დარჩა კიდევ ორი კურსი, გერმანელი ექიმების თქმით კი სრულ ვარჯიშს დეკემბერში დავიწყებ. მომენატრა ჭიდაობა და მინდა, მალე გავიდე ხალიჩაზე. იმედია, აღდგენის პროცესი დაგეგმილზე დიდხანს არ გაგრძელდება და უკვე შემოდგომაზე შევძლებ სრულად ვარჯიშს"

ბუნებრივია, როგორც პიროვნებას და როგორც დიდ სპორტსმენს, მას მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ, თუმცა ცხადია, რომ შემოდგომაზე ბუდაპეშტში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში ის არ იქნება. ეს კარგი ამბავია ჩვენი მძიმეწონოსნებისთვის, რუსებმა ვინც უნდა დააყენონ, ისედაც მწვავე საკადრო კრიზისი აქვთ, მახოვი კი მათი ლიდერი იყო.

დასასრულს, ერთი ცნობაც რუსეთის ქალთა ნაკრებიდან - ახლახან იქ დასრულდა ქვეყნის პირველობა მანდილოსანთა შორის, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა ორი ლიდერის - **ვალერია ჩეპსარაკოვასა** (48) და ოლიმპიურ ჩემპიონ **ნატალია ვორობიოვასთვის** (72). ქალთა ჭიდაობაში იმ დონეზე კარგა ხანს ვერ გავალთ, ესენი ჩვენებურთა ძირითად კონკურენტებად რომ განვიხილოთ, თუმცა თბილისი მათ კარიერაში ფეხბედნიერი ქალაქია - მარტში ორივე ჩვენს დედაქალაქში გახდა ევროპის ჩემპიონი, 2009-ში კი ეს ტიტული ახალგაზრდებში მოიპოვეს. რუსეთის პირველობაზე ჩეპსარაკოვა ფინალში **ელენა ვოსტრიკოვასთან** დამარცხდა, რუს ქალთაგან პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვორობიოვამ კი ნახევარფინალში **ეკატერინა ბუკინასთან** წააგო. ბუკინას ფინალში **ტატიანა მოროზოვა** ტრავმის გამო საჭიდაოდ არ გამოუცხადდა და უბრძოლველად გახდა ჩემპიონი. „ზოგჯერ ოლიმპიური ჩემპიონებიც აგებენ. თუნდაც ბერძნულ-რომაულში ახლახან გამართული ქვეყნის პირველობა გაიხსენეთ, სადაც ალექსეი მიშინმა ლონდონის ოლიმპიადის გამარჯვებულ ალან ხუგაევს მოუგო. ამდენად, ჩეპსარაკოვასა და ვიორობიოვას წაგებებში გასაკვირი არაფერია. ბუკინას საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება უნივერსიადაზე მოუწევს, მსოფლიოს პირველობის წინ კი ვნახავთ, ვინ იქნება უკეთეს ფორმაში" - განაცხადა რუსეთის ქალთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, სახელოვანმა **იური შახმურადოვმა**.

**ირაკლი თავაძე**



ბილიალ მახოვი და დავით მოძმანაშვილი (მარჯვნივ)

თარიღები და მოვლენები

## 11-13 ივნისი

**11. 06. 1962.** დაიბადა **მანანა მნათობიშვილი** - აკრობატიკა

**11. 06. 2010. რაგბი.** IRB-ის ერთა თასზე საქართველომ შოტლანდიის „ა" ნაკრები დაამარცხა - 22:21.

**12. 06. 1912.** დაიბადა **შალვა ჩიხლაძე** - ბ\რ ჭიდაობა; თავ. ჭიდაობა. გარდაიცვალა 1997 წელს

**12. 06. 1923.** დაიბადა **ზაქრო თელია** - სპორტის მედიცინა. გარდაიცვალა 2003 წელს

**12. 06. 2011. წყალში ხტომა.** ქართულმა წყვილმა (**ჭოლა ჭანტურია, შოთა კორახაშვილი**) იტალიის გრან-პრიზე მე-5 ადგილი დაიკავა.

**12. 06. 2011. ფეხბურთი.** ქუთაისის „ტორპედოში" **ზაზა ზამთარაძისა და გიორგი კიკნაძის** მწვრთნელთა დუეტი დაინიშნა.

**13. 06. 1850.** დაიბადა **ანდრია დადიანი** - ჭადრაკი. გარდაიცვალა 1910 წელს

**13. 06. 2010. ხელბურთი:** წარუმატებლად დაასრულა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ეროვნულმა გუნდმა - წაგება იტალიასთან, ლატვიასთან და მოლდოვასთან.

**13. 06. 2011. პროფესიული კრივი. ავთანდილ ხურციძემ** IBO-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაიცვა. **დიონისიო მირანდა** ნოკაუტით დაამარცხა.

**13. 06. 2011. რაგბი.** ფრანგულმა „ეკიპმა" **მამუკა გორგოძე** საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ლეგიონერად დაასახელა.

## მილოცვა



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო დაბადების 70 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს სპორტის ამაგდარს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საქართველოს განათლების წარჩინებულ მუშაკს, ეროვნული კატეგორიის მსაჯს, ღირსების ორდენის კავალერს **მიხეილ სუმბათიანს**.

ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა

# 13 საფეხურით აინაცვლა

იტალიურ პადოვაში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი), რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით ითამაშა მე-7 ნომრად განთესილმა **მაკა ჩახნაშვილმა:** სტარტზე მან მასპინძელ მარიანა პეტრეის სძლია - 6:1, 6:4, მერე მილანა სპრემოს (სერბეთი) აჯობა - 6:2, 6:2 და ძირითად ბადეში გააღწია. იქ ითამაშებს **სოფიო შაფათავაც.** წყვილებში იგი მარინა შამაიკოსთან (რუსეთი) ერთად ჯორჯია ბრეშას და ჯულია პაირონეს (ორივე - იტალია) დუეტს დაუპირისპირდება.

საგულისხმოა, რომ წინა კვირის შედეგებით შაფათავამ მსოფლიო კლასიფიკაციაში 13 საფეხურით აინაცვლა და ამჟამად 225 ქულით 242-ეა, რაც მის კარიერაში საუკეთესოა. სამწუხაროდ, **ანა ტატიშვილი** ოთხი საფეხურით ჩამოქვეითდა. 78-ე ადგილზე მყოფი ქართველი ჩოგბურთელი ბირმინგემის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 235 ათასი დოლარი) ითამაშებს. სტარტზე იგი მე-15 ნომრად განთესილ იტალიელს - ფრანჩესკო სკიავონესთან გაარკვევს ურთიერთობას.

დღეისთვის მსოფლიო კლასიფიკაციაში ქართველ ჩოგბურთელთა მდგომარეობა ასეთია: 78 (74). ანა ტატიშვილი (834 ქულა), 242 (255). სოფიო შაფათავა (225), 310 (307). **ოქსანა კალაშნიკოვა** (145). 410 (409). მაკა ჩახნაშვილი (86), 490 (479). **სოფიო ქვაცაბაია** (64), 591 (538). **ეკატერინე გორგოძე** (43), 823 (825). **ნათია გეგია** (18).

ვაჟა **დანელია**

პარალიმპიზმი

# თვაურის ორი ვერცხლი

ბერლინში დამთავრდა მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. **ნიკოლოზ თვაურმა** (მწვრთნელები - **ზურაბ ხომასურიძე, დავით თურქია**), რომელიც უსინათლოა და მარჯვენა ხელის მტევანიც დაზიანებული აქვს, 100 და 200 მეტრზე ბრასით ვერცხლის მედლები მოიპოვა და 2013 წლის 12-16 აგვისტოს მონრეალში (კანადა) გასამართავ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მიიღო.

ლიტვის ქალაქ დრუსკინინკაიში მკლავჭიდელთა ევროპის ჩემპიონატზე მოსინჯა ძალები საქართველოს ეროვნული პარალიმპური კომიტეტის სახელით მოასპარეზე **ბესიკ ლეკიაშვილმა.** 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან მარჯვენა მკლავით ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ცაციათი კი მეოთხე ადგილზე გავიდა.

ვაჟა **დანელია**



ნიკოლოზ თვაური

ჭადრაკი

# რეკორდსმენი ჩემპიონი

დიდოსტატი **ნინო ხურციძე** სამ ათეულ წელიწადზე მეტია, ჭადრაკს თამაშობს. ამ ხნის განმავლობაში მრავალი წარმატებისთვის მიუღწევია შინ თუ გარეთ. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორმა 2000 წელს თავის დაფაზე ოქროს მედალიც დაიმსახურა. ორი წლის წინათ თურქეთში მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მესამე ადგილი დაიკავა. ევროპის გუნდურ პირველობებზე ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს ჯილდო მოიხვეჭა, დაფების მიხედვით კი ორჯერ ვერცხლი ხვდა.

შინაურ შეჯიბრებებშიც არაერთხელ გაუხარებია გულშემატკივრები. აქამდე ოთხჯერ (1989, 1993, 2005, 2006) იყო ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონი, ერთხელ კი ეს ტიტული ვაჟებშიც (1998) მოიპოვა, რაც ქართული ჭადრაკის ისტორიაში უნიკალური მოვლენაა.

და აი, მეექვსედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე - თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრებულ ქალთა 70-ე საიუბილეო ჩემპიონატში 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. 8 ქულით მეორე ადგილზე გავიდა **ნინო ბაციაშვილი.** შარშან ანაკლიაში მსგავს შეჯიბრებაში მან ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. წლეულს, როგორც ვხედავთ, კვარცხლბეკზე ერთი საფეხურით მაღლა აინაცვლა, არადა მიზანთანაც ახლოს იყო - ბოლო ტურში ჩემპიონატის რეალური ფავორიტის ხურციძის წინააღმდეგობა ვერ დაძლია. „ნინო ისე მიიწევს წინ, გრაფიკით ოქროს მედალი გაისად ეკუთვნისო", - იხუმრეს შეჯიბრების მონაწილეებმა. საგულისხმოა ისიც, რომ ბაციაშვილმა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში შარშან მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზეც მოსინჯა ძალები და დებიუტანტისთვის არცთუ ურიგოდ.

7,5 ქულით მესამე ადგილი **სალომე მელიამ** დაიკავა და ახლა მის სპორტულ კოლექციას ქვეყნის პირველობებში მოპოვებული სამივე სინჯის მედალი ამშვენებს: 2009 წელს მეორე იყო, 2010 წელს კი ყველას აჯობა. იმავე წელს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გუნდურში მესამე ადგილი ხვდა, პირადში კი ბოლო დაფაზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა, შარშანწინ გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებთან ერთად ბრინჯაო ერგო, პირადში-ოქრო. წლეულს ყაზახური ასტანიდან მსგავსი შეჯიბრების ვერცხლით დაბრუნდა. ევროპის გუნდური ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია როგორც ნაკრებთან ერთად, ისე - პირადში.

ნინო ხურციძემ ამჟამინდელი ჩემპიონობით ევროპის გუნდურ პირველობაზე გასამგზავრებლად საქართველოს ნაკრებში ადგილი დაიბევა, სხვებს კი საამისოდ ბრძოლა მოუწევთ.

გასულ უქმეებზე თბილისის ჭადრაკის სასახლეში ქალთა 70-ე ეროვნული ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა. გამარჯვებულსა და პრიზიორებს მედლები და ფულადი ჯილდოები საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, დიდოსტატმა **გია გიორგაძემ** გადასცა. დახურვის ცერემონიალის დამთავრების შემდეგ რეკორდსმენ ჩემპიონს (ქალთაგან საქართველოს პირველობა ექვსჯერ - ხუთჯერ ქალებში, ერთხელ - კაცებში - არავის მოუპოვებია) გავესაუბრეთ.

- დაძაბული ჩემპიონატი იყო. თანაბარი ძალის რამდენიმე დიდოსტატმა მოიყარა თავი. თუმცა არც დებიუტანტებთან - ეროვნულ ოსტატებთან ყოფილა პაექრობა იოლი. მაგალითად, მე ყველაზე რთული პარტია სწორედ ლიკა კობეშავიძესთან მქონდა. ლიკამ და ანა კუჭავამ წლეულს სკოლა დაამთავრეს და ახლა ეროვნული გამოცდებისთვის ემზადებიან, ამიტომ გაუჭირდათ ორ ფრონტზე ბრძოლა, თორემ, დარწმუნებული ვარ, უკეთესი შედეგები ექნებოდათ.

**- თქვენ როდის იგრძენით, რომ მეექვსედ შეგეძლოთ ოქროს მოპოვება...**

- მცირეწლოვანი შვილის გამო ბოლო ორი წელიწადია, მხოლოდ ოფიციალურ ტურნირებში ვთამაშობ. წლეულს, მაგალითად, მარტო ასტანაში გამოვედი მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში. პრობლემების მიუხედავად, ეროვნული პირველობისთვის ნორმალურად მოვემზადე. მეხუთე ტურის შემდეგ ვიგრძენი, რომ სამეულისთვის ბრძოლა შემეძლო. ვიბრძოლე და ოქროც მოვიდა.

**- თქვენი მეუღლე ბაჩანა მორჩიაშვილი საერთაშორისო ოსტატია. ის თუ გეხმარებათ?**

- შეძლებისდაგვარად, რადგან თავადაც მონაწილეობს ტურნირებში. საქართველოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდში კი ვერაფერს ვუსაყვედურებ - გვერდით მედგა.

**- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

- უპირველესად, მადლიერებით მინდა მოვიხსენიო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელები, რომლებმაც ბოლო წლებში ბევრი რამ გააკეთეს ჩვენთვის. თუნდაც ის რად ღირს, რომ საგრძნობლად გაიზარდა ეროვნული ჩემპიონატების საპრიზო ფონდი, რამაც უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახადა ეს შეჯიბრება. ამასთანავე, რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი დააწესეს. მაგალითად, წლეულს ხუთ-ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონების - ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის თასები გათამაშდება. ცხადია, ორივე ტურნირში გამოვალ. საქართველოს ჩემპიონობით ქვეყნის ქალთა ნაკრებში მოვხვდი და ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გავემგზავრები. არ არის გამორიცხული, ივნისში ევროპის პირად პირველობაზეც მიხილოთ. ასე რომ, წინ საინტერესო შეჯიბრებები მელის და ვეცდები, ქომაგები არ გავაწბილო.

ვაჟა **დანელია**

*სოფიკო ნიკოლაძის ფოტო*



ნინო ბაციაშვილი (მარცხნივ) და ნინო ხურციძის ბოლო ტურის შეხვედრას თვალს ადევნებს სალომე მელია

უკრაინული პრესიდან



აინარს ბაგაცკისი და გიორგი ცინცაძე

# ბაგაცკისი ცინცაძესა და საქართველოზე

უკრაინულ საიტ „ისპორტზე" ორ ნაწილად გამოქვეყნდა ინტერვიუ **აინარს ბაგაცკისთან.** ამ სპეციალისტს საქართველოში უკვე კარგად იცნობენ, სეზონნახევარი იმუშავა „სოხუმში", შარშან ჩვენს ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ ლატვიის ნაკრები ჩამოიყვანა, ხოლო 2012-13 წლების სეზონში უკრაინულ „ბუდიველნიკში" **გიორგი ცინცაძე** მიიწვია და ჩემპიონიც გახდა.

თავის მხრივ ლატვიელი მწვრთნელიც კარგად იცნობს საქართველოს, რაც ინტერვიუდანაც გამოჩნდა. უკრაინული პუბლიკაციიდან ჩვენი მკითხველისთვის ყველაზე საინტერესო დეტალები „ამოვჭერით".

## ცინცაძეზე

სეზონის შეფასებისას ბაგაცკისმა გიორგი ცინცაძის მაგალითი მოიხმო:

- წარმატება სტაბილურობამ განაპირობა. მთელი სეზონის განმავლობაში ერთი უიმედოდ წაგებული მატჩი არ გვქონია. ევროთასის ნახევარფინალშიც კი, „ბილბაოსთან" 18 ქულის სხვაობით რომ დავმარცხდით, ბოლომდე ვიბრძოდით და თამაშიდან არ „ამოვრთულვართ". მეტსაც გეტყვით: სეზონის დასაწყისიდან ბოლომდე ეტაპობრივად ვუმატებდით. ავილოთ თუნდაც გიორგი ცინცაძის მაგალითი. იგი რეგულარული ეტაპის პირველ ნაწილში, მეორეში და პლეი ოფში სხვადასხვა კალათბურთელი იყო. როცა ძირითადი გამთამაშებელი სეზონის სტარტზე 3.5 შეცდომას უშვებს, ხოლო პლეი ოფში - 1.5-ს, გამოდის, რომ საგრძნობლად გაიზარდა. ყოველი დაცვითი მოქმედება შეტევას მოსდევს. შეტევა კი გამთამაშებლებზეა დამოკიდებული. ჩვენს შემთხვევაში ცინცაძესა და დილეინიზე. უკრაინის ჩემპიონატის მეექვსე ფინალში „აზოვმაშთან" დავმარცხდით, მაგრამ ბოლო წამებამდე ვინარჩუნებდით მოგების შანსს, პირველ რიგში იმიტომ, რომ სულ სამჯერ დავკარგეთ ბურთი.

## ბიუჯეტზე

„ლელოში" სტუმრობისას გიორგი ცინცაძემაც აღნიშნა, რომ სეზონის დასაწყისში „ბუდიველნიკისგან" უკრაინის ჩემპიონობას არ ელოდნენ, რადგან სხვებთან შედარებით მოკრძალებული ბიუჯეტი ჰქონდა.

- სეზონის მსვლელობისას გამოქვეყნდა ევროთასის მონაწილეთა ბიუჯეტები. ჩვენზე ნაკლები მხოლოდ ერთ გუნდს ჰქონდა - ლიტვის „რუდუპისს". ყველაზე დიდი ბიუჯეტი „ყუბანს" აღმოაჩნდა (20 მილიონი დოლარი) და საკითხავია, რა ლოგიკით არ უნდა გამხდარიყო ჩემპიონი? „ბუდიველნიკმა" ევროთასზე თავისზე ორ და სამჯერ დიდი ბიუჯეტის მქონე კლუბებს გაასწრო. ერთი წამყვანი ევროპული გუნდის გენერალურმა მენეჯერმა მითხრა: ყოველ მოთამაშეზე ერთი მილიონი მაქვსო. ვუპასუხე: შესანიშნავია, ჩვენ კი ისეთი კალათბურთელები გვყავს, რომელთაც ჯამში აქვთ მილიონი.

## დისციპლინაზე

უკრაინელმა ჟურნალისტმა აინარს ბაგაცკისს ჰკითხა, ყველა გუნდში დილის 6 საათზე იბარებთ კალათბურთელებსო?

- სეზონის დასაწყისში ყველამ კარგად იცოდა, რას მოვითხოვდი. კიდევ არაერთი ახირება მქონდა. მაგალითად, მოთამაშე ზამთარში ვარჯიშის შემდეგ ქუდს თუ არ დაიხურავდა, 50 დოლარით ვაჯარიმებდი. თავად განსაჯეთ, რა უფრო იაფია: ჯარიმის გადახდა, თუ ქუდის ყიდვა? შხაპის მიღების მერე ზამთარში უქუდოდ გამოსვლის შემდეგ გაციების დიდი ალბათობაა. ამას კალათბურთელის მწყობრიდან დაახლოებით ერთი კვირით გამოსვლა მოჰყვება. მოთამაშეს უნდა ესმოდეს, რომ მისი გამოკლება გუნდს დააზარალებს.

## დამრჩენებზე

„ბუდიველნიკი" მომავალი სეზონისთვის ევროლიგისთვის უნდა მოემზადოს. საინტერესოა, ვის დატოვებას აპირებთ გუნდში...

- კლუბის პრეზიდენტთან ამ თემაზე უკვე ვილაპარაკე. 6-7 უკრაინელი კალათბურთელი ჩვენთან აუცილებლად ითამაშებს. საერთო შემადგენლობასთან დაკავშირებით კი აჩქარებას არ ვაპირებთ. ეს დამოკიდებულია გუნდის მიზნებზე და შეჯიბრებაზე, რომელშიც გამოსვლას ვაპირებთ - ევროთასი იქნება, ევროლიგა თუ NBA.

## ნატურალიზებულებზე

- როგორ ეკიდებით ნატურალიზებულთა საკითხს? - ჰკითხეს ბაგაცკისს.

- შევხედოთ საქართველოს ნაკრებს, რომელშიც იმდენ ნატურალიზებულს უთამაშია, ორი გუნდი შედგებოდა. ჩემს სუბიექტურ აზრს დავაფიქსირებ: ქვეყნის ნაკრები ადგილობრივებით შემდგარი ნაკრები უნდა იყოს. თუ გეხმარება უცხოელი, რომელიც ადგილობრივებს გაუმჯობესებაში უწყობს ხელს და მასთან ერთად რამის მოგება შეიძლება, კი ბატონო. თუ ასე არ არის - მაშინ რა საჭიროა? მაკედონიამ მაკალებთან ერთად მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევა იყო. სასაცილოა, ისეთი საკალათბურთო ქვეყანა, როგორიც ესპანეთია, რატომ აძლევს პასპორტს ამერიკელებს, თუ სერჟ იბაკა ნამდვილი ესპანელია?

## ფილოსოფიაზე

როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს სწორი კალათბურთი ბაგაცკისის თვალით? აი, პასუხიც:

- საფუძვლიანი შეტევა - ბურთი უნდა სტყორცნოს მან, ვინც თავისუფალია. თუნდაც ეს შეტევისთვის განკუთვნილი დროის მეათე წამზე მოხდეს, მთავარია თავისუფალ პოზიციაში იყოს. როცა სათადარიგოთა სკამიდან უყვირიან, მიდი, მიდი შეუტიე და მოთამაშე 5-დან მხოლოდ 1 ტყორცნას გამოიყენებს, საპასუხოდ კი 25 ქულას ჩააგდებენ, რა სარგებლობა მოაქვს ასეთ სწრაფ იერიშს? დაცვაც წესების დაცვას მოითხოვს, კალათბურთელებს უნდა შეეძლოთ გეგმის მიხედვით მოქმედება. შეტევა კი შემსრულებელთა ნიჭიერებაზეა დამოკიდებული. ზოგიერთი მეკითხება - რატომ არ ილებ წუთშესვენებებსო? ვპასუხობ: როცა ვატყობ, რომ მეტოქე კალათბურთელები ხელებს მუხლებს აბჯენენ, დაღლა ეტყობათ, რატომ უნდა ავილო წუთშესვენება? პირიქით, ამ დროს თამაშის ტემპის მომატებაა საჭირო.

ვაჟა **სიმონიშვილი**

თორნიკე შენგელიას ინტერნეტკონფერენცია

# ჯინობილი...
## ...ჯეიმსი და დურანტი

**საიტ sportall.ge-ზე მკითხველს რეგულარულად ეძლევა საშუალება, ცნობილ სპორტსმენებსა და სპორტულ მოღვაწეებს შეკითხვებით მიმართონ. ამჯერად ინტერნეტკონფერენციის სტუმარი „ბრუკლინ ნეთსის" ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელია იყო.**

*ირაკლი არქანია, 18 წლის:*

**- ძალიან მაინტერესებს, რა შეგმატა NBA-მ. ვიცი, ხშირად არ გიწევდა თამაში, მაგრამ თუნდაც ვარჯიშმა - უმაღლესი კლასის მოთამაშეებთან, როგორიცაა უილიამსი, ლოპესი, ჯონსონი და ა.შ.**

- გამარჯობა, ირაკლი! მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა თამაშმა არ მომიწია, მაინც ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე თითოეული ვარჯიშისგან და თითოეული მატჩისგან.

*მკითხველი:*

**- დერონი ძალიან „ბლატაობს"? :)**

- ვისთანაც გასდის, იმასთან...

*გიორგი ყორღანაშვილი, 14 წლის:*

**- თოკო, მაინტერესებს, ვინ არის შენი საყვარელი კალათბურთელი?**

- მანუ ჯინობილი, თუმცა ვთვლი, რომ ამჟამად ლიგაში საუკეთესო ლებრონ ჯეიმსი და კევინ დურანტი არიან.

*ირაკლი, 19 წლის:*

**- როგორი გრძნობაა, როცა ნამდვილი ვარსკვლავი ხარ?**

- მადლობა, რომ ვარსკვლავად მთვლი. მაგალითად, მე ძალიან მსიამოვნებს და ვაფასებ, როცა სრულიად უცხო ადამიანები ძალიან დიდ პატივს გცემენ შენი საყვარელი საქმის კეთებისთვის და აფასებენ ამას... ეს ძალიან კარგი შეგრძნებაა.

*მკითხველი:*

**- ხომ არ გიფიქრია NBA-ს რომელიმე შედარებით სუსტ კლუბში გადასვლა, სადაც უფრო მეტი სათამაშო დრო გექნება?**

- ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული, სად გადავალ და როგორ, თორემ ისეთ გუნდს შევარჩევდი, სადაც თამაში მომიწევდა, თუმცა იმედია, სადაც ახლა ვარ, შემდეგ წელს უფრო მეტი თამაში მომიწევს.

*მკითხველი:*

**- როგორ ფიქრობ, რა შანსები გვაქვს ევრობასკეტზე და საჭიროა თუ არა ზაზას დროებით შემცვლელად უცხოელის დამატება?**

- წარმატებით თამაში რეალურია. რაც შეეხება იმას, სჯობს თუ არა ზაზას დროებით შემცვლელად უცხოელი ავიყვანოთ, ამის თქმა გამიჭირდება. ალბათ, უფრო ადვილი გადასაწყვეტი იქნება ეს, როცა ნაკრები შეიკრიბება და გადავხედავთ გუნდის შესაძლებლობებს.

*ვილი, 15 წლის:*

**- არ გაქვთ სურვილი, რომ ერთხელ ჩავატაროთ ერთად ვარჯიში? ჩვენ, საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების წევრები, ძალიან ბედნიერი ვიქნებოდით... დიდი მადლობა.**

- დიდი სიამოვნებით ვივარჯიშებდი თქვენთან ერთად, თუ მიმიწვევთ.

*მკითხველი:*

**- რა არის აუცილებელი, NBA-ს მოთხოვნები რომ დააკმაყოფილო? სად ჯობია კარიერა დაიწყო, ამერიკაში თუ საქართველოში?**

- NBA-ს მოთხოვნები რომ დააკმაყოფილო, რამე კონკრეტული საჭირო არაა. ალბათ, უფრო ისაა საჭირო, რომ ყველა კომპონენტში იყო ძლიერი. რასაკვირველია, უმჯობესია, როცა თავიდანვე საზღვარგარეთ კვალიფიცირებულ კლუბში დაიწყებ კარიერას, თუმცა მნიშვნელობა არ აქვს, სად იქნები - იქაც და აქაც მაქსიმალურად უნდა იმუშაო საკუთარ თავზე.

*გიორგი შენგელია, 29 წლის:*

**- თორნიკე, მეც შენგელია ვარ და მინდა გითხრა, რომ ყველა შენგელია შენით ამაყობს! ხომ არ გაქვს რაიმე ისტორია, გვართან დაკავშირებით, რომელიც უცხოეთში გადაგხდა?**

- კურიოზი გვართან დაკავშირებით არ გადამხდენია, უბრალოდ, ხანდახან უჭირთ ხოლმე წარმოთქმა.

*მკითხველი:*

**- ერთი რჩევა მინდა: 15 წლის ასაკში სად სჯობია წასვლა, შენი აზრით - ევროპაში, ამერიკაში თუ საქართველოში დავრჩე? მინდა პროფესიონალი გავხდე. როგორ მოვიქცე?**

- გასავითარებლად მე პირადად ამერიკას ევროპას ვამჯობინებ, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, მნიშვნელობა არ აქვს, სად იქნები, აუცილებლად მაქსიმალურად უნდა იმუშაო საკუთარ თავზე.

*მკითხველი:*

**- რომელ კალათბურთელთან გაქვს ყველაზე კარგი ურთიერთობა „ბრუკლინში"?**

- მირზასთან (ტელეტოვიჩი). მაინც ევროპელია, „ჩვენიანია":)) განსხვავებული მენტალიტეტი გვაქვს.

*მკითხველი:*

**- მაინტერესებს, „ჩიკაგოსთან" რატომ არც ერთ თამაშში არ გენდო მწვრთნელი, მით უფრო, რომ კარგ ფორმაში იყავი და პლეი ოფის წინ „ვაშინგტონთან" სერიოზული შედეგიც აჩვენე?**

- არ ვიცი, მთავარი მწვრთნელია და მისი გადაწყვეტილება ასეთი იყო, ჩემთვის მიზეზი არ უთქვამს.

*ირაკლი, 21 წლის:*

**- შენი შრომისმოყვარეობის ამბავი ვიცი, რადგან ბავშვობაში ერთად ვთამაშობდით წერეთლის გამზირზე. მაინტერესებს, როგორი ურთიერთობა გაქვს ტეილორთან, რადგან ძირითადად, ერთად გიწევთ თამაში. ცოტა შურიანი ტიპი ჩანს და თუ გაქვთ ახლო, მეგობრული ურთიერთობა „ბრუკლინის" ვარსკვლავებთან, დარბაზის გარეთ?**

- ასევე წარმატებებს გისურვებ. ტეილორი კარგი ბიჭია, ვმეგობრობთ. მოედნის გარეთ უფრო მირზასთან ვახლობლობ.

*მკითხველი:*

**- ხედავ თუ არა შენს თავს „ბრუკლინის" სამომავლო გეგმებში და თუ გაქვს შემოთავაზება სხვა გუნდებისგან?**

- ვხედავ ჩემს თავს იმ გუნდში, სადაც ამჟამად ვიმყოფები და ჯერჯერობით ინფორმაცია არ მაქვს სხვა გუნდებისგან შემოთავაზებებზე.

*გიორგი, 29 წლის:*

**- გამომდინარე იქიდან, რომ „ნეთსში" ძალიან ცოტა ითამაშე, ხომ არ ფიქრობ, რომ გუნდის გამოცვლა სჯობს?**

- ჩემზე არ არის დამოკიდებული, გამოვიცვლი თუ არა გუნდს, მაგრამ ალბათ, არც მათ აწყობთ ისეთი მოთამაშის ყოლა, თუ არ გამოიყენებენ. თუ ასე მოხდება, თვითონვე მიიღებენ გადაწყვეტილებას, დამტოვონ თუ გამიშვან სხვა გუნდში.

*მკითხველი:*

**- როგორ გახსენდება დიდუბის მანეჟში გატარებული წლები?**

- ეს დარბაზი იყო ადგილი, სადაც თამაში დავიწყე და ეტაპობრივად ვვითარდებოდი.

*გიორგი, 25 წლის:*

**- შეგიძლია ეფექტური თამაში, დრიბლინგი, ჩატენვა. ასევე, ვიცი, რომ დაუღალავად ვარჯიშობ, თუმცა მაინტერესებს, 3-ქულიან ტყორცნას თუ უთმობ განსაკუთრებულ დროს?**

- ყოველთვის ვცდილობ, ყველა კომპონენტზე ვივარჯიშო.

*მკითხველი:*

**- ითამაშებდი თუ არა დოკ რივერსის ხელმძღვანელობით?**

- დიდი სიამოვნებით.

*მკითხველი:*

**- რომელ კალათბურთელს ან კალათბურთელებს გამოარჩევდი ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში?**

- ლებრონს, დურანტს და ჯინობილის გამოვარჩევდი.




„ბრუკლინი"-"ბოსტონი". თორნიკე შენგელია და პოლ პირსი

ქართველი თ[illegible]



# ბანვითარცა ლომი
## მარკოიშვილი თურქეთის ჩემპიონია... თითქმის

**მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაიმ" თურქეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში მესამედაც დაამარცხა „ბანვითი". ამჯერად მისსავე მოედანზე - 72:71 და ოქროს მოპოვებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. დღეს უკვე წარმოუდგენელია „ბანვითმა" 0:3 ჩამორჩენის შემდეგ ზედიზედ 4 მატჩი მოიგოს და გალათასარაელ „ლომებს" ჩემპიონობა აართვას. ფინალური სერია ხომ 4 გამარჯვებამდეა. სერიის მეოთხე შეხვედრა ისევ „ბანვითის" მოედანზე 12 ივნისს გაიმართება.

გუშინდელი მატჩის ანგარიშის შედეგი იოლი დასაწერია - 72:71, მაგრამ უნდა გენახათ, რა ამბები ტრიალებდა მოედანზე... მატჩი სანახაობრივი, დაძაბული გამოდგა და მეოთხე პერიოდამდე თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა. თუმცა მასპინძელმა ბანვითელებმა მეოთხე რაუნდში მცირე უპირატესობის მოპოვება მოახერხეს, სხვაობა 8 ქულამდეც გაზარდეს. სტამბოლელებმა საქმის გამოსწორება საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე დაიწყეს, როცა მარკოიშვილმა შორეული სამქულიანით სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა - 56:61. ამის შემდეგ „გალამ" კიდევ ერთი სამიანი ჩააგდო, თუმცა ეს ბოლო წამებზე მოხდა, მანამდე მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ სტუმართა გამარჯვების წინასწარმეტყველება იოლი არ იყო. თავად განსაჯეთ: საფინალო სირენამდე 14 წამით ადრე „ბანვითი" 3 ქულის სხვაობით იგებდა, თუმცა სწორედ ამ დროს **კარლოს აროიო** საჯარიმოში შეიჭრა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა (69:70). საპასუხო შეტევისას **სერკან ერდოგანმა** ერთი საჯარიმო გამოიყენა და „ბანვითი" 2 ქულით დააწინაურა.

„გალათასარაის" თამაშის გადასარჩენად 11 წამი რჩებოდა. ბურთი გვერდიდან მარკოიშვილმა შეიტანა, აროიო საჯარიმოში შეიჭრა, სამქულიან ზონაში თავისუფალ პოზიციაში მყოფი **ენდერ არსლანი** მოძებნა და... ზემოთ სწორედ არსლანის სამქულიანზე მოგახსენეთ: საფინალო სირენამდე 5 წამით ადრე „გალა" წინ გაიჭრა - 72:71. სწორედ ასეთი იყო საფინალო ანგარიში.

მანუჩარი ამჯერადაც შედეგიანად გაისარჯა, 31 წუთში 10 ქულა, 3 პასი და 2 მოხსნა მოაგროვა. მან 5 ორქულიანი, 7 სამიანი სტყორცნა და 2-2 გამოიყენა. „გალათასარაის" ბომბარდირი 15 ქულით კარლოს აროიო გახდა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

● თბილისის თასი



კოტე მიქაუტაძე ბურთისთვის ბრძოლაში, მარცხნივ ლევან ჩილაჩავა

# ხუთი ცვლილება ბორჯღალოსნების რიგებში

„თბილისის თასის“ გათამაშების მეორე ტურში საქართველოს ნაკრები ურუგვაის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ამ მატჩის შედეგი, ცხადია, მსოფლიოს კლასიფიკაციაზე გავლენას იქონიებს. შესაბამისად, შეხვედრის მნიშვნელობა ერთი-ორად იზრდება.

პირველ ტურში მზარდ ირლანდიასთან მარცხის შემდეგ „ბორჯღალოსნების“ მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** რამდენიმე ცვლილება განახორციელა. შერკინების პირველ ხაზში ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს მარჯვენა ბურჯი **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **ლევან ჩილაჩავა** (ტულონი) კი, სათადარიგოთა შორის გადაინაცვლებს.

მეორე ხაზში **ვახტანგ მაისურაძეს** (ალბი) **გიორგი ჩხაიძე** (ტარბი) შეუწყვილდება, რომელმაც ირლანდიასთან მატჩში მესამე ხაზში, რვა ნომრის პოზიციაზე ითამაშა. აქ ჰეიგმა „არმიას“ ახალგაზრდა მესამეხაზელი **ბექა ბინაძე** დააყენა. შესაბამისად, განაცხადში ვერ მოხვდა მეორეხაზელი **კონსტანტინე მიქაუტაძე** (ტულონი). შერკინებაში სხვა ცვლილება არ არის.

უკანა ხაზში მგეზავის პოზიციას **ლაშა ხმალაძე** (ლელო) დაიკავებს. მისი სეხნია, **ლაშა მალაღურაძე** კი სათადარიგოთა შორისაა. გარემარბის, **თამაზ მჭედლიძის** (მონ დე მარსანი) ნაცვლად **სანდრო თოდუა** (ალბი) ითამაშებს, რომელმაც ეროვნულ გუნდში ბოლოს თებერვლის დასაწყისში, ერთა თასის გათამაშების პირველ ტურში, ბელგიის ნაკრებთან მატჩში იასპარეზა.

სათადარიგოთა შორის იქნება შუამარბი **დავით კაჭარავა** (როდეზი), რომელსაც **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო) შეცვლის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა „თბილისის თასის“ პირველ ტურში მზარდ ირლანდიასთან წააგო - 15:20. ურუგვაელები კი, სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრებთან დამარცხდნენ - 9:37.

საინტერესო დაპირისპირებაა მოსალოდნელი ირლანდიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებს შორის. ამ მატჩში გამარჯვებული, შესაძლოა, საბოლოოდ თბილისის თასის მფლობელიც გახდეს.

### საქართველო-ურუგვაი

**საქართველო:** 15. ბექა ნიკლაური, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. თედო ზიბზიბაძე, 12. მერაბ შარიქაძე, 11. სანდრო თოდუა, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი ბეგაძე. 1. ირაკლი მირცხულავა, 2. რევაზ ბელქანია, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. ვახტანგ მაისურაძე, 5. გიორგი ჩხაიძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. ბექა ბინაძე.

16. სიმონ მაისურაძე, 17. ლევან ჩილაჩავა, 18. გიორგი ნემსაძე, 19. გივი ბერიშვილი, 20. ვაჟა ხუციშვილი, 21. ლაშა მალაღურაძე, 22. დავით კაჭარავა.

**ურუგვაი:** 15. ხერონიმო ეჩევერი, 14. მასიმილიანო გონსალესი, 13. ხოაკინ პრადა, 12. ალვერტო რომანი, 11. ლეანდრო ლეივასი, 10. ალეხო დურანი, 9. ხერმან ალვანელი. 1. ალექხო კორალი, 2. ნიკოლას კლაპენვახი, 3. მარიო საგარიო, 4. როდრიგო ესპიგა, 5. ფრანკო ლამანა, 6. სებასტიან საგარიო, 7. ფენანდო ვასკოუ, 8. ხუან გამინარა.

16. არტურო ავალო, 17. ფრანსისკო ხიმენესი, 18. როდოლფო დე მულა, 19. ხუან დე ფრეიტასი, 20. ხუან ტასისტრო, 21. ავგუსტინ დელ კასტიჯო, 22. გასტონ ხიბერნაუ.

### ს. აფრიკა-ირლანდია

**ს.აფრიკა:** 15. კონრად ფან ვეიკი, 14. ელშონ ბოკი, 13. ვილმორე ლოუ, 12. ადრიან ენგელბერხტი, 11. როსკო სპეკმანი, 10. კარელ სპეკმანი, 9. კებე ნტანდა. 1. ვინსენტ კოხი, 2. ფანკ ჰერნე, 3. ივან ესპახი, 4. ედვინ ფან დერ ვალტი, 5. ბრენდან სნეიმანი, 6. ბრაიან შაბანგუ, 7. სუზეირ კასიმი, 8. სანდრე იორდანი.

16. კვეზილოკუსა მხაფუ, 17. მარტინ დრეირი, 18. ლუბაბალო მტიანდა, 19. იაკო ბოუერი, 20. სინივუოი ნოიკა, 21. სტეფან ვატერმაიერი, 22. იერომ პრეტორიუსი.

**ირლანდია:** 15. დევიდ ქარნი, 14. ნაილ მორისი, 13. ბრენდან მექინი, 12. ნოელ რიდი, 11. თირნან ოჰალორანი, 10. იენ ქითლი, 9. ჯონ ქუნი. 1. ჯეკ მაკ გრასი, 2. ნაიჯელ ენეთი, 3. მაიკლ ბენთი, 4. დევიდ ფოლი, 5. იენ ნეგლი, 6. რის რადოქი, 7. ჯორდი მერფი, 8. რობი დიაქი.

16. რობ ჰერინგი, 17. რიჩარდ ლუთონი, 18. დევიდ ოქალაჰენი, 19. ეოინ მაკქიონი, 20. მაიკლ ჰინი, 21. ევან გრიფინი, 22. მაიკლ ალენი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამ.აფრიკა | 1 | 1 | 0 | 0 | +28 | 5 |
| 2. ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | +5 | 4 |
| 3. საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | -5 | 1 |
| 4. ურუგვაი | 1 | 0 | 0 | 1 | -28 | 0 |

**16 ივნისი**

**III ტური**

**საქართველო-ს. აფრიკა**
**ურუგვაი-ირლანდია**

● შვიდკაცა რაგბი. ევროპის ჩემპიონატი

# ქალები მეცხრეზე, კაცები ბოლოზე

შვიდკაცა რაგბიში საქართველოს ქალთა ნაკრებმა ჩეხეთში ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონში იასპარეზა და მე-9 ადგილი დაიკავა. ჩვენი გუნდი ამ დივიზიონში წლეულს პირველად ასპარეზობდა.

გათამაშებაში მონაწილე 12 გუნდი ორ ჯგუფში იყო განაწილებული. ჩვენი გუნდი A ჯგუფში მოხვდა. პირველი ორი შეხვედრა საქართველოს ნაკრებისთვის წარუმატებელი გამოდგა. ჩვენმა მორაგბეებმა დაძაბულ, თითქმის თანაბარ ბრძოლაში წააგეს, ჯერ პოლონეთის ნაკრებთან 7:15, მერე ხორვატებთან - 5:12.

გარდამტეხი ჩვენი ნაკრებისთვის მესამე შეხვედრა გამოდგა. ქართველმა მორაგბეებმა ტურნირის ფავორიტი, შვედეთის ნაკრები დაამარცხეს მშრალი ანგარიშით - 19:0. შვედებმა, მიუხედავად ამ მარცხისა, ჯგუფში საბოლოოდ მაინც პირველი ადგილი დაიკავეს, ტურნირის ფინალში გააღწიეს და იქ ბელგიის ნაკრებთან დამარცხდნენ. თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა, საიმისოდ, რომ შვედებმა ბელგიელებთან ერთად მომავალ წელს ელიტაში, ევროპის სერიის გრან პრიზე იასპარეზონ.

მეოთხე მატჩში საქართველოს ნაკრებმა დიდი ანგარიშით სძლია ავსტრიის გუნდს - 31:0, თუმცა ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში, ასევე დიდი ანგარიშით წააგო რუმინეთის ნაკრებთან - 0:55. შედეგად, ჩვენმა ქალებმა A ჯგუფში მეხუთე ადგილი დაიკავეს და ფიალასთვის, ანუ ტურნირზე მე-9 ადგილისთვის ბრძოლა განაგრძეს.

ფიალას ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებმა უნგრელებს მშრალი ანგარიშით მოუგო - 31:0. ფინალში კი, ასევე მშრალად დაამარცხა დანია - 28:0. ამრიგად ჩვენმა გუნდმა ფიალა მოიპოვა და A დივიზიონში ადგილიც შეინარჩუნა.

### ჯგუფი

**საქართველო-პოლონეთი 7:15, საქართველო-ხორვატია 5:12, საქათველო-შვედეთი 19:0, საქართველო-ავსტრია 31:0, საქართველო-რუმინეთი 0:55.**

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. შვედეთი - 13 ქულა, 2. პოლონეთი - 13, 3. ხორვატია - 11, 4. რუმინეთი - 9, 5. საქართველო - 9, 6. ავსტრია - 5.

### IX ადგილისთვის

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| საქართველო-უნგრეთი | 31:0 |
| ავსტრია-დანია | 7:22 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| საქართველო-დანია | 28:0 |

**საბოლოო მდგომარეობა:** 1. ბელგია, 2. შვედეთი, 3. ჩეხეთი, 4. პოლონეთი, 5. მოლდოვა, 6. შვეიცარია, 7. რუმინეთი, 8. ხორვატია, 9. საქართველო, 10. დანია, 11. ავსტრია, 12. უნგრეთი.

■ ■ ■

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა კი, საფრანგეთის ქალაქ ლიონში იასპარეზა და ბოლო ადგილზე გავიდა. ჯგუფურ ტურნირში ჩვენმა გუნდმა ხუთი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო. „შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა“ უკრაინის ნაკრები დაამარცხეს - 34:5.

საქართველოს ნაკრები ამის შემდეგ მე-9 ადგილისთვის ბრძოლაში ჩაება. თუმცა, აქაც ხელი მოეცარა. ჩვენი გუნდი ჯერ იტალიის ნაკრებთან დამარცხდა - 7:19. მერე კი უკრაინის გუნდთან ვერას გახდა - 7:12. ეს შეჯიბრება ქართველი მორაგბეებისთვის ბოლო რეპეტიცია იყო მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელიც მოსკოვში 28-30 ივნისს გაიმართება.

### ჯგუფი

**საქართველო-ესპანეთი 7:26, საქართველო-რუმინეთი 10:26, საქართველო-ინგლისი 12:20, საქართველო-უკრაინა 34:5, საქართველო-უელსი 7:40**

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. უელსი - 15 ქულა, 2. ინგლისი - 13, 3. რუმინეთი - 9, 4. ესპანეთი - 9, 5. საქართველო - 7, 6. უკრაინა - 7.

### IX ადგილისთვის

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| საქართველო-იტალია | 7:19 |
| უკრაინა-გერმანია | 7:12 |

### XI ადგილისთვის

**საქართველო-უკრაინა 5:19**

**საბოლოო მდგომარეობა:** 1. ინგლისი, 2. იტალია, 3. საფრანგეთი, 4. უელსი, 5. პორტუგალია, 6. შოტლანდია, 7. ესპანეთი, 8. რუმინეთი, 9. იტალია, 10. გერმანია, 11. უკრაინა, 12. საქართველო.



ქალთა ნაკრები

● მსოფლიოს ჩემპიონატი. U20

# იტალია ელიტაში დაბრუნდა

საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მეორე ტურის მატჩების შემდეგ ფავორიტები გამოიკვეთა. ტრადიციული პრეტენდენტების, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკისა და ავსტრალიის ნაკრებებთან ერთად, ჩემპიონობაზე პრეტენზიას უელსის, ირლანდიისა და არგენტინის ნაკრებები აცხადებენ.

A ჯგუფში მასპინძელ საფრანგეთთან გამარჯვების შემდეგ სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან წააგო ინგლისის ახალგაზრდულმა გუნდმა - 24:31. „უმცროსი ბოკეს“ შემადგენლობაში ისევ გამოირჩეოდნენ მგეზავი **რობერტ დუ პრი** და გარემარბი **სეაბელო სენატლა.** ამ უკანასკნელმა ინგლისელებს ორი ლელო გაუტანა.

B ჯგუფს ორი დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს, ახალი ზელანდია და ირლანდია. „უმცროსმა ოლ ბლექსმა“ ავსტრალიის ახალგაზრდულ ნაკრებს დაძაბულ ბრძოლაში მოუგო - 14:10. „სამყურებმა“ კი ფიჯის ნაკრები დატოვეს უშანსოდ - 46:3. ორ-ორი ლელო გარემარბებმა **დარენ სვიტნემმა** და **რორი შოლესმა** მიითვალეს.

ორი გუნდი ლიდერობს C ჯგუფშიც. უელსისა და არგენტინის ნაკრებებმა ორ-ორი გამარჯვება მიითვალეს. „უმცროსმა პუმებმა“ მეორე ტურში სამოას ნაკრებს სძლიეს - 28:16. თავი მგეზავმა **ემილიანო ბოფელიმ** გამოიჩინა, რომელმაც თავისი ფეხჩუბინობის წყალობით გუნდს 18 ქულა მოუტანა. გაცილებით მწვავე გამოდგა უელსისა და შოტლანდიის ნაკრებების ბრძოლა. „წითელმა ურჩხულებმა“, მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ, მეტოქეს მხოლოდ ხუთი ქულის სხვაობით მოუგეს - 26:21. მათ შორის საუკეთესო მგეზავი **სემ დევისი** იყო, რომელმაც 16 ქულა მიითვალა.




ამასობაში გაირკვა „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფას“ გამარჯვებული. იტალიის ნაკრებმა ჩილეში გამართული ტურნირის ფინალში კანადის გუნდს მოუგო - 45:23 და მომავალ წელს ისევ ელიტაში იასპარეზებს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში. „უმცროსი სკუადა აძურა“, სავარაუდოდ, აშშ-ს ადგილს დაიკავებს.

### A ჯგუფი

**სამხრეთ აფრიკა-ინგლისი 31:24, საფრანგეთი-აშშ 45:3**

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. სამხრეთ აფრიკა - 9 ქულა, 2. ინგლისი - 5, 3. საფრანგეთი - 5, 4. აშშ - 0.

### B ჯგუფი

**ირლანდია-ფიჯი 46:3, ახალი ზელანდია-ავსტრალია 14:10**

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ახალი ზელანდია - 9 ქულა, 2. ირლანდია - 9, 3. ავსტრალია - 2, 4. ფიჯი - 0.

### C ჯგუფი

**არგენტინა-სამოა 28:16, უელსი-შოტლანდია 26:21**

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. უელსი - 9 ქულა, 2. არგენტინა - 9, 3. შოტლანდია - 1, 4. სამოა - 0.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგვავაძემ**

ჩოგბურთი. ტურნირების წინ



ენდი მარეი ემზადება

# ენდის დაბრუნება და როჯერი საკუთარი თავის ძიებაში

## გუშინ, სამ ქალაქში უიმბლდონისთვის მზადება დაიწყო

ამ კვირას, ჰალეში, ლონდონსა და ბირმინგემში 2013 წლის სეზონში პირველად იმართება ტურნირები ბალახისსაფარიან კორტებზე. ამით, ოფიციალურად დაიწყო მზადება "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირისთვის - უიმბლდონისთვის, რომელიც 24 ივნისს აილებს სტარტს.

### ჰალე

როლან გაროსის მეოთხედფინალში **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან** წაგების შემდეგ, **როჯერ ფედერერი** ბალახის სეზონს იწყებს. ის ბრუნდება ჰალეში, სადაც ხუთი ტიტული მოუპოვებია და კიდევ ორჯერ ფინალში უთამაშია. შარშანდელ ფინალში შვეიცარიელი დამარცხდა გერმანელ **ტომი ჰაასთან**. წელს, ეს დამსახურებული ვეტერანები, შესაძლოა, ნახევარფინალში გადაეყარონ ერთმანეთს.

მაგრამ, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ფედერერმა და ჰაასმა ჰალეში წყვილთა თანრიგში ერთად გამოსვლა გადაწყვიტეს. თუ შარშანდელ ოლიმპიადას არ ჩავთვლით, ფედერერისთვის ეს არის წყვილებში თამაშის პირველი შემთხვევა 2011 წლის შემდეგ, როცა მან და **სტანისლას ვავრინკამ** ინდიან უელსის ფინალამდე მიაღწიეს. ჰალეს ტურნირის პირველ წრეში, როჯერისა და ტომის დუეტი 2011 წლის უიმბლდონის ჩემპიონებს - **იურგენ მელცერსა** და **ფილიპ პეტცშნერს** შეხვდებიან.

ერთეულთა თანრიგში ფედერერიც და ჰაასიც მეორე წრიდან ჩაებმებიან ბრძოლაში.

### ქუინზ კლაბი

**ენდი მარეი**, რომელმაც როლან გაროსი ზურგის ტრავმის გამო გამოტოვა, მზად არის სეზონის გასაგრძელებლად. "ქუინზ კლაბის" ტურნირზე ბრიტანელი პირველ ნომრად არის განთესილი და თამაშს მეორე წრიდან დაიწყებს. მისი პირველი მეტოქე ფრანგი **ნიკოლა მაუსა** და ამერიკელი **რაიან უილიამსის** შეხვედრაში გაირკვევა. მეოთხედფინალში ენდიმ შეიძლება ითამაშოს უკრაინელ **ალექსანდრ დოლგოპოლოვთან**, ნახევარფინალში კი ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან**, რომელიც 2011 წელს, "ქუინზ კლაბის" ფინალში ჰყავს დამარცხებული.

აქ პირველ რვა განთესილს შორის ასევე ვხედავთ **ტომაშ ბერდიხს, ხუან მარტინ დელ პოტროს**, შარშანდელ ჩემპიონს **მარინ ჩილიჩს, სემ კუერისა** და **კევინ ანდერსონს**...

ტიტულისთვის ბრძოლაში ჩართვა შეუძლიათ **გრიგორ დიმიტროვს, იარკო ნიემინენს, ჟულიან ბენეტოს, ბერარდ ტომიჩსა** და ტურნირის ოთხგზის ჩემპიონს **ლეიტონ ჰიუიტს**.

### ბირმინგემი

ქალთა შორის ბალახის კორტებზე პირველ ტურნირს, ტრადიციულად, ბირმინგემი მასპინძლობს. ამ შეჯიბრის ბადე იმდენად თანაბრია, რომ იქ მოგება 56 მონაწილიდან პრაქტიკულად ყველას შეუძლია.

ტურნირის პირველი ნომერია ბელგიელი **კირსტენ ფლიპკენსი**, რომელიც პირველ წრეში შეიძლება შეხვდეს მოქმედ ჩემპიონს, ამერიკელ **მელანი ოუდინს** (თუ ეს უკანასკნელი კვალიფიკაციიდან გასულ რომელიმე მეტოქეს დაამარცხებს).

მეორე ნომრად განთესილია რუსი **ეკატერინა მაკაროვა**, რომელმაც როლან გაროსზე წყვილთა თანრიგში გაიმარჯვა (**ელენა ვესნინასთან** ერთად). მისი პოტენციური მეტოქეები არიან: იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონე** (1/8 ფინალი), ბრიტანული პუბლიკის იმედი **ლორა რობსონი** (1/4 ფინალი) და ბირმინგემის ტურნირის ყოფილი ჩემპიონი, გერმანელი **საბინა ლისიცკი** (1/2 ფინალი).

ასევე ბირმინგემში გამოდიან **სორანა კირსტეა, მონა ბარტელი, ურსულა რადვანსკა, იანინა ვიკმაიერი, აიუმი მორიტა, კრისტინა მლადენოვიჩი, ბოიანა იოვანოვსკი, ჰიზერ უოტსონი, მაგდალენა რიბარიკოვა** და **დანიელა ჰანტუხოვა**...

### ნიურნბერგი

მათთვის, ვინც როლან გაროსის შემდეგ ისევ გრუნტზე თამაში გადაწყვიტა, ნიურნბერგში იმართება ტურნირი, რომელსაც წელს დებიუტი აქვს WTA-ის ტურში. აქ განთესვის პირველი ნომერი და მთავარი ფავორიტის სტატუსი სერბ **ელენა იანკოვიჩს** ეკუთვნის. მას მთავარ პრიზს შეეცილებიან: **კლარა ზაკოპალოვა, ალიზ კორნე, იულია გორგესი, ლუსი საფაროვა, ლურდეს დომინგეს ლინო, სიმონა ჰალეპი, ანიკა ბეკი** და **ანაბელ მედინა გარიგესი**, რომელსაც იანკოვიჩი, შესაძლოა, მეორე წრეში შეხვდეს.

ფორმულა 1. კანადის გრანპრი

# რედ ბულის პირველი კანადური

სებასტიან ფეტელის ტრიუმფით დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატის მეშვიდე ეტაპი, რომელსაც მონრეალის ჟილ ვილნევის სახელობის ტრასამ უმასპინძლა.

"რედ ბულის" გერმანელი პილოტი კანადაში საერთო ჩათვლის ლიდერის რანგში ჩავიდა და მონრეალის ეტაპის შემდეგ, კიდევ უფრო გაიმყარა პირველობა გენერალურ კლასიფიკაციაში. მის უახლოეს კონკურენტებს შორის კი ერთგვარი როქი განხორციელდა: "ფერარის" პილოტი **ფერნანდო ალონსო**, რომელმაც მეტად სოლიდური და საკმაოდ რთული რბოლა ჩაატარა, მეორე ადგილზე გადავიდა - უკან ჩამოიტოვა "ლოტუსის" წევრი **კიმი რაიკონენი**, ვინც განვლილი ეტაპის ერთ-ერთ ანტიგმირად შეიძლება მოვნათლოთ.

საერთოდ, კანადის გრანპრის ხშირად ახასიათებს სიგიჟეები, მაგრამ ამჯერად, მსგავსი არაფერი გვინახავს. ყოველ შემთხვევაში, პირველი ადგილისთვის ბრძოლა არ ყოფილა. როგორც კი პოულის მფლობელმა ფეტელმა ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოიგო სტარტი, მაშინვე გასაგები გახდა - მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი თავის შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. პირველი წრის შემდეგ, ის უახლოეს კონკურენტს ორ წამს უგებდა. წინ გერმანელს არავინ აწუხებდა და უკანაც დიდად არავინ მიახლოვებია. ეს "რედ ბულის" ყველაზე საყვარელი საქმიანობაა.

ფეტელი კადრში მხოლოდ პიტსტოპების დროს და პოდიუმზე გამოჩნდა. თუმცა იყო კიდევ ერთი მომენტი, როცა გერმანელმა კადრში გაიელვა და მის გულშემატკივრებსა და "რედ ბულის" წევრებს გული გადაუქანდათ - ერთ-ერთ მოსახვევში სება სწრაფად შევიდა და მილიმეტრებში ჩაუარა ბეტონის კედელს... ამის შემდეგ, გერმანელმა თავი ხელში აიყვანა და შეცდომა აღარ დაუშვია.

რბოლაში მთავარი მოვლენები კი ლიდერის უკან ვითარდებოდა. ძალიან შთამბეჭდავი გამოვიდა მეორე ადგილისთვის ხანგრძლივი და დაძაბული ბრძოლა ალონსოსა და **ლუის ჰემილტონს** შორის. ესპანელი ძალიან ხისტად უტევდა, ბრიტანელი არანაკლებ უკომპრომისოდ იცავდა თავს, შემდეგ კი კონტრშეტევაც განიზრახა. ბოლიდებს შორის რამდენიმე სანტიმეტრი სივრცე იყო, მიუხედავად ამისა, მათ კონტაქტი თავიდან აიცილეს და ფერნანდომ "მაკლარენში" ყოფილ თანაგუნდელს მეორე ადგილი წაართვა.

დიდი ბრძოლა გამართა ტრასაზე "ფერარის" მეორე პილოტმა **ფელიპე მასამ**, რომელიც ლიდერი იყო გასწრებების რაოდენობით. ბოლო წრეზე მან კიმი რაიკონენი ჩამოიცილა გზიდან და სასტარტო პოზიციასთან შედარებით, რვა ადგილი მოიგო.

კიდევ უფრო მეტი - 10 პოზიცია მოიგო საკვალიფიკაციო ადგილთან შედარებით **პოლ დი რესტამ**. მაგრამ, თუ ფელიპე მასამ ეს თავისი შეტევებით გააკეთა, შოტლანდიელმა - რისკიანი და ბრძნული ტაქტიკით. მან 70-წრიანი რბოლა ერთი პიტსტოპით გაიარა და ამან საკმაოდ მაღალი - მეშვიდე ადგილი მოუტანა (მასა მერვეზე გავიდა). საბურავებთან ასეთი ეკონომიური მოპყრობის მხრივ, პელოტონში ასევე კიმი რაიკონენი და **ჯენსონ ბატონი** გამოირჩეოდნენ, მაგრამ მათ ნაკლებად გაუმართლათ. თუ რაიკონენი მაინც მოხვდა ქულათა ზონაში (თუმცა წრე წააგო ფეტელთან!), ბატონი მხოლოდ მე-12 მივიდა ფინიშთან.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე "ტორო როსოს" პილოტის **ჟან-ერიკ ვერნის** ბრწყინვალე შედეგი - მეექვსე ადგილი. კვალიფიკაციაში მესამე ადგილზე გასულ ფინელს **ვალტერი ბოტასს** ("უილიამსი") კი არ გაუმართლა. ბრიტანულ საჯინიბოში ყველა წვიმას ნატრობდა, "უილიამსის" ბოლიდის სარბოლო მახასიათებლებიც, სავარაუდოდ, წვიმისა იყო, ამიტომაც, მზიან ამინდში დებიუტანტ სკანდინაველს უსწრებდა ყველა, ვისაც კი არ ეზარებოდა. სტარტიდან პირველი მოსახვევის შემდეგ, ბოტასი უკვე მეხუთე ადგილამდე იყო ჩამოქვეითებული, მეორე წრის ბოლოს კი ძლივს ინარჩუნებდა ადგილს ქულათა ზონაში.

დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ფეტელის დამაჯერებელმა გამოსვლამ "რედ ბულს" არსებობის ისტორიაში პირველად მოაგებინა კანადის გრანპრი.




ფეტელის დომინირება

# კანადის გრანპრის ერთი მსხვერპლი



ინციდენტი ამ დროს მოხდა

კვირას, კანადის გრანპრიზე მომუშავე ერთ-ერთი მარშალი უბედური შემთხვევის მიზეზით დაიღუპა, - იტყობინება Autosport.

ეს მარშალი 10 წელია მუშაობდა ამწეზე რბოლების დროს. კვირას გამართული ეტაპისას, ის თან ახლდა ტექნიკურ ჯგუფს, რომელსაც ტრასიდან **ესტებან გუტიერესის** ბოლიდის ევაკუაცია უნდა მოეხდინა. რაღაც მომენტში, მარშალი ამწეს საბურავებში ჩავარდა, მძღოლმა კი, რომელიც უკან მოძრაობდა, ვერ შეამჩნია ნაქცეული, სვლა გააგრძელა და მამაკაცს თავზე გადაუარა. იქვე ახლოს იმყოფებოდა ექიმი, რომელიც დაზარებულთან 30 წამის შემდეგ გაჩნდა.

მარშალი სასწრაფო დახმარების მანქანით ტრასის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, იქიდან კი ვერტმფრენით უახლოეს ჰოსპიტალში, მაგრამ ექიმების ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ამბები

კალათბურთი

## მაკაბი მილიარდერებმა იყიდეს

ამერიკელმა მილიარდერებმა - **რიჩარდ დიცმა** და **ბენ აშკენაზიმ** ისრაელის ჩემპიონის თელ-ავივის "მაკაბის" აქციათა 27.5 პროცენტი შეიძინეს: 17.5 პროცენტის მფლობელი იქნება დიცი, 10 პროცენტი კი აშკენაზის ეკუთვნის.

ახალი მფლობელების მისვლა ევროპული კალათბურთის გრანდს წელიწადში 25 მილიონ დოლარამდე გაუზრდის ბიუჯეტს. "მაკაბის" პრეზიდენტმა **შიმონ მიზრაჰიმ** განაცხადა: *"ჩვენი ახალი პარტნიორები დაეხმარებიან "მაკაბის" ახალი მიზნების განხორციელებასა და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბის სტატუსის შენარჩუნებაში"*.

სამბო

## სიკვდილი შავი ქამრით

სამბოში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, აზერბაიჯანის მრავალგზის ჩემპიონმა სამბოსა და ძიუდოში **აჰად რაჯაბლიმ** კვირას, ქალაქ სუმგაითში თავი ჩამოიხრჩო, - წერს აზერბაიჯანული Vesti.az.

გამოცემის ინფორმაციით, სამბისტმა საკუთარ ბინაში შავი ქამრით ჩამოიხრჩო თავი. თვითმკვლელობამდე რაჯაბლიმ მეუღლე მალაზიაში გაგზავნა და მოჭიდავემ სწორედ ამ დროს განახორციელა სუიციდი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი. NBA ფინალი



ლებრონის ჩატენვა

# გუნდური თამაში უკეთესია

პირველი მატჩის ბოლოს განცდილი ფიასკოს შემდეგ, "მაიამის" რევანშის დიდი სურვილი ამოძრავებდა. ეს ცხადი იყო თუნდაც იმით, თუ როგორ ცდილობდა მატჩის წინ პარტნიორების საბრძოლოდ განწყობას **დუეინ უეიდი**. მაგრამ ფლორიდელებს აქტიური სტარტი და კომფორტული უპირატესობის მიღება არ გამოუვიდათ. პირველივე წუთებიდან მოვლენები ისე განვითარდა, როგორც წინა შეხვედრაში. გუნდები შედეგიან შეტევებს ცვლიდნენ და შორს არ უშვებდნენ ერთმანეთს.

თუმცა წინა მატჩთან შედარებით გარკვეული განსხვავებებიც იყო. უკვე სასტარტო მეოთხედში "სპურსმა" ოთხი შეცდომა დაუშვა - იმდენი, რამდენიც პირველ მატჩში (შეხვედრის ბოლოსთვის, სტუმრებს 16 დაკარგვა დაუგროვდათ). "მაიამის" რიგებში კი თავი შეგვახსენეს უეიდმა და **კრის ბოშმა**, რომლებმაც დიდ შესვენებამდე 20 ქულა დააგროვეს. არანაკლებ კარგად გამოიყურებოდნენ "მაიამის" სხვა წევრებიც. მაგალითად, **მარიო ჩელმერსს** პირველ ნახევარში 10 ქულა ჰქონდა, სამქულიანები ჩააგდეს **რეი ალენმა** და **მაიკ მილერმა**. და ეს ყველაფერი ხდებოდა **ლებრონ ჯეიმსის** პასიურობის ფონზე, რომელიც პირველ 24 წუთში უფრო პარტნიორების დამხმარე იყო, ვიდრე გუნდის ლიდერი (4 ქულა, 1 მოხსნა, 4 პასი). დიდი შესვენებისთვის "ჰიტი" ხუთ ქულას იგებდა – 50:45.

რა თქმა უნდა, ყველა ხვდებოდა, რომ პლანეტის საუკეთესო მოთამაშე მთელი მატჩი ჩრდილში ვერ იქნებოდა, გარდა ამისა, "სპურსი" შორს იყო თავისი საუკეთესო თამაშისგან. როცა ამას ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ შევაქოთ "მაიამის" მწვრთნელი **ერიკ სპოელსტრა**, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა "ჰიტის" დაცვითი სქემები, კერძოდ, თავის "მაღლებს" **ტონი პარკერის** წინააღმდეგ უფრო აქტიურად ამოსვლისკენ მიუთითა. შედეგად, ფრანგი აღარ იყო ისეთი ეფექტური, როგორც პირველ მატჩში - ხშირ შემთხვევაში, მას ბურთის მოცილება ან რთული მდგომარეობიდან შეტევა უწევდა.

ამან და სპოელსტრას კიდევ სხვა ტაქტიკურმა ხრიკებმა გადაწყვიტეს მატჩის ბედი. საფინალო სირენამდე სამი წუთითა და 40 წამით ადრე, "სან ანტონიო" უკანასკნელად გავიდა წინ - 62:61. ამის შემდეგ კი დაიწყო მასპინძელთა ფენომენალური გაქცევა - 33:5 (!), რომელმაც მოიცვა მესამე მეოთხედის ბოლო ნაწილი და მეოთხეს დასაწყისი. ამის შემდეგ, ტაბლოზე ასეთი ანგარიში დაფიქსირდა – 94:67. რა თქმა უნდა, ასეთი სპურტი შეუძლებელი იქნებოდა შეტევაში სტუმრების შეცდომების გარეშე. "სპურსის" მოთამაშეებმა საერთოდ დაკარგეს ტემპი, ხოლო პარკერის სოლო-იერიშები აცილებებითა და "მაიამის" უსწრაფესი კონტრშეტევებით სრულდებოდა.

მატჩის ბოლო შვიდი წუთი უაზრობად იქცა და მოედანზე რეზერვისტები გავიდნენ. იმ მომენტისთვის, ლებრონ ჯეიმსს უკვე სოლიდური სტატისტიკა ჰქონდა - 17 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი, 3 დაფარება და 3 ჩაჭრა და ისიც ვალმოხდილი გაეშურა სათადარიგოთა სკამისკენ. დაზოგილი ენერგია მას მომდევნო მატჩებში გამოადგება - შემდეგი სამი შეხვედრა სან ანტონიოში უნდა გაიმართოს. იმისთვის, რომ სერია ფლორიდაში დაბრუნდეს, "მაიამიმ" ამ სამი მატჩიდან ერთი მაინც უნდა მოიგოს.

ასევე უნდა იფიქრონ ძალების აღდგენაზე "სპურსის" ლიდერებმა: გუშინ პარკერმა, **ტიმ დანკანმა** და **მანუ ჯინობილიმ** 33-დან მხოლოდ 10 სროლა მოათავსეს კალათში. თუმცა დასვენებისთვის დიდი დრო არ დარჩა. მესამე მატჩი ხვალ გაიმართება.

### ვინ რა თქვა

*"იძულებული ვარ, ქედი მოვიხარო "მაიამის" წინაშე - დღეს მათ დაგვამარცხეს, თანაც ყოველი მეოთხედის ბოლოს, - აღიარა დანკანმა. - ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით - ეს მათი დამსახურებაა. ამასთან, სროლა არ წაგვივიდა, პირადად მე კი საშინლად ვითამაშე".*

*"ისინი კარგად კომბინირებდნენ, კარგად იცავდნენ თავს, კარგად ხსნიდნენ ბურთს, - განაცხადა "სან ანტონიოს" მთავარმა მწვრთნელმა* ***გრეგ პოპოვიჩმა****. - ჩვენ ეს ვერ შევძელით. ეს არის მატჩის მოკლე ანალიზი. იმედია, მესამე მატჩში ყველაფერი პირიქით იქნება".*

*"პასის თამაში - გადამდები მოვლენაა, - სახეზე ღიმილით ამბობდა ჯეიმსი. - როცა ბურთი მთელი გუნდის ხელში გაივლის, ყოველი მოთამაშე იგრძნობს თავის მონაწილეობას დაგროვებულ ქულებში, ეს მეტ ძალასა და დამაჯერებლობას გმატებს. ვიცი, რომ დაცვის მთელი ყურადღება ჩემზეა გადმოტანილი, მაგრამ ჩვენ მზად ვართ ამისთვის. გვყავს ბევრი კალათბურთელი, რომელსაც შეუძლია დისბალანსი შეიტანოს მეტოქის დაცვაში".*

*"დღეს თქვენ იხილეთ "მაიამის" ნამდვილი თამაში, - ლაკონურად განაცხადა უეიდმა. - ასე ვიგებდით მთელი წლის განმავლობაში: ბურთს ვამოძრავებდით და შეტევაში ყველა მოთამაშე იყო ჩართული".*

**მაიამი–სან ანტონიო 103:84**

22:22, 28:23, 25:20, 28:19

**მ:** ჩელმერსი (19), ჯეიმსი (17+8 მოხსნა+7 პასი+3 დაფარება+3 ჩაჭრა), ალენი (13), ბოში (12+10 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), უეიდი (10+6 პასი).

**ს-ა:** გრინი (17), პარკერი (13+5 პასი), ნილი (10), დანკანი (9+11 მოხსნა), ლეონარდი (9+14 მოხსნა).

**სერია:** 1-1

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 19** | |
| საფრანგეთი-ავსტრია | 1:0 |
| შვედეთი-ბოსნია | 3:2 |
| ხორვატია-ესპანეთი | 1:1 |
| საბერძნეთი-პოლონეთი | 1:1 |
| გერმანია-ჰოლანდია | 0:1 |
| კვიპროსი-ნორვეგია | 0:3 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ხორვატია-პორტუგალია | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფოლო-ფრედრიკსტადი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამარბიუ-ვარბერგსი | 2:2 |
| ლანდსკრონა-ერებრო | 1:2 |
| **ირლანდია** | |
| დროგედა-დანდალკი | 0:1 |
| **ისლანდია** | |
| ბრეიდალიკი-ვიკინგური | 2:0 |
| კეფლავიკი-ფრამი | 1:2 |
| ჰაფნარი-რეიკიავიკი | 2:4 |
| **არგენტინა** | |
| ესტუდიანტესი-ლანუსი | 2:0 შეწყდა |
| **პარაგვაი** | |
| დეპ. კაპიატა-პრეზიდენტე | 2:1 |
| ხენერალ დიასი-ნასიონალი | 1:3 |
| **კალათბურთი** | |
| **თურქეთი** | |
| ბანვითი-გალათასარაი | 71:72 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰალე** | |
| ჰერნიხი-ბრანდსი | 6:4, 6:2 |
| იუჟნი-ხიმენო ტრავერო | 6:1, 6:2 |
| ფ. მაიერი-ფიშერი | 6:2, 6:2 |
| ზვერევი-გოფენი | 1:6, 6:4, 7:5 |
| **ATP. ლონდონი** | |
| ბედენე-მატიო | 7:6, 6:3 |
| დელ ბონისი-კუდლა | 0:6, 3:6 |
| პეია-ევანსი | 3:6, 1:6 |
| ხირალდო-ლივაინი | 6:4, 6:4 |
| პერი-ბეიკერი | 7:5, 6:2 |
| მალისე-გარსია ლოპესი | 6:4, 5:7, 6:4 |
| დოდიგი-უორდი | 6:7, 7:6, 7:6 |
| ნილსენი-მატოშევიჩი | 5:7, 2:6 |
| იტო-სისლინგი | 3:6, 5:7 |
| ჰიუიტი-რასელი | 4:6, 6:1, 6:3 |
| რუფენი-როჟე ვასელენი | 7:6, 5:7, 6:7 |
| ედვარდი-სტახოვსკი | 4:6, 6:7 |
| დე ბაკერი-ბოჟოლიაკი | 6:2, 7:6 |
| დიმიტროვი-სელა | 4:6, 6:2, 7:6 |
| **WTA. ბირმინგემი** | |
| დოლონცი-კოლერი | 6:7, 6:0, 6:3 |
| პირონკოვა-დევისი | 6:2, 6:1 |
| ჰსიე-ჰემპტონი | 2:6, 3:6 |
| ოუდინი-ტომლიანოვიჩი | 3:6, 1:6 |
| კეოტავონგი-რისკე | 5:7, 2:6 |
| კისი-ცურენკო | 3:6, 6:3, 7:6 |
| ლუჩიჩი-კარ. პლიშკოვა | 6:3, 6:2 |
| მორიტა-ვან უიტვანკი | 4:6, 0:6 |
| ბუშარი-იოვანოვსკი | 7:5, 3:6, 2:6 |
| კუდრიავცევა-დატე | 6:4, 7:6 |
| ვანდევეგე-კრის. პლიშკოვა | 7:6, 6:7, 5:7 |
| ჩეტკოვსკა-იოჰანსონი | 5:7, 2:6 |
| საუთი-რიბარიკოვა | 4:6, 2:6 |
| ჯორჯი-ვეკიჩი | 6:7, 3:6 |
| კიჩენოკი-ბაბოში | 6:3, 6:4 |
| სვიტოლინა-ერაკოვიჩი | 0:6, 1:6 |

## TV პროგრამა

**11 ივნისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ინდეპენდიენტე.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვილემი-ტვენტე.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. რასინგი-ბოკა ხუნიორსი.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. ნორვიჩი-ლივერპული.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
01:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. I მატჩი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-უდინეზე.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ინგლისის ჩემპიონატი. მანსტერი-სარასენი.
19:00 ყველაზე სწრაფები.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი.
22:00 რალი. კროსი. ევროპის ჩემპიონატი. ფინეთი. მიმოხილვა.
23:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. II მატჩი.
05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. სან ანტონიო-მაიამი. III მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-დენვერი.
16:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
17:30 სპორტ-NEWS.
18:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
19:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.
21:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 16 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 15 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქობულეთი | 15 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ფოთი | 15 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 15 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 12 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 14 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 13 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 7 | 18 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 11 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 8 | 18 | (ხანმოკლე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1905 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6571 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5728 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1264 |

# ბილაპსი – საუკეთესო გუნდური მოთამაშე



ჩონსი ბილაპსი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, "ლოს ანჯელეს კლიპერსის" მცველი **ჩონსი ბილაპსი** NBA-ის საუკეთესო გუნდურ მოთამაშედ არის დასახელებული. ვეტერანმა მიიღო ახლადდაარსებული ჯილდო - ტვაიმენ-სტოუკსის პრიზი. ის გადაეცემა კალათბურთელს, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს თანაგუნდელებთან კარგ შეთამაშებას, მოედანზე თავდადებას, მოედნის მიღმა ლიდერის თვისებებს. ეს კალათბურთელი მისაბაძი უნდა იყოს სხვა მოთამაშეებისთვის გუნდისადმი ერთგულების მხრივ.

იდეალური პარტნიორი თავად მოთამაშეებმა აირჩიეს, თუმცა მათ აკრძალული ჰქონდათ თანაგუნდელისთვის ხმის მიცემა. საბოლოოდ, ფინალურ რაუნდში მოხვდა 12 კალათბურთელი, მათ შორის, NBA-ის ფინალური სერიის ორი მონაწილე - **შეინ ბატიე** და **მანუ ჯინობილი**.

პრიზს სახელი **ჯეკ ტვაიმენისა** და **მორის სტოუკსის** საპატივცემულოდ შეურჩიეს, რომლებიც 50-60-იან წლებში "როჩესტერ/ცინცინატი როიალზის" რიგებში გამოდიოდნენ. ტვაიმენმა საკუთარ თავზე აიღო ყოფილი პარტნიორის - სტოუკსის მეურვეობა. ეს უკანასკნელი NBA-ში თავისი მესამე სეზონის შემდეგ, თავის ტვინის ტრავმის გამო პარალიზებული იყო და ტვაიმენი ყველაფერში ეხმარებოდა მეგობარს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ჯეისონ კიდი

# კიდი ნეტსში ინიშნება?

ვეტერანი გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი**, რომელმაც ამ სეზონის შემდეგ დაასრულა კარიერა, მომავალ კვირას "ბრუკლინ ნეტსის" ხელმძღვანელობას შეხვდება. საუბრის თემა იქნება კიდის სავარაუდო დანიშვნა "ნეტსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე, რომელიც ამ სეზონის შემდეგ არის ვაკანტური. ამ სენსაციურ ინფორმაციას ESPN აქვეყნებს. 2012-13 წლების სეზონში ჯეისონი "ნიუ იორკ ნიქსის" ღირსებას იცავდა.

კიდმა თავის 19-წლიან კარიერაში მხოლოდ ერთი საჩემპიონო ბეჭედი მოიგო - მან ეს "დალასის" შემადგენლობაში გააკეთა, გარდა ამისა, 2008 და 2012 წლებში ორჯერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. ჯეისონი NBA-ის ისტორიაში მეორეა შედეგიანი გადაცემებსა და ჩაჭრების რაოდენობით. მას ცხრაჯერ აქვს მონაწილეობა მიღებული "ყველა ვარსკვლავის მატჩში".

● ჩოგბურთი

# ნადალი: ნახევარი წლის წინ, ეს არარეალური ჩანდა

**როლან გაროსზე მერვე ტრიუმფის შემდეგ, ესპანელმა რაფაელ ნადალმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა და განაცხადა, რომ ეს ტიტული მისთვის განსაკუთრებულია...**

**- ტურნირის მერვედ მოგება ისეთივე სასიამოვნოა, როგორც პირველად?**

- შედარება ყოველთვის რთულია. ყველა სიტუაცია ერთმანეთისგან განსხვავებულია. ასე რომ, შედარება - ჩემი საქმე არ არის. თუმცა, რა თქმა უნდა, წლევანდელ სეზონში წარმატება, იმის გათვალისწინებით, რაც მე გადავიტანე - განსაკუთრებულია. ხუთი თვის უკან, ჩემი გუნდის ვერც ერთი წევრი ოცნებასაც კი ვერ გაბედავდა ასეთ დაბრუნებაზე. ყველა ჩვენთაგანს ასეთი სცენარი არარეალურად გვეჩვენებოდა. მაგრამ დღეს აქ ვართ და ყველაფერი აეწყო ისე, როგორც აეწყო. ამიტომაც ვარ ბედნიერი.

**- ამჟამად ფიზიკურად ისევე ხართ მზად, როგორ ადრე?**

- არა. მახსოვს შემთხვევები, როცა გაცილებით უკეთ გამოვიყურებოდი. მაგრამ ეს ნორმალურია, რადგან ბოლო დროს ბევრს არ ვვარჯიშობდი. თამაშის გაუმჯობესების საშუალება მომცა იმან, რომ ერთი თვის განმავლობაში ძალიან ბევრი მატჩი ჩავატარე. სწორედ ამით ვცვლიდი საწვრთნელ პროცესს. საერთო ჯამში, ტურში დაბრუნების შემდეგ, ჩემი გადაადგილება კორტზე არც ისე სახარბიელო იყო. მაგრამ, თანდათან ყველაფერი თავის ადგილას დგება.

**- თქვენი ბოლო გამარჯვებების გათვალისწინებით, და იმის გამოც, რომ სეზონის მეორე ნახევარში სარეიტინგო ქულების დაცვა არ გიწევთ, რეალურად შეგიძლიათ იბრძოლოთ მსოფლიოს პირველი ჩოგანის ტიტულისთვის?**

- არა. დღეს მე არ ვისახავ ასეთ მიზანს. თუმცა ამ სეზონში დაგროვილი ქულებით შესანიშნავ პოზიციაზე ვიმყოფები. მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენს დროში მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდე, თამაშია საჭირო, თანაც ძალიან კარგად მთელი სეზონის განმავლობაში.

**- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

- თავდაპირველად უნდა გავიარო დეტალური სამედიცინო შემოწმება. მინდა ჩემი სხეულის ფაქტობრივად ყველა ნაწილი შევამოწმო. იმედია, უიმბლდონისთვის მზად ვიქნები. მაგრამ ამ ტურნირამდე "გასახურებელ" შეჯიბრებებში მონაწილეობას არ მივიღებ. რა თქმა უნდა, ეს არ არის იდეალური სიტუაცია "დიდი სლემის" ტურნირის წინ, მით უმეტეს, თუ ის ბალახის კორტებზე იმართება. მაგრამ, ამ მომენტისთვის, სხვა ვარიანტი არ გამაჩნია. მაგრამ მაინც შევეცდები უიმბლდონს კარგ ფორმაში შევხვდე. მაგრამ თუ იქ წარმატებით ვერ გამოვალ, ჩემი პოზიციები მაინც არ შეირყევა - ქულები უკვე საკმარისად მაქვს დაგროვებული.



რაფას რვა გაელვება

**გია თვალაბეიშვილი**

● რეიტინგი




მარიამ და ვიკამ ადგილები გაცვალეს

# მოიგეს და დაქვეითდნენ

**როლან გაროსის** დასრულების შემდეგ, ATP-ის რეიტინგის ტოპ-ხუთეულში ერთი ცვლილება მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ფინალში **დავიდ ფერერმა** წააგო **რაფაელ ნადალთან**, მან მაინც გადაინაცვლა კლასიფიკაციის მეოთხე ადგილზე და მეხუთემდე სწორედ ნადალი ჩამოაქვეითა. საქმე ისაა, რომ რაფამ პარიზში წინა წელს მოპოვებული ტიტული დაიცვა და შესაბამისად, რეიტინგში ქულა არ მომატებია, ფერერმა კი პირიქით, შარშანდელ როლან გაროსთან შედარებით ერთი საფეხურით წინ წაიწია და ამისთვის 480 ქულა მიიღო.

■ ■ ■

ქალთა რეიტინგში ადგილები გაცვალეს **მარია შარაპოვამ** და **ვიქტორია აზარენკამ**. რუსმა შარშანდელი გამარჯვებისთვის მოპოვებული ქულები ვერ დაიცვა და მეორე ადგილზე გაუშვა ბელარუსი ჩოგბურთელი. არადა, მათ ნახევარფინალურ დაპირისპირებაში გამარჯვება შარაპოვამ მოიპოვა.

გარკვეული ცვლილებები მოხდა ტოპ-ათეულში; გერმანელმა **ანჟელიკ კერბერმა პეტრა კვიტოვას** გაუსწრო და მე-7 ჩოგანი გახდა, დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ** მეცხრე ადგილი დაიკავა, ხოლო რუსი **მარია კირილენკო** პირველად შევიდა საუკეთესო ათეულში და იქ მეათე ადგილზე დამკვიდრდა. ათეულიდან გამოვარდა და ერთბაშად მე-14 ადგილამდე დაქვეითდა ავსტრალიელი **სამანტა სტოსური.**

**ATP**

| | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 11 830 |
| 2(2). ენდი მიურეი (ბრიტ) | 8 310 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7 640 |
| 4(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 7 220 |
| 5(4). რაფაელ ნადალი (ესპ) | 6 895 |
| 6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 515 |
| 7(6). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 4 155 |
| 8(7). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 3 960 |
| 9(9). რიშარ გასკე (საფ) | 3 090 |
| 10(10). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 2 810 |
| 11(14). ტომი ჰაასი (გერ) | 2 585 |
| 12(11). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 570 |
| 13(15). კეი ნიშიკორი (იაპ) | 2 495 |
| 14(12). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 2 390 |
| 15(16). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 225 |
| 16(13). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 195 |
| 17(18). ჟილ სიმონი (საფ) | 1 985 |
| 18(19). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 1 885 |
| 19(20). სემ კუერი (აშშ) | 1 810 |
| 20(17). ხუან მონაკო (არგ) | 1 740 |

**WTA**

| | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 13 615 |
| 2(3). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 9 625 |
| 3(2). მარია შარაპოვა (რუს) | 9 415 |
| 4(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 6 465 |
| 5(5). სარა ერანი (იტა) | 5 335 |
| 6(6). ნა ლი (ჩინ) | 5 155 |
| 7(8). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 4 915 |
| 8(7). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 4 435 |
| 9(10). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 565 |
| 10(12). მარია კირილენკო (რუს) | 3 436 |
| 11(15). რობერტა ვინჩი (იტა) | 3 060 |
| 12(14). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 920 |
| 13(11). ნადია პეტროვა (რუს) | 2 910 |
| 14(9). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 2 905 |
| 15(13). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2 905 |
| 16(18). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2 900 |
| 17(17). სლოან სტივენსი (აშშ) | 2 530 |
| 18(16). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 140 |
| 19(20). კარლა სუარეს ნავარო (ესპ) | 2 095 |
| 20(21). კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) | 1 978 |

# ფოტო-NEWS

## არდადეგები გრძელდება



კევინ-პრინს ბოატენგი ფორმენტერაში (ესპანეთი)



ჯო ჰარტი მექსიკაში



ჯეკ უილშირი ლას ვეგასში

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:55. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608